ლი ხალხურ-ქართული საცეკვაო მელოდიები და კლასიკური საბალეტო ფორმები.

ქართული მუსიკალური კულტურის, კერძოდ კლასიკური ერთგული ოპერისა და ხალხური შემოქმედების ტრადიციული იყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადა მისიკოვში 1937 წელს.

დეკადამ მძლავრი სტიმულის როლი შეასრულა ქართული მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის, ფრთხილ შეასხა ნიჭიერ შემოქმედებით ახალგაზრდობას, რომელმაც მოკლე დროის მანძილზე სხვადასხვა ქანრის რიგი თვალსაჩინო ნაწარმოებები შექმნა.

30-იანი წლები და განსაკუთრებით კი დეკადის შემდგომი პერიოდი მეტად „მოსაგლიანი“ აღმოჩნდა სიმფონიური მუსიკისათვის. შედიხოდ იქმნება სხვადასხვა ქანრისა და ფორმის სიმფონიური ნაწარმოებები (დ. არაყიშვილის, ა. ანდრიაშვილის, კ. მეღვინეთ-უხუცესის, ა. კერესელიძის სიმფონიები, გ. კილაძის, ი. ტყეკიას, შ. აზმაიფარაშვილის სიმფონიური პოემები, შ. მშვილდიძის, შ. თაქთაქიშვილის, ვ. გოკიელის, ა. მაჭავარიანის, რ. გაბიჩაძის, ნ. ნარიშანიძისა და სხვათა საორკესტრო სურტიები, უკერტიურები, მინიატურები), ასპარეზზე გამოდის კომპოზიტორთა ახალი თაობები, ყოველივე ეს ქართული სიმფონიური მუსიკის პროფესიული სიმწიფისა და დაგვიჯვაცების მაუწყებელი იყო.

მეტად ნათელი და საკულისსმოდ აღმოჩნდა შ. მშვილდიძის სიმფონიური „დებიუტი“. 1933-34 წლებში ახალგაზრდა კომპოზიტორმა შექმნა სამი სიმფონიური მინიატურა „ასარ“, „ფშაური“ და „სორუმი“, რომელთაც უმაღლე მიიპყრეს ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება მუსიკალური სტილის დრამა ორიგინალობითა და თვითმყოფლობით. „ფშაური“ კომპოზიტორმა პირველად მიმართა საქართველოს მთის მუსიკალურ ფოლკლორს, რაც ამიერიდან მისი მუსიკის უმთავრეს მასაზრდოებელ წყაროდ იქცა.

დიდი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა ქართველ კომპოზიტორთა მიმართვა ქართული კლასიკური ლიტერატურის სახეებისადმი, რომლებიც შესანიშნავ ლიტერატურულ მასალას წარმოადგენდნენ არა მარტო ვოკალური ქანრების — რომანსისა და ოპერისათვის, არამედ თვით სიმფონიური ქან-



3. სარაჯიშვილი შოთა რუსთაველის როლში. დ. არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთაველი“

რისათვისაც. მათ მრავალმხრივ განსაზღვრეს ამ ხანებში შექმნილი ნაწარმოებების იდეური გამიზნულობა, სახოვანება, დრმა შინაარსიანობა. ქართულ სიმფონიურ მუსიკაში პირველად დაისვა ფილოსოფიური პრობლემები. ყოველივე ამან შეაპირობა პროგრამული სიმფონიური ქანრის განვითარებაც. გ. კილაძის სიმფონიური პოემა „განდევილი“ (1937 წ.) და

ალექსანდრე წუწუნავა

ვეგენი მიქელაძე

შალვა აზმაიფარაშვილი





„დაისი“, მარო — მ. ლაბიაშვილი, მალხაზი — მ. ყვარელაშვილი, კიხიო — მ. კრაიეიშვილი

მოსასწავლებლენ ქართული სიმფონიური მუსიკის ჭეშმარიტ მხატვრულ სიმწიფეს. ისინი ამ ჯანრის განვითარების ასალი შესანიშნავი პერიოდის დასაბამად იქცნენ.

გ. კილაძის „განდევლი“ ქართული მუსიკის ისტორიაში შვეიდა, როგორც დიდი ფორმის პირველი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები, რომელშიც ნათელი ერთეული ფორმა ორგანულ მთლიანობაში იყო მოცემული მომწიფებულ პროფესიულ ოსტატობასთან. ქართველ კომპოზიტორთაგან გრ. კილაძე ამ ნაწარმოებით პირველი გახდა სტალინური პრემიის ლაურეატი. ილია ჭავჭავაძის განთქმული პოემის ფილოსოფიური იდეა, კონფლიქტი მაკარ ასკეტურ და სიცოცხლისეულ, ოპტიმისტურ საწყისებს შორის და უკანასკნელის გამარჯვება — კომპოზიტორმა მხატვრული განსოჯადეობით მოგვცა. პოემის ძირითადი დრამატული იდეა-ანტითეზისი მკაფიოდ და რელიეფურადაა გახსნილი განდევლისა და მწყემსი ქალის რეალისტურ, კონკრეტულ მუსიკალურ სახეებში. პოემის მუსიკის ძლიერი მხარეა თემატიკური მასალის სახოვანება და მხატვრული ხარისხობენება. კომპოზიტორმა თავი საორკესტრო წერის ოსტატად გვაჩვენა. პოემის პარტიტურა კოლორიტულობით, ფერადოვნებით, ჭეშმარიტი ორ-

მ. მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადური“ (1940 წ.) კესტრულობით გამოირჩევა. მიუხედავად ნაწარმოებში მუსიკალური დრამატურგიისა და ფორმის რიგი ჩრდილოვანი მხარებისა, შეუტლებელია ვადფასებულ იქნეს „განდვლის“ მნიშვნელობა ქართული სიმფონიური სტილის ფორმირებაში.

მთლი ქართული მუსიკალური კულტურის დიდ შემოქმედებით გამარჯვებას წარმოადგენდა მ. მშველიძის მიწმუნტური სიმფონიური პოემა „ზვიადური“ (1940 წ.), რომელმაც მისი ავტორი საბჭოთა კავშირის მოწინავე კომპოზიტორთა რიგებში ჩააყენა. მ. მშველიძის შემოქმედება ახალი ქართული მუსიკის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება. კომპოზიტორი ქართულ-საბჭოური სიმფონიზმის ფუძემდებელია, „ზვიადური“ კი მისი ერთერთი ყველაზე შთამბეჭდავი და ტიპური ქმნილებაა.

მუსიკალური ენის თვითმყოფლობით, ვაჟკაცური ეპიკური სულისკვეთებით და, ამავე დროს, რომანტიკული ექსპრესიით „ზვიადურმა“ გადააჭარბა ყოველივეს, რაც კი მანამდე იყო შექმნილი ქართული სიმფონიური მუსიკის დარგში.

მ. მშველიძის დრმა დ თვითყოფი, ნათელი შემოქმედებითი ნიჭი აქ პირველად გაიშალა ჭეშმარიტად „სიმფონიური“ გაქანებით და ძალით. „ზვიადური“ კომპოზიტორის შემოქმედებითი განვითარების ორგანულ შედეგს წარმოადგენდა, რომელშიც მან კვლავ მიმართა მისთვის ესოდენ საყვარელი „მთის“ თემატიკას.

თავის ქმნილების ლიტერატურულ წყაროდ კომპოზიტორმა შემოხვევითი როდი აირჩია ვაჟა ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“. ვაჟას პოეზია, რომელშიც ვაჟკაცური-ეპიკური სული კრისტალურად წმინდა და ანკარა ლირიკულ გრძობასთანაა შერწყმული, საოჯადოდ ძალზე ახლობელია მშველიძის შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის, და ამან შეაპირობა მუსიკისა და მისი პოეტური პირველწყაროს დიდი შინაგანი მთლიანობა.

იმ ნაწარმოებებს შორის, რომლებიც სამამულო ომის დაწყებამდე დაიწერა, საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე ი. ტუსკის სიმფონიური პოემა „მავზოლეუმთან“ (1939 წ.), მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი. მ. აზმაფარაშვილის სიმფონიური პოემა „ყვარლის მთებს“ (1939 წ.) და სიმფონიური სუ-

გრიგოლ კილაძე



ალექსანდრე ბუკია



ალექსანდრე შვერჩაშვილი





ალექსი მაჭავარიანი



დავით თორაძე



სულხან ციხლაძე

ტა „ძველი თბილისის სურათები“ (1941 წ.), ა. მაჭავარიანი-
ნის სიმფონიური უფერტურა „მუმლი მუსასა“. იმეზამდ ახალ-
გაზრდა კომპოზიტორთა ა. მაჭავარიანის თვითმყოფმა ნიჭმა
გაიფლვა ამავე ხანებში შექმნილ საფორტეპიანო პიესა „ხო-
რუმში“, რომელშიც ოსტატურადაა გამოცემული ხალხური
ცეკვის რიტმული სტიქია და ვაჟკაცური დინამიკური პულსი.

წ. ფალიაშვილის „ლატაგრა“ (1928 წ.) და ვ. დოლიძის
„ცისანას“ (1929 წ.) შემდეგ ქართველ კომპოზიტორებს
კარგა ხნის მანძილზე თითქმის არც კი მიუმართავთ ამ ჟან-
რისათვის. კომპოზიტორთა შემოქმედებითი ინტერესები ამ
ხანებში ძირითადად სხვა მხატვრულ სიბრტყეში მდებარეობ-
და. მაგრამ 40-იანი წლების დასაწყისში წ. ფალიაშვილის
სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე უფლებად
იქნა წარმოდგენილი ახალი ქართული ოპერები: შ. თაქთაქი-
შვილის „დეპუტატი“, ი. ტუსკიას „სამშობლო“, ა. ანდრია-
შვილის „კაკო ყაჩაღი“ და გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“.
ამათგან პირველი ორი თანამედროვე საბჭოთა ცხოვრების
სხვადასხვა მხარეებს ასახავდა. „ლადო კეცხოველი“ ქართვე-
ლი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ფურცლებს წარმოგიდ-
გენდა. მხოლოდ „კაკო ყაჩაღი“ იყო მიძღვნილი წარსული-
სადმი! იგი აღმოჩნდა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ამ ოპე-
რებს შორის. ა. ანდრიაშვილის ოპერის წარმატება გაპირო-
ბებული იყო ხალხურ სასიმღერო წყაროებთან მისი მუსიკის
სახელოვით, მელოდირი გამოკვეთილობითა და სისადავით.
ამ თვისებებმა კარგა ხნით შეუნარჩუნა ოპერას ადგილი თეა-
ტრის რეპერტუარში, მაგრამ სავერალე როლი ითამაშა მუ-
სიკაში გამომსახველი ხერხების სიღარიბემ და ერთფეროვნე-
ბამ, საორკესტრო პარტიის სისუსტემ.

საბჭოთა თემატიკაზე ოპერის შექმნის პირველ ცდას წარ-
მოადგინდა შ. თაქთაქიშვილის დსიქოლოგიურ-ყოფაცხოვრე-
ბითი ოპერა „დეპუტატი“ (1940 წ.), რომელიც ასახავდა ქა-
ლის როლს სოციალისტურ საზოგადოებაში. მუსიკალური დრა-
მატურგის სერიოზული ზარველების და ლიბრეტოს აშკარა
სისუსტის გამო ოპერა ვერ შეინა სცენას. დაახლოებით იგივე
ხვედრი ჰქონდა ი. ტუსკიას ლირიკულ-პატრიოტულ ოპერა
„სამშობლოს“ (1941 წ.). მიუხედავად მისი მუსიკის მიმ-
ზიდველი მხარეებისა.

ბევრი რამ იყო საინტერესო გ. კილაძის „ლადო კეცხო-
ველში“. ოპერის საუკეთესო მუსიკალური ეპიზოდები, კერ-
ძოდ, მთელი მეოთხე — კულმინაციური აქტი გამოირჩეოდა
დრამატული სიმკვეთრით, პარმონიული ენის სიმბავლით,
დინამიზმით, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ საგუნდო ეპი-
ზოდები, სადაც კომპოზიტორი შემოქმედებითად იყენებდა
ხალხურ-სასიმღერო ინტონაციებს.

შემოსხენებულმა ოპერებმა უდავოდ დადებითი როლი შე-
ასრულეს ისეთი უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი პროცესის
გადაწყვეტაში, როგორცაა საბჭოთა ოპერის შექმნა. მათი
სუსტი მხარეები მაგრამეტი იყო კომპოზიტორების ერთგვა-
რი შემოქმედებითი მოუწიფებლობისა ურთულეს „სინთე-
ტურ“ ჟანრში. ამ ოპერების დირსებები უფრო ცალკეული
ნომრების სფეროში ვლინდებოდა (გუნდი „ორ შევადრენუ“
და რომანსი „ერთხელ ვიზილუ“ — „დეპუტატიში“, გუნდები
„ვალალ მე“, „მეინვარს ჰმენის ნისლის ბადე“, თამაზის
სიმღერა — „სადაც ვშობილვარ, გაგზრდილვარ“ — „სამშობ-
ლოში“, გუნდი „მოვიცვლებ კეცხოველი“, ლელოსა და ლექ-
სოს დუეტი, — „ლადო კეცხოველში“, — კაკოს არია „ჩემი
სოფელი“, მზისა ტირილი — „კაკო ყაჩაღში“ და მთელი
რიგი სხვა), ვიდრე მხატვრული ჩანაფიქრის მთლიანობაში,
ერთიან მუსიკალურ-დრამატულ განვითარებაში.

ბალეტი „მთების გული“





ოთარ თაქთაქიშვილი



შალვა თაქთაქიშვილი



ოლესიე ლიმიძე

ქართული მუსიკის ახალი პერიოდი დაკავშირებულია დიდ სამამულო ომთან. მძლავრმა პატრიოტულმა აღმავლობამ, რონელმაც მოიცვა მთელი საბჭოთა ხალხი, სამამულო ომის გმირულმა ეპიზოდებმა სხვადასხვა ჟანრის არა ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების შექმნა შთააგონეს ჩვენს კომპოზიტორებს.

სამამულო ომისა და მის მომდევნო წლებში ფართო შემოქმედებით ასპარეზზე გამოდიან კომპოზიტორთა ახალი თაობები, რომელთა შორის ვხვდებით ა. მაჭავარიანის, ნ. გუდიაშვილის, დ. თორაძის, მოგვანიებით კი, თ. თაქთაქიშვილის, ა. ჩიმაკაძის, ა. შავერვაშვილის, რ. ლალიძის, ს. ცინცაძისა და სხვათა სახელებს, ეს ახალი საიმედო შემოქმედებითი ძალები მალე ქართული მუსიკის ავანგარდში ჩადგნენ. უფროსა თაობის წარმომადგენლებთან ერთად, ისინი წარმატებით ეწყვიან შემოქმედებით მუშაობას ქართული მუსიკის სხვადასხვა დარგებში, საზოგადოდაც, უნდა ითქვას, რომ სწორედ სამამულო ომის დამთავრების შემდეგ იწყება ქართული მუსიკის იშვიათი აღმავლობა და შემოქმედებითი წინსვლა. უკანასკნელი 15 წელი იმდენად მდიდარი, მრავალფეროვანი და შთაბეჭებითელია, რომ შეუძლებელი ხდება ქართველ კომპოზიტორთა მიღწევებზე ლაპარაკი ჟანრობრივი დიფერენციაციის გარეშე.

განსაკუთრებით ნაყოფიერად ვითარდებოდა ომისა და მის შემდგომ წლებში სიმფონიური მუსიკა თავისი მრავალი ჟანრობრივი განსტობებით (სიმფონია, პოემა, უვერტურა, სუიტა, ინსტრუმენტული კონცერტი და სხვ.).

ქართული მუსიკა მდიდრდება ისეთი ნათელი, საინტერესო და სტილისტურად ღრმად განსხვავებული ნაწარმოებებით, როგორიცაა ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია (1944 წ.). შ. შველიძის მეორე სიმფონია (1944 წ.), ა. მაჭავარიანის სიმფონია (1947 წ.), მისივე საფორტეპიანო (1944 წ.) და განსაკუთრებით კი სავიოლინო კონცერტები (1949 წ.), ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ხალხის სიკვდილზე“ (1948 წ.) და საზვიმო უვერტურა „ხალხის რჩეული“ (1950 წ.), თ. თაქთაქიშვილის პირველი სიმფონია (1949 წ.) და საფორტეპიანო კონცერტი (1951 წ.), რ. ლალიძის სიმ-

ფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, შ. შველიძის სიმფონიური პოემა „მინდია“ (1950 წ.) და მესამე სიმფონია (1952 წ.), დასახლებულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით საგულისხმოა ა. ბალანჩივაძის I სიმფონია, რომელიც დღემდე სიმფონიის საუკეთესო ნიმუშად გვევლინება ქართულ მუსიკაში. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორი გამოეხსნა ომის მრისხანე ამბებს, აღბეჭდა საბჭოთა ადამიანების ფიქრები და განცდები, უმღერა მათ გმირობასა და სულიერ სიმტკიცეს. სიმფონია გამოირჩევა მუსიკალური შინაარსის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, ფორმის დიდი თავისებურებით და ამავე დროს ორგანულობით, განვითარების დინამიზმით. სიმფონიის იდეური რეზიუმე მის მე-4 ნაწილში—ღიწჯ და ამაღლებულ ეპიკურ ფინალშია მოცემული, სადაც კომპოზიტორი აპკვიდრებს ნათელ ოპტიმისტურ საწყისს, რწმუნას სიცოცხლისეული ჰუმანისტური იდეის გამარჯვებაში. ბალანჩივაძის ეს სიმფონია პირველხარისხოვანი ნაწარმოებია, რომელიც დგას საბჭოთა სიმფონიზმის საუკეთესო მიღწევათა დონეზე.

სიმფონიური მუსიკის წარმატებები 1940-50-იან წლებში მრავალმხრივად დაკავშირებული გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის შ. შველიძის სახელთან. „ზეიდაურის“ შემდგომ შ. შველიძემ პირველად თავის შემოქმედებით პრაქტიკაში მიმართა „წმინდა“ სიმფონიის ჟანრს. ინტერესს იმსახურებს მისი მეორე — „სიხარულისა და გამარჯვების სიმფონია“ (1944 წელი), რომლითაც ავტორი გამოეხსნა ძლიერამოსილი საბჭოთა ჯარის გამარჯვებებს სამამულო ომში. ეს ნაწარმოები წარმოადგენდა კლასიკური სიმფონიური ფორმის დაძლევის ერთ-ერთ პირველ კარგ ნიმუშს ჩვენს მუსიკაში. თავისი საერთო ხასიათით სიმფონია ტანრულ-ეპიკურია და გამსჭვალულია მხნე გმირულ-საზვიმო განწყობილებით. საინტერესოა იგი იმიტავ, რომ შველიძე აქ აერთოებს თავისი მუსიკალური ენის ინტონაციურ სფეროს და შეაქვს მასში დასაკ. საქართველოს დიალექტების დამახასიათებელი სტილისტური ელემენტები.

შ. შველიძის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწარმოებია სიმფონიური პოემა „მინდია“ (1950 წ.), რომლითაც კომპოზი-

ტორი კვლავ დაუბრუნდა ვაგა ფშაველას ეპიკურ, ამაღლებულ პოეტურ სახეებს.

ამ ნაწარმოებში შ. მშველიძე არ ისახავდა მიზნად ვაგას ფილოსოფიური პოემის ზუსტ მუსიკალურ წარმოსახვას. იგი ამაღლებს არა მინდიას ფსიქოლოგიურ დრამას, არამედ მის გმირულ სიკვდილს სამშობლოს დაცვისას. პოემის მუსიკალურ შინაარსში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მხატვრული სფერო: ჟანრული, ლირიკულ-პოეტური და გმირული. ყველაზე ამაღლებლი აღმოჩნდა კომპოზიტორისათვის ვაგას პოემის ლირიკული მხარე, ბუნებასთან მინდიას გასაუბრების შთაგონებული პოეტური ფურცლები.

ისევე როგორც „ზვიადური“. მინდია“ აზოგადებს მშველიძის მუსიკალური სტილის ყველაზე ტიპურ თვისებებს. „მინდია“ მუსიკის ძლიერი მხარეები მის თვითმყოფ მუსიკალურ ენაში, მხატვრული სახეების ვაგაკურ ეპიკურ ხასიათში, საორკესტრო პარტიტურის კოლორიტულობაში მდგომარეობს. ამავე დროს, „მინდია“ გამოირჩევა მშველიძის სხვა ნაწარმოებთა შორის ფორმის კონცენტრიულობით და მთლიანობით, მწყობრი კომპოზიციით.

მეორე სიმფონიის შემდეგ შ. მშველიძე კვლავ დაუბრუნდა თანამედროვეობის ეპოსს თავის მესამე სიმფონიაში, რომელსაც პროგრამული სათაური აქვს — „სამგორი“ (1952 წ.). მესამე სიმფონია ქართული პროგრამულ-ეპიკური სიმფონიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, საინტერესო ნიმუშია. სიმფონია მიძღვნილია სამგორის არხის მშენებლობისადმი და უმღერის საბჭოთა ადამიანების გმირულ შემოქმედლებით შრომას. სიმფონიის პროგრამულმა ჩანაფიქრმა განსაზღვრა მისი კომპოზიციისა და მუსიკალური დრამატურგიის თავისებურებანი, ნაწარმოების მხატვრული სახეები მრავალფეროვანი და გამოკვეთილია. წარსულის მკაცრ და პირქუშ ეპიკურ სურათებთან ერთად (პირველი ნაწილი — „უდაბნო“) აქ ვხვდებით ჟანრულ-საზეიმო და ნათელ ლირიკულ ფურცლებს, შრომის დინამიკისა და პათოსის გამოხატვულ ეპიზოდებს, თუმცა ყველა მათგანი როდია მხატვრულად თანაბრად ძლიერი და დამაჯერებელი. ყველაზე ძლიერია სიმფონიის ეპიკური და პეიზაჟური ფურცლები (პირველი და მესამე ნაწილები).

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე შ. მშველიძის „ინდუ-

რი“ (1955 წ.) და „პოლიფონიური“ (1956 წ.) სურათები. პირველ მათგანში მშველიძემ ინდური მუსიკალური ფოლკლორის თავისებურებები საკუთარი სიმფონიური სტილის საფუძველზე წარმოსახა. „ზვიადურისა“ და მესამე სიმფონიის ავტორის „ხელწერა“ იგრძნობა „ინდური სტილის“ მიერ მუსიკაში. „პოლიფონიური სურათი“ თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ შ. მშველიძის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს. ესაა — ქართული ეროვნული კილო-ინტონაციური სტილის საფუძველზე კლასიკური პოლიფონიური ფორმების ათვისების ორიგინალური ნიმუში.

40-იან წლებში მთელი ძალით ახმოვანდა გამოჩენილი კომპოზიტორის ა. მაჭავარიანის ნათელი შემოქმედება — მან თითქმის შედარებულ შექმნა ნაწარმოებები, რომლებმაც ავტორის ფართო პოპულარობა მოუპოვეს. თვითმყოფი თვისებებით იყო აღბეჭდილი უკვე მისი პირველი დიდი ფორმის ნაწარმოები — საფორტეპიანო კონცერტი (1944 წ.), რომელიც ამ ჟანრის პირველ კარგ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მუსიკაში. უდავო მხატვრულ ინტერესს იწვევდა აგრეთვე ა. მაჭავარიანის სიმფონია (1947 წ.), რომელიც დრამატული სიმფონიის შექმნის ადრინდელ ცდას წარმოადგენდა ქართულ მუსიკაში, და ვოკალურ-სიმფონიური პოემა „გმირის სიყვდილზე“ (1948 წ.). კომპოზიტორის ამ შედარებით ადრინდელ ქმნილებებში უკვე ნათლად გამოვლინდა მისი მუსიკალური სტილის ტიპური თავისებურებანი: რიტმული სიმძაფრე და იმპულსურობა, განვითარების დინამიზმი და გამიზნულობა, მზურავლე ტემპერამენტული, ლირიკულ-პოეტური და ხალასი ჟანრული სახეების შეთავსება. მალე ა. მაჭავარიანი ქმნის თავის საუკეთესო ინსტრუმენტულ ნაწარმოებს — სავიოლინო კონცერტს (1949 წ.), ამ ჟანრის უდავოდ საუკეთესო ნიმუშს ჩვენს მუსიკაში. კონცერტი სამართლიანდაა აღიარებული საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად, მისი შექმნისათვის ავტორს სტალინური პრემია მიენიჭა. სავიოლინო კონცერტის მუსიკა დიდი შინაგანი პათოსით, კეთილშობილებით და რომანტიკული გზნებითაა გამსჭვალული. იგი სტილისტურად მთლიან და მტკიცე მხატვრულ ფორმაშია ჩამოყალიბებული. კონცერტის მუსიკალური ენა ყურადღებას იპყრობს მელოდიური სიმდიდრითა და გამოხატულებით, ქართული ხალხური მუსიკის სასიმღე-

ლილიმ მირცხულავა

ვივი აზმაიფარაშვილი

ვახტანგ ფალაშვილი





გიორგი გოგოლაშვილი



ზაკარია ხალვაშვილი



ლილე ლევაშვილი

რო და საცეკვაო სტიქიის მძაფრი შეგრძნებით.

დიდი წვლილი შეიტანა სიმფონიური მუსიკის განვითარებაში ქართველი კომპოზიტორების ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთმა უნიკეიტრესმა წარმომადგენელმა ო. თაქთაქიშვილმა. მისი სახელი პირველად ცნობილი გახდა 1945 წელს, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო კომისის მუსიკა შექმნა. შედარებით მოკლე ხნის მანძილზე ო. თაქთაქიშვილმა გვაჩვენა თავი, როგორც ჭეშმარიტმა სიმფონისტმა, ღრმა შთანაფიქრის, მასშტაბური კომპოზიციების ავტორმა. ო. თაქთაქიშვილის სახელთან მრავალმხრივად დაკავშირებულ ქართული ეროვნული სიმფონიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკადის — ლირიკულ-დრამატული სიმფონიზმის განვითარება. მისი ორი სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი და სიმფონიური პოემა „მწირი“ მნიშვნელოვანი მონაპოვრებია ამ გზაზე. ო. თაქთაქიშვილის მუსიკა ცხოვრების აქტიური შეგრძნების საფუძველზეა აღმოცენებული. მის ნაწარმოებებში, რომლებშიც ჩვენ თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სახეა აღბეჭდილი, ჩქვეს ეპოქის მძაფრი დინამიკური პულსი, ახალგაზრდა ავტორის პირველივე მნიშვნელოვანი ოპუსი დიდი მუსიკალური ფორმის სფეროში — პირველი სიმფონია სტალინური პრემიით იქნა აღნიშნული. ნაწარ-

მოების თემა — ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ფორმირება და გამაწვრთობა წინააღმდეგობებთან ბრძოლაში ტიპური ხდება კომპოზიტორის შემდგომი ქმნილებებისათვისაც.

ო. თაქთაქიშვილის უმაღლეს შემოქმედებით მიღწევას წარმოადგენს ცნობილი საფორტეპიანო კონცერტი (1951 წ.), რომელიც ფართო პოპულარობით სარგებლობს და ამჟამად ქართული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე სარეპერტუარო ნაწარმოებია. როგორც თავისი გარეგანი მასშტაბებით, ისე მხატვრული შინაარსის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით იგი კონცერტ-სიმფონიის ტიპს უახლოვდება.

ქართული ლირიკულ-დრამატული სიმფონიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელ ნაწარმოებად გვევლინება ო. თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია (1953 წ.). თავისი ჩანაფიქრით იგი ორგანულად უკავშირდება კომპოზიტორის ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებს, მაგრამ მისი შემოქმედების ძირითადი თემა — საბჭოთა ადამიანის პიროვნების ფორმირება — აქ უფრო ღრმა, მხატვრულად დამაჯერებელ და მკაფიო განსახიერებას პოუვებს.

ორიგინალური ნაწარმოები შემატა ქართულ მუსიკას ო. თაქთაქიშვილმა სიმფონიური პოემა „მწირი“ (1956 წ.). ეს ნაწარმოები აგრძელებს კომპოზიტორის შემოქმედების წამყვან ლირიკულ-დრამატულ ხაზს. თუმცა თავის ლიტერატურულ პროგრამასთან დაკავშირებით, იგი ტრაგიკულ გადაწყვეტას იღებს. წინათ ქართველ კომპოზიტორებს თავის საორიენტირო მხარეს შემოქმედებამ არაერთხელ მიუმაართავთ რუსული კლასიკური პოეზიისათვის, მაგრამ „მწირი“ პირველი ნაწარმოებია, რომელშიც ეს მიმართვა გაშლილი და რთული სიმფონიური ნაწარმოების ფორმებში გამოვლინდა. ფორმის პლასტიკურობა, მელოდიური განვითარების დინამიზმი, ჭეშმარიტი „პოემურობა“ მუსიკის რეალისტურ გამომსახველობასთან ერთად — „მწირის“ დიდ ღირსებას შეადგენს.

ქართული სიმფონიური მუსიკის აქტივს შეადგენენ აგრეთვე რ. ლალიძის ნაწარმოებები: სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“ (ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულის“ მიხედვით) და, განსაკუთრებით კი, პოპულარული „საჭიდაო“. ამ ბრწყინვალე საორკესტრო პოემა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საკონცერტო ესტრადა მოიარა, „საჭიდაო“

დ. გამრეკელი — გომა („ღარიჯან ბებიარი“)



ბალხური მხიარულების კოლორიტული ჟანრული სურათია. იგი ხამენელს იპყობს თავისი დიასპირაში, თქვეფაჟე ტემპერამენტით, საორგესტრო ფერების ელვარებით.

უკაიასხელი წლების ქართული მუსიკის დიდი შემოქმედებითი მიღწევაა ა. ბალახივაძის მეორე სიმფონია (1960 წ.). გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა, რომელმაც თავის დროზე შექმნა დღემდე საუკეთესო ქართული სიმფონია და გაამდიდრა ჩვენი მუსიკა მცირე საორგესტრო ჟანრის ისეთი შესანიშნავი ნიმუშით, როგორცაა „რიწას ტბა“ და სხვ. კვლავ ასახელა ქართული მუსიკალური კულტურა. ერთგული დარჩა რა თავისი თავისა, ბალახივაძემ შექმნა როგორც კონცერტები, ისე ფორმით და სტილით ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც თანამედროვე საბჭოთა სიმფონიური მუსიკის საუკეთესო მიღწევებია დღემდე დგას. სიმფონია თანამედროვეობისადმი მიძღვნილი. როგორც ეს საზოგადოდ ბალახივაძის მუსიკისათვისა და მახასიათებელი, სიმფონიაში „თანარსებობენ“ ლირიკულ-პოეტური, დრამატული და გმირული სახეები. ბალახივაძის ახალი ნაწარმოები მუსიკალური ენის თანადროულობით, მასალის კეთილშობილებით, დიდი შინაგანი დინამიზმითა და დახვეწილი პროფესიული კულტურით გამოირჩევა.



დ. შველიძე — ცანგალა („დალისი“)

არა ნაკლები მიღწევები ჰქონდა ომის შემდგომ წლებში ქართული ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრს, რომელსაც მსგავსად ბევრი სხვა ჟანრისა, 40-იან წლებამდე არ ჰქონია თითქმის არავითარი ეროვნული ტრადიციები. მით უფრო საგულისხმოა ქართველ კომპოზიტორთა მიღწევები მუსიკალური შემოქმედების ამ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ დარგში. ზემოთ ჩვენ უკვე შევხეთ ისეთ ცნობილ ნაწარმოებებს, როგორცაა ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები, თ. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი. ეს სია შეიძლება შევისოს ურთიერთისაგან ისეთი განსხვავებული ნაწარმოებებით, როგორცაა ა. ბალახივაძის მეორე და მესამე საფორტეპიანო კონცერტები, ნ. გუდაშვილის საფორტეპიანო და სამაგი (ფორტეპიანოს, ვიოლინოსა და ჩელოსათვის ორკესტრთან ერთად) კონცერტები, თ. თაქთაქიშვილის სავიოლინო კონცერტინო, თ. გორდელის ფლეიტისა და საფორტეპიანო კონცერტები, ს. ნასიძის საფორტეპიანო

კონცერტი, ბ. კვერნაძის საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ა. ბალახივაძის მესამე კონცერტი, რომელიც კომპოზიტორის ერთ-ერთ უმაღლეს შემოქმედებით მიღწევად გვევლინება.

კობე მეღვინეთი უხუცესი

ვახტანგ ტაბლაშვილი

შოთა აღსაბაძე



კონცერტის საბჭოთა ბავშვებისადმი მიძღვნილი და გამიზნულია ნორჩი შემსრულებლებისათვის, ვინც თავის მალალი მხატვრული თვისებების წყალობით, იგი მრავალი ცნობილი პიანისტის რეპერტუარში შევიდა. ულარესი სისადავე, ანკარა, სპეტაკი მუსიკალური სახეები, დახვეწილი გემოვნება და ფორმის სკულპტურული გამოკვეთილება მას მუსიკალური კლასიკის დონემდე ამაღლეს.

რაც შეეხება კამერულ-ინსტრუმენტულ ჟანრს, მისი განვითარებაც ომის შემდგომ წლებში არაერთი ნათელი შემოქმედებითა გამარჯვებითა აღინიშნული, განსაკუთრებული მიღწევები აქვთ ამ ჟანრში ნ. გუდიაშვილს, ა. შვერსაშვილსა და ს. ცინცაძეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დადებითი როლი, რომელიც თბილისში საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ჩამოყალიბებამ (1944 წ.), იგი ჩინებულ შემოქმედებით ბაზად იქცა მწვენი კომპოზიტორებისათვის. საინტერესოა, რომ სწორედ ამ კვარტეტთან გამოვიდა ნიჭიერი ს. ცინცაძე, რომელიც თავდაპირველად აქ ჩელოს პარტიას ასრულებდა. მისმა ნიჭმა პირველად ალაპარაკა მუსიკალური საზოგადოებრიობა 1947 წელს, თბილისში გამართულ რესპუბლიკურ კონკურსზე, როდესაც 22 წლის კომპოზიტორის სიმებიანმა კვარტეტმა პირველი პრემია დაიმსახურა. ორიოდე წლის შემდეგ მეორე კვარტეტისა და სამი მინიატურის შექმნისათვის ცინცაძეს, მაშინ ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტს, სტალინური პრემია მიენიჭა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეორე კვარტეტი. წარმოადგენდა რა საეტაპო ნაწარმოებს თვით კომპოზიტორის შემოქმედლებაში, მეორე კვარტეტი ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის დიდი შინაძენია, საკვარტეტო ჟანრის პირველი სრულქმნილი ნიმუში იყო საქართველოში. ნაწარმოების მთელი მუსიკა თითქოს და ქართული ხალხური სიმღერის წიაღშია დაბადებული. მისი მქოლავები მღერადა და გამომსახველია, ფორმა ნათელი და დახვეწილი. ს. ცინცაძის საკომპოზიტორო ოსტატობა კიდევ უფრო დასრულებული სახით გამოვლინდა მესამე სიმებიან კვარტეტში (1950 წ.), რომელიც აგრძელებდა თავისი წინამორბედის კანონულ-ლირიკულ ხაზს. ამ ორი კვარტეტისაგან განუყოფელია ამავე წლებში შექმნილი საკვარტეტო მინიატურების ორი ცილი, ასევე საავიოლონჩლო პიესები, რომლებიც ენათესავენება მისავე კვარტეტებს, როგორც თავისი თემატიკით, ინტონაციური მასალით, ისე ინსტრუმენტობის ცალკეული ხერხებით. ესენია

უპირატესად ქართული ხალხური ყოფის სურათები („საქვადლო“, „მწვეჭმურის“), ან „მეორესკობული“ სკერცოდო („ინდი-მინდი“, „სახუმარო“), ან კიდევ უშუალო და „ღულა“ წრფელი ლირიკული სიმღერები („ლალო“, „სიმღერა“, „გაფრინდი, შავო მერცხლო“).

კომპოზიტორის შემოქმედებითმა ძიებებმა მკვეთრი გამოხატულება პოვეს 1953 წ. შექმნილ მეთხუთ კვარტეტში, რომელიც მოფიქრებულია, როგორც ლირიკულ-დრამატული ნაწარმოები. კომპოზიტორის სწრაფვის გააფრთხილის კამერული ჟანრის ჩარჩოები. აქ კვალაც აღარ რჩება მისი წინა ინსტრუმენტული ნაწარმოების ფაქიზი მინიატურებისა და მყუდრო ინტიმობისაგან. მეთხუთ კვარტეტის მუსიკა მღელვარე, დინამიკურია, ფორმა—ფართოდ გაშლილი და განხილვარებული. კომპოზიტორი ხშირად მიმართავს პოლიფონიურ ხერხებსა და ორკესტრული ხმოვანების იმიტაციას. მთელი ნაწარმოები, — დაძაბული პირველი ნაწილიდან სწრაფვითი ხასიათის ფინალამდე, დიდი შინაგანი მთლიანობითაა შეკრული. მეთხუთ კვარტეტის პარალელურად ს. ცინცაძემ შექმნა სიმებიანი კვარტეტისათვის მესამე სულიც, რომელიც შედგება 6 პიესისაგან სახალდ დემოკრატიული ქვეყნების მუსიკალური ფოლკლორის თემებზე. ცინცაძის აღიარებული ოსტატობა ინსტრუმენტული მინიატურის დარგში აქ ახალი, თავისებური ფერებით აელვარდა.

ნაკოვინად უშუაღის კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის დარგში ნ. გუდიაშვილი. მისმა ნაწარმოებებმა პოპულარობა მოიპოვეს მხატვრული სახეების სისხცადის, დახვეწილი გემოვნების წყალობით. ნ. გუდიაშვილის ცენტრალურ ნაშრომებს ამ ჟანრში წარმოადგენს საფორტეპიანო კონცერტები (1949 წ.), რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა საკონცერტო რეპერტუარში. გუდიაშვილის კონცერტო ფართო მასშტაბის კომპოზიციაა, რომლის თვით ნაწილი დრამატულია ჩანაფიქრის ერთიანობითაა შეკრული, კომპოზიტორი ამყდნავს მუსიკალური ფორმის ოსტატურ დაუფლებას, კამერული ინსტრუმენტობის ტექნიკას. საერთო აღიარება პოვა გუდიაშვილის საფორტეპიანო სონატინამ (1950 წ.), რომელიც შევიდა როგორც საკონცერტო ისე, პედაგოგიურ რეპერტუარში.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის დარგში ალ. შვერსაშვილმა. მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს საფორტეპიანო ტრიოს (1952 წ.), რომელმაც თავისი მალალი მხატვრული და პროფესიული ღირსებების წყალობით საკავშირო მასშტაბით გაიხმოვანა. გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი და მოსტაკოვიჩი აღნიშნავდა, რომ ნალვლანის, მელანქოლიური ტრიოების შემქმნის ტრადიციის საწინააღმდეგოდ შვერსაშვილმა დაწერა ნათელი ოპტიმისტური ნაწარმოები, რომელიც გვიხილავს როგორც თავისი ცხოველმყოფელობით, ისე ავტორის შემოქმედებითი სიმწიფით.

კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის დარგში არაერთი ჩინებული ნაწარმოები შექმნეს ძირითადად სხვა მუსიკალურ ჟანრებში მოშუავე კომპოზიტორებმაც. აღსანიშნავია, მაგალითად, ა. ბალანცაძის საფორტეპიანო ბალადა, რომელიც ცნობილი ხალხური სიმღერის „გუმნი შვიანი გურჯაანელის“ პოეტურ შინაარსს და მქოლავის მასალას ემყარება, ა. მაჭავარიანის მალაპოეტური საფორტეპიანო ბალადა „ბაზალეთის ტა“, მისივე ეფექტური საავიოლონჩო პიესა „დლოური“ — თავისებური ქართული „პერპეტუუმ მოვილი“, რ. გაბრიჩაძის სიმებიანი კვარტეტი, რ. ლალიძის საავიოლონჩლო

„აპასალო და ეთერი“, ეთერი — თ. თაქთაქაშვილი, აბისლომი — ნ. ანჯაფარიძე



პიესები და სხვ. კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრისადმი ინტერესს იჩენს ახალგაზრდობა, საკმარისია დავასახელოთ ო. გორდელის საფორტეპიანო კვირტეტი, ბ. კვერნაძის საფორტეპიანო პიესები, ს. ნასიძის ტრიო, მ. დავითაშვილის, ტ. ბაქრაძის, დ. ჩხეიძის, მ. ფარცხალაძის, მ. სვანიძის და სხვათა ინსტრუმენტული პიესები.

კამერული ჟანრის ვოკალური ნაირსახეობა რომანსი და სიმღერა ყველაზე „ხანდაზმულია“ ქართული მუსიკის სხვ. ჟანრებს შორის და მას მიდიდარი ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს, ქართული პროფესიული მუსიკის გარიტარეზე მ. ბალანჩივაძე წერს თავის შესანიშნავ რომანსებს, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი დ. არაქიყვილი ვოკალური ლირიკის კლასიკურ ნიმუშებს იძლევა. ამ პოპულარული ჟანრისადმი ინტერესს მრავალი ქართველი საბჭოთა კომპოზიტორი იჩენდა. ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების შემდეგ მას მიმართავენ საბჭოთა კომპოზიტორების უფროსი თაობის წარმომადგენელი, რომელთაც ჯერ კიდევ სამამულო ომამდე შექმნეს რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები. ი. ტუსკიას ვოკალური ციკლი ი. ჭავჭავაძის ტექსტებზე (მათ შორის „ელვია“ და „შემისი მესხის“, შ. მშველიძის „ორფეა“ და „გება წიღაურ“, თ. შავერზაშვილის „ლერწაში ხარ“ და სხვა). თანამედროვე ქართულ მუსიკაში მკვეთრად გამოირჩევა ა. მაჭავარიანის რომანსები, რომლებიც მსმენელს იტაცებს მუხრავალ ემოციურობით, პოეტური ამალღებულობით, მუსიკალური სტილის თვითყოფილობით. ასეთებია მისი „არ დაიღარდო, დედაო“, შთაგონებული „ცისა ფერს“, უსპეტაკესი პოეტური ვედრება — „სივო, მუჟოა შუის სახეო“. მაღალი მხატვრული ღირსებებით სიზღავენ მსმენელს ა. ჩიშაკაძის რომანსები „იავნანა“, „შენი დალაღნი“, „ჩინო ჭავჭავაძეს“, რ. გაბრიელიძის „შევიწრობ ცრუმლსა“, მისივე „აკავანი“ და „პიონერული მარში“, რომელსაც მთელი საბჭოთა კავშირის ბავშვები მღერიან. ფართო პოპულარობა მიიპოვეს ნიჭიერი რ. ლალიძის „სიმღერამ თბილისზე“ და სიმღერამ კინოფილმიდან „საბუღარელი ჭაბუკი“. ნაყოფიერად მუშაობენ კამერულ-ვოკალური ჟანრის სხვა მონათესავე სფეროებში (საბავშვო, მასობრივი, საგუნდო, საესტრადო სიმღერები) მ. დავითაშვილი, შ. მილორავა, ვ. ცაგარეიშვილი, გ. კოკელაძე, ს. მირიანაშვილი, გ. ცაბაძე და სხვ.

ცოტა მოიძებნება პროფესიული მუსიკალური შემოქმედების დარგი, რომელიც ესოდენ ორგანული და ბუნებრივი იყოს ჩვენი კულტურისათვის, როგორც არის ვოკალურ-სიმფონიური ჟანრები (ორატორია, კანტატა, სხვადასხვა სახის საგუნდო ფორმები). ქართველმა ხალხმა თვით მოგვცა მაღალგანვითარებული აზროვნების საოცარი ნიმუშები საგუნდო სიმღერებში, რომლებშიც ყველაზე ნათლად გამოვლინდა მისი უროვნული მუსიკალური გენია. ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეფრეში“ ქართულმა ხალხურ-სასიმფერო სტილმა გენიალური განსახიერება აპოვა. „აბესალომ და ეფერი“, რომელიც თავისი ჟანრობრივი ტიპით ოპერა — ორატორიას უახლოვდება, ქართული ვოკალურ-სიმფონიური მუსიკის ამოსავალ წერტილად იქცა. თვით ფალიაშვილმა მოგვიანებით შექმნა „საზეიმო კანტატა“. ასევე მ. ბალანჩივაძემაც დაწერა კანტატა „დიდება ზაქეს“. 30-იან წლებში შექმნილ ნაწარმოებთა შორის შეიძლება აღინიშნოს კოლექტიური კანტატა, ი. ბ. სტალინისადმი ქართველი ხალხის მიმართვის ტექსტზე, დაწერილი გ. კილაძის, შ. მშველიძის, ა. ბალანჩივაძის, ვ. გოციოლისა და ი. ტუსკიას მიერ. მომ-



„ქეთო და კოტე“, მაქარი — ოგანესიანი, სიკო — მამაძაველი
საქო — სვანიძე

დენო ხანების ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია ი. ტუსკიას „კანტატა სტალინზე“ (1949 წ.), ა. შავერზაშვილის კანტატა „ჰიმნი სამშობლოს“ (1951 წ.), ორატორია „დიდება ოქტომბერს“ (1959 წ.) და კანტატა „ჩემი სამშობლოს სიმღერები“ (1960 წ.).

„ამაგი ტარილისა“, ტარილი — დ. ანდლუაძე,
ბიბინილი — ვ. მირიანაშვილი





სენა ბალეტდიან „მშვიდობისათვის“

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ ჟანრის სამი შესანიშნავი ნიმუში — შ. მშველიძის ორატორია „კავკასიონი“ (1949 წ.), ა. ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული“ (1952 წ.) და ა. მაჭავარიანის ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“ (1954 წ.). მშველიძის „კავკასიონი“ გიმორე-ეპიკური ხასიათის ნაწარმოებია და მიძღვნილია კავკასიის გიმორელი დაცვისამებ (სამაშულთ ომი). ეროვნული ეპოსისა და მუსიკალური სტილის, საქართველოს „მთის“ ზვიადი ბუნების იშვიათად მახვილი და ორგანული გრძობა მშველიძის შემოქმედების განუყოფელი თვისებებია, რომელმაც მკაფიო გამოსატყულება პიპოვა „კავკასიონში“.

ახალი ქართული მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ და მაღალნიჭურ ნიმუშს წარმოადგენს ა. ჩიმაკაძის გიმორე-ეპიკური კანტატა „ქართლის გული“. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ შ. ფალიაშვილის ოპერების გენიალური საგუნდო ეპიზოდების შემდეგ, ქართულ ვოკალურ-სიმფონიურ მუსიკაში არ შექმნილა ასეთი მაღალი მხატვრული რანგის ნაწარმოები. მუსიკალური ენის თვითმყოფობა და კეთილშობილება, მხატვრულ სახეთა სკულპტურული გამოკეთილება, ფორმის გაშლის ორგანული და ქვემარტივ სიმფონიზმი ა. ჩიმაკაძის ნაწარმოებს საბჭოთა მუსიკის საუკეთესო მიღწევათა რიგებს აკუთვნებს. კანტატის ოთხ ნაწილში ირდება ქართველი ხალხის დრამატიზმით აღსავსე ისტორიის (შუა ნაწილებში) და ჩვენი თანამედროვეობის (განაპირა ნაწილები) სურათები. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი, რომელიც დაქაწრო საქართველოს კომპოზიტორთა 1952 წლის პუნუსს, წერდა: „ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა ა. ჩიმაკაძის კანტატამ „ქართლის გულმა“... ტალანტი პირდაპირ შადრევანივით ჩქვეს ამ კანტატაში. მის შესუნღებელი ინტერესით ისმენ. გამომსახველი და კოლორიტული მღერდები, მშვენიერ პარმონია, გუნდისა და ორკესტრის ორიგინალური და მარჯვე გამოყენება, ნაწარმოების ღრმა შინაარსი და იდეურობა ყველა ეს, აღაფრთოვანებს მსმენელებს (გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1952 წ. 30 ნომერი).

ა. მაჭავარიანის ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“ სართილიანად სარგებლობს პოპულარობით. იგი საბჭოთა მანების ნათელი ცხოვრებისა და მათი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისადმი მიძღვნილი. ორატორია წარმოადგენს მუსიკალური სურათების ციკლს, რომლებიც გვიხატავს ჩვენი სამშობლოს ცხოვრების მრავალფეროვან მხარეებს. მაჭავარიანის მუსიკა ოპტიმისტური პათოსით, ნათელი ღირსშეიბა გამსჭვალული და ყურადღებას იპყრობს მღერდებურ სიმდიდრითა და კოლორიტულობით. ზოგიერთ ეპიზოდში კომპოზიტორი ოსტატურად, შემოქმედებითად ავითარებს ხალხური სიმღერების ინტონაციურ და თემატიკურ მასალას. შთაბეჭდილებას ერთგვარად ანელებს მკვეთრი კონტრასტების უქონლობა ნაწარმოებში.

უკანასკნელ ხანებში ვოკალურ-სიმფონიურ ჟანრში სანტრესო ნაწარმოებები შექმნა თ. თაქთაქიშვილმა. ესაა მისი ოთხი ციკლი სოლისტიკისა და ორკესტრისათვის, რომლებიც ვაჟა ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტბიძის, ვიორჯი ლორთქიასა და ირაკლი აბაშიძის ტექსტებზეა დაწერილი. განსაკუთრებით ძლიერია ვაჟასა და გალაკტიონის პოეტური შედევრების მიხედვით შექმნილი ციკლები. პირველი მათგანი უფრო ჯანსაღი და ძალუმი ემოციების, მთლიანი, გაუმზარავი ადამიანური ფსიქიკის გამომხატვლია და მისი ლაღი, გაუგებ-კური სულითაა გაჟღერებული, მეორე კი უფრო მგრძობიარე და რაფინირებული განცდების გადმოცემია, აღბეჭდილია მძაფრი სულიერი კონფლიქტებით. ყოველივე ეს უსაფერის გამომსახველს პოულობს მუსიკალურ ენაში, მხატვრულ გამომსახველ საშუალებათა თავისებურებაში.

თუ რა დიდი ნაბიჯები გადადგა წინ ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ გასული 40 წლის მანძილზე, ნათლად დასტურდა ჩვენი საბალეტო ჟანრის მაკალითობა. ქართულ ბალეტს ხომ არავითარი პროფესიული ტრადიციები არ ჰქონია წარსულში.

ქართველმა ხალხმა შექმნა უაღრესად ორიგინალური ერთნაირი ქორეოგრაფიული ხელოვნება, ხალხური ცეკვები, რომელშიც ცეცხლოვანი ტემპერამენტი და გზნება პოეტურ კდემამოსილობასთანაა შეერთებული. ქართულ კლასიკურ ოპერებში საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი ეროვნულ ცეკვებს და სწორედ აქა ჩვენი საბალეტო ხელოვნების სათავეებიც, მაგრამ პირველი ბალეტი, რომელიც ორგანულ სინთეზში იყო მოცემული ერთგვლი და დაკასიკური საცეკვო ფორმები, როგორც უკვე ითქვა, არის ა. ბალაჩივიძის „მთების გული“. მან არა მარტო გაუკავა გზა საბალეტო ჟანრის ჩვენში, არამედ მძლავრი სტიმულის როლი შეასრულა სხვა მოძებრების საბალეტო ხელოვნების განვითარებაში. გამორჩეული საბჭოთა კომპოზიტორი და მოსტაკოვიჩი წერდა იმ ხანად: „მუსიკის შესანიშნავი თვისებები ამ ბალეტს პირველ ადგილზე აყენებს იმ საბჭოთა ბალეტებს შორის, რომლებიც უკანასკნელ წლებში შეიქმნა. პარტიკული ცალკეული მომენტები უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს. ეს განსაკუთრებით შეეხება მე-4 სურათის ფინალურ ცეკვას და მთელი ბალეტის ფინალს. ლირიკული მუსიკა, რომელიც მანიჭებს და ჯარჯის სიყვარულის გვიხატავს, გვაოცებს თავისი სიწმინდითა და კეთილშობილებით. საზოგადოდ, ამ მუსიკაში არაფერია წვრილმანი, ყველაფერი ძალზე ღრმა და, მე ვიტყვი, ამაღლებულია, ბევრია სერთოზული პათოსი, რომელიც მისი მაღალი პოეტურობისაგან მომდინარეობს“.

ქართული ბალეტის მომდევნო საგულისხმო ნიმუში უკვე ომის შემდგომ შეიქმნა გ. კილაძის „სინათლის“ სახით (1947 წ.), რომელსაც უტყუარი მხატვრული წარმატება ხვდა წილად. კომპოზიტორის ბალეტის დამდგმელ ჯგუფთან ერთად (რეჟისორი ვ. ჭაბუკიანი) სტალინური პრემია მიენიჭა. „სინათლემ“, რომლის იდეურ საფუძველს ბორბოსისა და კეთილი საწყისების დაპირისპირება და ამ უკანასკნელის გამარჯვება წარმოადგენს, შეთავსებულია ფანტასტიკური და რეალუო-ყოფაცხოვრებითი სახეები, ლირიკული და გმირულ-ეპიკურული მოტივები. კილაძის მუსიკის მიმზიდველი მხარეები მის კოლორიტულობასა და მკაფიო სასოვნებაში მდგომარეობს.

ქართული საბალეტო ჟანრის ერთ-ერთ ყველაზე საოპერტურო ნაწარმოებად იქცა ნიჭიერი დ. თორაძის გმირულ-რომანტიკული ბალეტი „გორდა“ (1949 წ.), რომლის წარმოდგენათა რიცხმბა დღეისათვის 200-ს გადაჭარბა. „გორდა“ კომპოზიტორის პირველი ცდა იყო საბალეტო ჟანრში, და მისმა თანამშრომლობამ ვ. ჭაბუკიანთან კეთილი ნაყოფი კამიოთ. კომპოზიტორის ნაშუშეგარი სექტეტალის მონაწილეებთან ერთად სტალინური პრემიით იქნა აღნიშნული. თორაძის მუსიკის უდავო ღირსებას მისი მკაფიო თეატრლობა, ცეკვადობა, კოლორიტულობა შეადგენს, იგრძნობა ცდა მუსიკის სიმფონიზაციისა. ფართოდაა გამოყენებული ფორტოც კლასიკური, ისე ხალხურ-ყოფითი საცეკვაო ფორმები. ცალკეულ ეპიზოდებში (მთელი პირველი აქტი, ჩაკირვის სცენა და სხვა) კომპოზიტორი აღწევს მაღალ მუსიკალურ გამომსახველობას, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუსიკალური ენა არ არის მუდამ სტილისტურად თანაბარი, ხოლო მასალა მაღალხარისხიანი.

კომპოზიტორის სრულფასოვან შემოქმედებით გამარჯვებულად ვერ ჩაითვლება მისი მეორე ბალეტი „მშვიდობისათვის“ (1953 წ.), რაც მით უფრო დასაბანი, რომ იგი, თანამედროვე და უღელმსაღ აქტუალური თემისადმი მიძღვნილი, საბჭოთა ბალეტის შექმნის ცდას წარმოადგენდა. ბალეტი უმღერის საბჭოთა ხალხის გმირობას დიდ სამამულო ომში, პროგრესული კაცობრიობის ბრძოლას მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. მუსიკის წარუმატებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ იგი უმეტესად ილუსტრაციულია და ასე ვთქვათ „გამოყენებითა“, არაა აღბეჭდილი მკაფიო სასოვნებით და საკამოდ ტრელია სტილისტურად და ინტონაციურად.

ქართული საბალეტო ჟანრის მძლავრი პროგრესის მაჩვენებელია ის იშვიათი წარმატება, რომელიც წილად ხვდა ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“, რომლის წარმოდგენები მოსკოვში უკანასკნელი დეკადის დროს ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ტრეშმარტ ტრიუმფად იქცა.

კომპოზიტორმა წარმატებით გაართვა თავი უძნელეს შემოქმედებით ამოცანას — აემუტყველებინა მუსიკაში შექსპირის ტრაგედიის უკვდავი სახეები. „ოტელოში“ ა. მაჭავარიანის, წარმოგიდგება კომპოზიტორ-დრამატურგად, თეატრალურ-სიმფონიური ჟანრის დიდ ოსტატად. მყოლიდური სიმღერე და გამომსახველობა, გმირთა პორტრეტულ დახასიათებათა სახოვნება, დინამიური განვითარება — ყოველივე ეთ ა. მაჭავარიანის ბალეტს მუსიკალური შექსპირიანის სერიოზულ შენაქენად ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბალეტში მთავარ



ს. ინაშვილი
მურმანის როლში

გმირებთან — ოტელოსა და დეზდემონასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, სადაც კომპოზიტორი მისთვის ჩვეულ ლირიკულ ექსპრესიულობასა და გამომსახველობას ამჟღავნებს. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბალეტში ჟანრულ-სახასიათო სცენებსა და ცეკვებს, რომლებიც მასხილი, იმპულისური რიტმებითა და სარეკესტრო ტემპორის ფერადოვნებით გამოირჩევა. ა. ბალანჩივაძის „მთების გულის“ შემადგ., „ოტელო“ პირველი ქართული ბალეტია, რომელმაც საკავშირო სცენაზე გაიღო ფესვები (ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში). „ოტელო“ სარეპერტურო გეგმაში აქვს შეტანილი საბჭოთა კავშირის რიგ თეატრებსა და აგრეთვე პარიზის „გრანდ-ოპერას“. ავეისტოში მისი პრემიერა შედგება იაპონიაში.

მუსიკალური სასოვადობრიობა (და არა მარტო ქართული) დიდი ინტერესით მოელოდა ახალ ქართულ ბალეტს „დემონს“ (მუსიკის ავტორი ს. ცინცაძე, ბალეტმეტსტერი ვ. ჭაბუკიანი). როგორც ჩანს, ბალეტმა მხოლოდ ნაწილობრივ თუ გაამართლა ის დიდი იმედები, რომლებსაც მასზე აყვარებ-

სცენა ბალეტოდან „სინათლი“





სცენა ოპერადან „დაუპატიებელი სტუმრები“

კარგინათობის ყველაზე უტყუარი სასომია. მოკლედ შევეჩურ-
დეთ მათზე.



შ. მშველიძის „ამბავი ტარიელის“ კომპოზიტორის პირ-
ველი ცდაა საოპერო ჟანრში. იგი მოფიქრებულია დიდ გმი-
რულ-ეპიკურ ოპერად და თავისი მიხუტხუტური საგუნდო
სცენებით (სწორედ ეს უკანასკნელი შეადგენს ოპერის მხატვ-
რულად ყველაზე საინტერესო ნაწილს) განვითარების ეპიკური
სიფართოვდა და სიღარიბისლით ოპერა — ორატორიის ტიპს
უახლოვდება. „ტარიელის“ მუსიკის ძლიერი მხარეები მისი
ერთგუნული სტილის სიმტკიცესა და ორიგინალობაში, თემატიკ-
ური მასალის კეთილშობილებაში, ემოციური ტონუსის ვაე-
კაცურობაში მდგომარეობს. განსაკუთრებით ძლიერია ოპერის
შუა აქტები, განაპირა აქტები კი საგრძობლად კარგავენ თა-
ვის შთამბეჭდავ ძალას დრამატურულიად არასრულფასო-
ვანი ლირიკტოს გამო. (აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს „ვეფ-
ხისტყაოსნის“ მიუღი უაღრესად მდიდარი სიუჟეტის ერთ
საოპერო ნაწარმოებში მოქცევის სიძნელე და, შესაძლოა, გა-
უმართლებლობა კი).

დენს. საბოლოო მსჯავრის გამოტანა ჯერ ნაადრევია, მაგრამ
სუკე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ლერმონტოვის პოემის
დრმა ფსიქოლოგიური შინაარსი და ფილოსოფიური პრობლე-
მატიკა საქმეტკალის ავტორებმა ვერ გადაწყვიტეს, ს. ცინცა-
ძემ დაწერა პირველხარისხისოვანი პარტიტურა, რომელიც თა-
ნამედროვე მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო მიღწევებს
ითვალისწინებს, მაგრამ „დემონის“ მუსიკის ნაკლად უნდა
ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში სჭარბობს ილუსტრა-
ციულობა და ძირითადად მისდევს ბალეტმეისტრის სა-
დავსს.

ქართველ კომპოზიტორთა წარმატებებსა და წინსვლის
ამ ფონზე გაცილებით უფრო მკრთალად გამოისურება მათი
მიღწევები მუსიკალური შემოქმედების ყველაზე მასობრივი
და დემოკრატიული და, ამავ დროს, ურთულესი ჟანრის —
ოპერის დარგში. ეს მით უფრო დასაწინაა, რომ ქართულ
პროფესიულ მუსიკას ხანგრძლივი და შესანიშნავი კლასიკურ
ინტრადიციები აქვს ამ ჟანრში. ცხადია, მშენი იმის თქმა,
რომ ჩვენმა კომპოზიტორებმა დაკარგეს მისდამი ინტერესი.
სუკე რიცხვობრივი მაჩვენებლები — 20-ზე მეტი ოპერა უკა-
ნასკნელი 20 წლის მანძილზე საწინააღმდეგოვს მტკიცებულს,
მაგრამ ფაქტია, რომ მხატვრულად სრულფასოვანი ახალი
ქართული ოპერის (მით უმეტეს, საბჭოთა თემატიკაზე ავე-
ბული ოპერის) შექმნა ჯერ-ჯერობით გადაუტრეულ ამოცანად
რჩება ჩვენი კომპოზიტორებისათვის. — გ. გოგიელის „პატარა
კახი“, დ. თორაძის „მთების ძახილი“, ა. მაჭავარიანის „დედა
და შვილი“, ა. ბალანჩივაძის „შპია“, ა. ანდრიაშვილის
„ლაშქარა“ და „ზვავი“, ა. შავერშაშვილის „მარინე“, ა. ბუ-
კიას „არხანა“, რ. გაბრიელიძის „ნანა“ — ზოგიერთი მათგანში
იყო რიგი საინტერესო, დასამსახურებელი ფურცლები, მაგ-
რამ ყველა ისინი სცენურად უდღევრნი აღმოჩნდნენ სხვადა-
სხვა მიზეზების გამო (ლიბრეტოს გაუშარათავადა, ანეიტრა-
ლური“, მკაფიო სახიფათობის მოკლებული მუსიკა, პასიური
ტრადიციონალიზმი, ზოგჯერ პროფესიული უწყობაც კი და:
ს. შ.), მაგრამ სამართლიანობა მიითხოვს აღინიშნოს, რომ
საოპერო ჟანრშიც შეიქმნა ნაწარმოებები, რომლებიც ახალი
ქართული მუსიკის აქტივს მიეკუთვნებიან, მათი ზოგიერთი
ჩრდილოვანი მხარეების მიუხედავად. ასეთებია: შ. მშველიძის
„ამბავი ტარიელის“ (1946 წ.), ა. კერესელიძის „ბაში-
აჩუკი“ (1946 წ.), დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“
1957 წ.), ა. ბუკიას „დაუპატიებელი სტუმრები“ (1949 წ.)
და გ. გოგიელის „წითელქუდა“ (1959 წ.). უმეტესობა დღე-
საც განაგრძობს თავის სცენურ სიცოცხლეს, რად მათი ავ-

„დიდი“ ოპერის ტრადიციების შესაბამისად, ნაწარმოებში
მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამოძილი სანახაობით-დეკო-
რაციულ მომენტებს) საზენო ცერემონიალები, ბატალური
სცენები, საბალეტო დივერტისმენტები. მდიდარი და კოლო-
რული, თემატ ზოგჯერ ზედმეტად გადატვირთული და კომ-
პაქტურია ოპერის საორგესტრო პარტიტურა.

უდავოდ საყურადღებო ნაწარმოებია ა. კერესელიძის „ბა-
ში-აჩუკი“ (წინა რედაქციაში „ბურუსა“).

ა. კერესელიძის მუსიკა თავის საუკეთესო მომენტებში მე-
ლოდიურად მკაფიო და გამომსახველია, გამსჭვალულია მასობრივ
სცენების სასიმღერო ინტონაციებით (განსაკუთრებით ხალხობრივ
სცენებში) და დრამატურულიადაა გააზრებული. კომპოზი-
ტორი კარგად გრძობს ვოკალის ბუნებას, თავისუფლად
ფლობს მუსიკალური გამომსახველობის სხვადასხვა ხერხებს.
ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ოპერის საგუნდო და სასანამ-
ბლო ეპიზოდები. ამავ დროს, აღსანიშნავია, რომ ოპერის
საერთო მუსიკალურ-დრამატურული ქარგა არაა დაზღვეუ-
ლ რივი ხარვეზებისაგან (ეს იოქმის თვით ოპერის მთავარი
გმირის — ბაში-აჩუკის შესახებაც კი, რომლის მუსიკალური
სახე ერთგვარად მოკლებულია ჭეშმარიტ სიცოცხლისეულ-
ობასა და ქმედითობას), მაგრამ მიუხედავად ამისა, ა. კერესე-
ლიძის „ბაში-აჩუკმა“ მინაც დამკვიდრა საკმაოდ მტიცე-
ადგილი ჩვენი საოპერო თეატრის რეპერტუარში.

საოპერო ფორმას კარგად დაუფლებულ ოსტატად გვაჩვენა
თავი დ. თორაძემ „ჩრდილოეთის პატარძალი“, რომელიც,
ა. გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის პოეტური, ტრავიკოზით
აღსაქმე სიყვარლის ისტორიისაგანა მიძღვნილი. ოპერის
წარმატებას ხელს უწყობს მისი თეატრალურობა და ემოციურ
სიმახვილე, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა არაა მუდამ
თანაბარი ღირებულების. ოპერაში ყველაზე საინტერესო და
გამომსახველია ნინოს პარტია. ძლიერ შთაბეჭდილებას სტო-
ვებს ეპილოგი (სცენა გრიბოედოვის საფლავთან, მიაწმინდა-
შე), რომელიც კომპოზიტორი უტყუარ დრამატულ ნიჭსა და
ექსპრესიას ამტკიცებს.

მიმდინარე წელს „ჩრდილოეთის პატარძალი“ რამდენ-
ჯერზე დღი წარმატებით ექნა წარმოდგენილი საკონცერტო
შესრულებით მსოფოში (დედაქალაქის მუსიკალური თეატ-
რის მსახიობთა ძალებით).

ა. ბუკიას „დაუპატენტებელი სტუმრები“ ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა საბავშვო ოპერაა. მის პოპულარობას ძალზე შეუწყო ხელი საცემში რადიოს მიერ არაერთჯერად გამომცემლმა რადიო-მონტაჟმა რუსულ ენაზე. როგორც თავისი თემით (პიონერების ბრძოლა მცენარეთა მანქანების წინააღმდეგ), ისე სასოფანი, კოლორიტული და მღერადი მუსიკით, იგი მისაწვდომი და მიმზიდველია ნორჩი მსმენელებისათვის. საბავშვო ჟანრში არსებული ტრადიციების შესაბამისად, კომპოზიტორის ოპერაში შეაქვს მთელი — ზღაპრულ-ფანტასტიკური პლანი, სადაც იგი მხატვრულ კონტრასტებითაა და ოსტატობას ამტკიცებს. „დაუპატენტებელი სტუმრები“ მელოდრამა პოპულარობა მოიპოვეს და ჩვენი ბავშვების მუსიკალურ ყოფაში დამკვიდრდნენ. ამას წინათ მოვიდა ცნობა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოპერა დადაქ. სტალინშტატის ერთ-ერთმა მუსიკალურმა სკოლამ.

წარმატება ხვდა წილად აგრეთვე ვ. გოკიელის საბავშვო ოპერა-ზღაპარს „წითელქუდას“, რასაც ის გარემოებაც მოწოდებდა, რომ იგი იდგმება ქ. ვილნიუსის საოპერო სცენაზე (სამწუხაროდ, ეს ჯერ-ჯერობით ერთადერთი შემთხვევა თანამედროვე ქართული ოპერის განვლითა საცემში სცენაზე). „წითელქუდას“ მუსიკა მელოდური, სადა და სასოფანია. ოპერის სიუჟეტი, რომელიც შეთავსებულია ზღაპრული და კომიკური მომენტები, საგრძობად გაფართოებულია ლიტერატურულ პირველწყაროსთან შედარებით. ვ. გოკიელის „წითელქუდას“ საბჭოთა საბავშვო ოპერის კარგ ნიმუშად უნდა იქნეს მიჩნეული. (სამწუხაროდ, დღემდე ვერ იხილა სცენა ნიჭიერი საბავშვო კომპოზიტორა ქალის თ. შავერსაშვილის ოპერა — „იანანა“), რომლის მუსიკაც უდავო მხატვრული ღირსებითა და ეთიკური სიწმინდითაა აღბეჭდილი).

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის ახალი საოპერო ნაწარმოებები შექმნეს შ. მშველდიმ („დიდოსტატის მარჯენა“), თ. თაქთაქიშვილმა („მინდია“), კ. მეღვინეთ-სუხუცესმა („დავით გურამიშვილი“), ა. ბასაკაოვმა („პიპო“), ი. გეჯაძემ („პირველთა ოპერა“, საბჭოთა თემატიკაზე). პირველმა ორმა უკვე იხილა სცენა და, შეიძლება ითქვას, გამართლეს ის ინტერესი, რომლითაც მათ მოელოდა ჩვენი საზოგადოებრიობა. მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში ქართველ კომპოზიტორებს მთელი მუშაობა ჯერ კიდევ წინააქვთ.

მოკლედ შევხებით ოპერის „უმცროსი და მხიარული დის“ — ოპერეტის ჟანრის მდგომარეობას თანამედროვე ქართულ მუსიკაში.

საზოგადოდ, კომიკურ მუსიკალურ ჟანრს ჩვენში გარკვეული ტრადიციები აქვს. მოვიგონოთ თუნდაც ვ. დოლიძის დაუბრუნებელი „ქეთო და კოტე“, დ. არაყიშვილის „დინარა“ (ამ უკანასკნელზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი), რომელთა შექმნის თარიღს რამდენიმე ათეული წელი გვაშორებს. მაგრამ „წმინდა“ ოპერეტის (მუსიკალური კომედიის) პირველი საყურადღებო ნიმუშები, შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ იქნება და ამდენად იგი ყველაზე „ახალგაზრდა“ მუსიკალურ-თეატრალურ ჟანრებს შორის. ამ სფეროში თავისი ძალები სცადეს კომპოზიტორებმა შ. აზმაიფარაშვილმა, ვ. ცაგარეიშვილმა, ა. შავერსაშვილმა, ა. კერესელიძემ, რ. გაბიჩავაძემ, დ. თორაძემ, ნ. გუდაშვილმა, რ. ლალიძემ, შ. მილორავამ, ვ. კურტიდომ, ც. ცაბაძემ, შ. ჯოჯუამ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანაში ჩვენს კომპოზიტორებს სე-

რიოზული ჩავარდნები პქონდათ ამ ჟანრში. ბანალური, რატორიკული სიუჟეტები, მდარე, დაბალხარისხიანი მუსიკა რავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებდა მხატვრულ მოვებების ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი. ძვრები უკეთესისაკენ გარკვევით შეინიშნება ბოლო წლებში შექმნილ „ზოგიერთ ისეთ ნაწარმოებში, როგორცაა ამ ჟანრში ინტენსიურად მომუშავე შ. მილორავას ოპერეტა „სიმღერა თბილისზე“, რ. ლალიძის „კომლი“ და ორიოდ სხვა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ვ. აბაშიძის მუსიკალური კომედიის თეატრის ინიციატორ — დ. არაყიშვილის კომიკური ოპერის „დინარას“ აღდგენა. თეატრის დავალებით კომპოზიტორმა ნ. გუდაშვილმა არსებითად გადაამუშავა ნაწარმოები და მიელი რიგი ახალი მუსიკალური ნომრებიც კი დაწერა არსებულ თეატრული მასალის საფუძველზე. დამატებით მუსიკაში შეტანილქნა თვით დ. არაყიშვილის ვოკალური ლირიკის ზოგიერთი ნიმუშიც, მთლიანად ხელახლად დაიწერა საორკესტრო პარტიტურა, თავდაპირველად არსებული საკმაოდ უფერული რეჩიტატივები შეცვლილია სალაპარაკო დიალოგებით, და ამგვარად შევცვლიდა ვთქვათ, რომ „დინარას“ სახით ჩვენ გვაქვს კლასიკური ქართული მუსიკალური კომედია.

თითქმის ყველა მუსიკალურმა კომპოზიტორმა „გადაუხადა ხარკი“ გამოყენებით ჟანრებს — თეატრალურ და კინომუსი-

სცენა ბალეტდანი „ოკილო“. ოკილო — თ. მაღალაშვილი დეზღმდანი — ვ. წიგანაძე





სცენა ოპერიდან „ღარაჯან ტიბერი“.

ლური კონკურსების შედეგებიდან, რომლებიც იმართება ხოლ-
სხე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ. აქვე
სხე გამარჯვებულ ავტორთა შორის ხშირად შეხვდებით მუსი-
კალური საზოგადოებრიობისათვის ნაკლებად ცნობილ, ან
საყვებით უცნობ სახელებს.

ასეთია მოკლედ ქართული საბჭოთა მუსიკალური შემოქმე-
დების განვითარების შედეგები 40 წლის მანძილზე. ასეთია
ის მხატვრული წარმატებები, რომლებმაც ქართულ მუსიკის
თვითმყვანი და მაღალპროფესიული ეროვნული კულტურის
სახელი მოხუცებდა და იგი საბჭოთა ხალხის — ფორმით ნაცი-
ონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების ავან-
გარდში ჩააყენა. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის
მეორე დეკადაზე მისკავშირ 1958 წ. ჩვენი კომპოზიტორების
შემოქმედებამ საკავშირო აუდიტორიის მაღალი შეფასება და-
იმსახურა და დიდად შეუწყო ხელი დეკადის ბრწყინვალე წარ-
მატებას. რა გვიზიდავს თანამედროვე ქართულ მუსიკაში, რა
განსასჯერავს მის მაღალ ორიგინალობას?

კას. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდნენ ამ დარგში
ი. ტუხუაძე, გ. კილაძე, კ. მელიქიანი-უხუცესი, ა. მაჭავარიანი,
ა. კერესელიძე, დ. თორაძე, რ. კაბიჩავაძე, თ. ბარამიშვილი,
ო. თაქთაქიშვილი, ბოლო ხანებში კი, რ. ლალიძე, ა. ჩიმა-
კაძე, ს. ცინცაძე, მ. დავითაშვილი, ბ. კვერნაძე, ს. ნასიძე,
ი. გუჯაძე.

ქართული მუსიკალური კულტურის მძლავრ აღმავლობას
კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მეტყველებს ის გარემოება,
რომ იგი წლიდან წლამდე ივსება ახალ-ახალი საიმედო შე-
მოქმედებითი ძალებით, რომლებიც რესპუბლიკის მოწინავე
კომპოზიტორთა რიგებში იმკვიდრებენ ადგილს, ზოგიერთი
მათგანის სახელი ამჟამად კარგადაა ცნობილი არა მარტო
საქართველოში, მის გარეთაც. ასეთებია მაგ.: ო. გორდელი,
ბ. კვერნაძე, ს. ნასიძე; მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებს, ისე-
თუმც, როგორცაა ო. გორდელის საფორტეპიანო და ფლეიტის
კონცერტები, ბ. კვერნაძის სავიოლინო კონცერტი და „ცეკვა-
ფანტაზია“, ს. ნასიძის საფორტეპიანო კონცერტი და რაფსო-
დია ორკესტრისათვის, — თამამად შეუძლიათ გაუწიონ კონ-
კურენცია უფროსი თაობის კომპოზიტორთა შემოქმედებით
მიღწევებს. კარგად აჩვენეს თავი აგრეთვე მ. დავითაშვილმა,
დ. ჩხეიძემ, ო. თევდორაძემ, ტ. ბაქრაძემ, ფ. ლოსტმა. ი.
გუჯაძემ, ნ. მამისაშვილმა და სხვ. არაერთი ნიჭიერი ახალ-
გაზრდა — მომავალი კომპოზიტორი ჯერ კიდევ სწავლობს
თბილისის კონსერვატორიაში. თუ რა სერიოზულ ძალას შე-
ადგენს ეს სწრაფად მზარდი ნიჭიერი თაობა, ჩანს იმ მუსიკა-


ქართული მუსიკის ყველაზე მიმზიდველი და თვალშისა-
ცები თვისებაა ნათელი და განსხვავებული შემოქმედებითი ინ-
დივიდუალობის მქონე კომპოზიტორების სიმრავლე, მხატვ-
რულ მისწრაფებათა მრავალფეროვნება და სიმდიდრე: ა. ბა-
ლანჩივაძე და შ. მშველიძე, ა. მაჭავარიანი და ო. თაქთაქი-
შვილი, ა. ჩიმაკაძე და რ. ლალიძე, ს. ცინცაძე და დ. თორაძე,
ა. შავერვაშვილი და ნ. გუდიაშვილი, ბ. კვერნაძე და ს. ნასი-
ძე და სხვები. ისინი თითქოს და განსახიერებენ ესთეტიკის
ცნობილ პრინციპებს „მრავალფეროვნებას ერთიანობაში“, სა-
დაც ერთიანობა — მათი შემოქმედებითი სტილის მკვიდრ
ეროვნულ საფუძველსა და მხატვრული ტრადიციების ორგანუ-
ლობას გულისხმობს.

ცხადია, ქართული მუსიკის წინსვლისა და პროგრესის გზა
არ იყო მუდამ სწორხაზოვანი და „იკარდით ფენილი“, მაგ-
რამ მაქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპებითა და
კომუნისტური პარტიის წარმმართველი მითითებებით შეი-
არაღებულ ქართული კომპოზიტორები მუდამ ერთგულნი
რჩებოდნენ მაღალიდგური, რეალისტური მუსიკალური ტრა-
დიციებისა და, მხატვრული შემოქმედების სხვა დარგების მუ-
შაკეთთან ერთად, მათ დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა
საქართველოს სოციალისტური ხელოვნების მშენებლობა-
ში.

დღეს ქართველ კომპოზიტორთა წინაშე არაერთი სერიო-
ზული შემოქმედებითი ამოცანა დგას, რომელთა გადაწყვეტას
დაკინებით მოითხოვს ჩვენი თანამედროვეობა, მხატვრული
საზოგადოებრიობა, ხალხი. პირველ რიგში, ეს ეხება საოპერო
ჟანრს (კერძოდ, საბჭოთა თემატიკაზე აგებულ ოპერებს, რო-
მელიც ჯერ კიდევ ჩამორჩება მუსიკალური შემოქმედების სხვა
დარგებს და თანადროულობის პრინციპულ მოთხოვნებს, შეიძ-
ლება დარწმუნებული ვიყოთ ქართველ კომპოზიტორთა შე-
მოქმედებით აქტივობაში: ისინი არ დაიშურებენ ძალებს არ-
სებული ხარგვის შესასვებად.

თავის 40 წლისთავს ქართული საბჭოთა მუსიკა უხვდა
როგორც მრავალფეროვანი, მომწიფებული, მუდამ მზარდი ხე-
ლოვნება, რომელიც მოწოდებულია ასახოს ჩვენ დღეთა სი-
ღლიდ და მშვენიერება.

ოპერა „ღალი კეცოველი“. მხატვარი ირ. გამრკაული




მხატვარი გიორგი გორდელაძე

მხატვარ-გრაფიკოსის გიორგი გორდელაძის შემოქმედებას კარგად იცნობენ ჩვენი წიგნების მკითხველები. იგი მრავალი წიგნის მხატვრული გაფორმებისა და ილუსტრაციების ავტორია, რომელთა შორის საინტერესო გააზრებით გამოირჩევა ჟორჟ სადულის „ჩარლის ცხოვრების“, ჯონ სტეინბეკის „მარგალიტის“, ალბერტ მაღის „მასაზრდოებელი წყაროს“ და მრავალი სხვა წიგნის ყდა.

აღსანიშნავია მხატვრის მიერ ქართული წიგნებისათვის შესრულებული ილუსტრაციები. ისინი ხასიათდებიან გამოსახველი კომპოზიციური გადაწყვეტით, ლიტერატურული სახეების მართალი წარმოსახვით და ნაწარმოების სულისკვეთების გადმოცემით. ასეთია ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“, „სისხლის“, ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავის“ ილუსტრაციები.

გიორგი გორდელაძე 1948 წლიდან მუშაობს სახელმწიფო გამომცემლობაში



გიორგი გორდელაძე

ყდა. (გუაში)



და პოლიგრაფიის შესანიშნავი მცოდნეა. ამჟამად იგი ამ გამომცემლობის — „საბჭოთა საქართველოს“ მთავარი მხატვრული რედაქტორია. ამ წლების მანძილზე მან, გარდა შემოქმედებითი და პრაქტიკული საქმიანობისა, ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობაც გასწია. გამოწვევთნა მხატვრული რედაქტორების კადრები, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა გამომცემლობებში მუშაობენ და გაიზარდნენ როგორც მხატვრები და რედაქტორები. ესენი არიან დ. ღუნდუა,

ო. ჯიშკარიანი, ჯ. ყავლაშვილი, ზ. კაპანაძე, ირ. ჯანაშვილი.

1955 წელს გამოცემული ფერადი „დედაჩა“ პირველად გ. გორდელაძის მკვეთრ და მონტაჟით იქნა განხორციელებული (მხატვ. რ. ცუცქერიძე) და საქ. კულტურის სამინისტროს პრემიით აღინიშნა.

გ. გორდელაძე რესპუბლიკური და საკავშირო საზხატგრო გამოფენების მუდმივი მონაწილეა.



ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ ილუსტრაციები



ლ. ქიაჩელის „სისხლის“ ილუსტრაცია

ყდები წიგნებისათვის. (გუაში)




სუპერი წიგნისათვის. (გუაში)

პალა კვინსხაქა



გიორგი პაისუკაძე

ლ. ქიატელის რომანის „სისხლის“
ილუსტრაცია →



ა. ანტონოვსკიას „ვიორტი სავაქის“
ილუსტრაცია. (ფანქარი)





ნიკოლოზ ჯაში

ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარებამ რთული გზა განვლო, მისი პირველი ნაბიჯები მეტად გაუბედავი, ზოგჯერ მცდარიც იყო. კაპიტალისტური საზოგადოებისაგან მემკვიდრეობად მიღებულ არქიტექტურულ ნაგებობათა დიდი ნაწილი ფორმალურში, ეკლექტიკა ახასიათებდა, ხოლო ძველი ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და ახალი საბჭოთა არქიტექტურის ნაგებობათა შორის მემკვიდრეობითი კავშირი ჯერ კიდევ არ იყო მონახული.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ფორმით პროვინული და შინაარსით სოციალისტური ქართული არქიტექტურის ჩამოყალიბება და განვითარება. ამ დროიდან ქართულმა საბჭოთა ხუროთმოძღვრებამ ერთიანი სახალხო ხასიათი მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტებისთანავე (დეკრეტები მიწის კერძო საკუთრების მოსპობისა და მიწის ყიდავა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ, საცხოვრებელი სახლებისა და მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ და ა. შ.) დიდი სამუშაოები გაჩაღდა რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის და სხვა ქალაქების კეთილმოწყობისა და არქიტექტურული რეკონსტრუქციისათვის.

1923 წელს თბილისში შენდებოდა პლენაროვის სახელობის მუშათა კულბე ლენინის რაიონში, ჩაღდება მშენებლობა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ რაიონებში — საბურთალოში და განსაკუთრებით ვაკეში, სადაც ისახებოდა მთავარი ქუჩის — უნივერსიტეტის ქუჩის მიმართულება, რევოსტრუქციას განიცდიან ცენტრალური რაიონებიც. მთელი სიგრძე-სიგანით დასვა იმ პერიოდში საბინაო მშენებლობის საკითხი.

1926—1932 წლებში შენდება საცხოვრებელი სახლები ზაქაის მუშათა დასახლებაში, ერთ-ოცნართულიანი საცხოვრებელი სახლები ორჯონიკიძის სახელობის რაიონში („ფიქრის გარა“) სტამბის მუშებისათვის, საქალაქო ტრანსპორტის მუშებისათვის (ტრამვაელებისათვის), რკინიგზელებისათვის სადგურის ქუჩაზე და ლენინის რაიონში (ყოფ. ნაძალადევი), მადის ფაბრიკის მუშებისათვის დიდუბეში, დამკვერღებისა და სპეციალისტებისათვის საბურთალოში და ა. შ. ქ. თბილისში საბინაო მშენებლობის გაქანებას მოწყობენ შემდეგი მონაცემები:

1923-დან 1933 წლამდე დედაქალაქში აშენდა 208.752 კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, მათ შორის 4 წლის განმავლობაში (1928-1931 წ.წ.) — 75 ათასი კვ. მეტრი, ხოლო შემდგომი ორი წლის განმავლობაში (1932—1933 წ.წ.) — 94 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი.

მასობრივმა საბინაო მშენებლობამ თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში 1926—1928 წლებში ახალი არქიტექტურული საწყისები შეიტანა კვარტალების დაგეგმარებაში. ძველი თბილისის კვარტალების გაშენება წარმოებდა,

როგორც წესი, საერთო გეგმის უქონლად, სტიქიურად. ახლა მშენებლობა დაიწყო საერთო არქიტექტურული პროექტის მიხედვით, იგება საბინაო კვარტალების მთელი კომპლექსები შიდაკვარტალური გამწვანებით, სპეციალური მოედნებით, სამომსახურეო ნაგებობებით და ა. შ.

მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს ოცინა წლებში მეტად დიდი ყურადღება ექცევა. ამიტომ მასობრივი საცხოვრებელი შენობების არქიტექტურაში ჭარბობდა მეტად გაურბალბული ფორმები და ხეჩხების ერთგვარობა, ეს გამოწვეული იყო აგრეთვე იმის აუცილებლობით, რომ მშენებლობა წარმოებოდა დაჩქარებული ტემპებით, რათა უახლოეს დროში შეეღებოდა საბინაო კრიზისი.

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებებისა (უმთავრესად ბინების არახელსაყრელი დაგეგმვა) მთლიანად საქართველოში 1926—1928 წლებში საბინაო მშენებლობა წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს. მუშათა დაბნების ერთიანი დაგეგმვა, რომელიც მშრამელთა ყოფაცხოვრების ორგანიზებას ახდენდა, ითვალისწინებდა რეგულარულ გამწვანებას შიდაკვარტალური კეთილმოწყობის ელემენტებით (ზაქაისის, „ფიქრის გორი“ და სხვა დასახლებანი). წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს რესპუბლიკის არქიტექტურის განვითარებაში. თანდათანობით კვარტალების გადაწყვეტის პრობლემა იქცევა რაიონის, როგორც ქალაქის ნაწილი, პრობლემად (დაგეგმვების, სპეციალისტების სახლები საბურთალოში, რკინიგზელთა სახლები ლენინის რაიონში და სხვ.).

ამასთან დიდი სამუშაოები ჩაღდება სამრეწველო და საზოგადოებრივ ნაგებობათა ასაშენებლად. 1926 წელს იწყება თბილისის მუდ-კამეოლის კომბინატის მშენებლობა, ზოოლოგიური პარკისათვის მოედლის ათვისება. 1928—1930 წლებში შენდება პურის პირველი ქარხანა, რევოსტრუქციის განიცდის საქართველოს მუშუემის შენობა, იგება საეკეტრიწარო ინსტიტუტის, ამიერკავკასიის სახელოსნოების (ახლა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის) შენობები, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ახალი კორპუსი, საქართველოს სახელმწიფოს, გაეტო „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისა და გამომცემლობის და მრავალი სხვა შენობა.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს. დიდი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტლად შეუძლებელი იყო შექმნილიყო არქიტექტურა, რომელიც დაამყარებოდა ახალი დამაინის — სოციალისტური საზოგადოების მშენებლის მზარდ მოთხოვნილებებს, გაალამაზებდა მის ცხოვრებას. შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა საბჭოთა არქიტექტურას პირველ ეტაპზე უსდებოდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის რეციდივებთან, ხე-



საქართველოს სსრ მთავრობის სახლი

ლოენებასა და არქიტექტურაში ყოველგვარ ფორმალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩასახვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა არქიტექტურის კადრების მომზადების საკითხს. საჭირო იყო საქმის დაუყოვნებლივ დაწყება.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მონეტისათვის სულ ოცოდე არქიტექტორი მუშაობდა, რომლებმაც საეკოლოგიური განათლება ოქტომბრის რევოლუციამდე, უმთავრესად, პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინრების ინსტიტუტში მიიღეს. არქიტექტორთა ამ მცირე ჯგუფს წილად ხვდა პატივი ახალი, სოციალისტური წყობილების პირობებში პირველად მოეცა ხელი თბილისის რეკონსტრუქციის, არქიტექტორთა ახალგაზრდა კადრების აღზრდა დიდი საქმიანობის.

უფროსი თაობის არქიტექტორები მ. ვ. ბუხოლი, მ. გ. კალაშნიკოვი, ა. ნ. კალენი, გ. ა. ლონტიევი, ნ. ა. მადათოვი, მ. ს. მაჭავარიანი, მ. ნ. ნეპრინცევი, ნ. პ. სვეეროვი, გ. მ. ტერმიქელავი და სხვები.

იმ მიზნით, რომ შექმნილიყო საბჭოთა უკოქის შესაფერი არქიტექტურული ნაგებობანი, ისეთი ნაგებობები, რომლებიც ორგანულად შეითვისებდნენ უტილიტარულ მოთხოვნილებებსა და იდეურ-მხატვრულ მხარეებს, საჭირო იყო ხალხური მონუმენტური ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა, ამ მემკვიდრეობიდან ყოველივე პროგრესულის, ძვირფასის ამორჩევა და პრაქტიკაში შემოქმედებითად გამოყენება.

ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ უფროსი თაობის ხუროთმოძღვრები და ახალგაზრდებიც უფრო ხშირად მემკვიდრეობის მემკვიდრეობას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბებისათვის, არქიტექტურაში რეალისტური პრინციპების დამკვიდრებისათვის.

პირველი, თუმცა მეტად გაუბედავი, ცდა ახალი ეპოქის არქიტექტურული ნაგებობის შესაქმნელად ცდუთვის ხუროთმოძღვრებს გ. მ. ტერმიქელავსა და ა. ნ. კალენის, რომლებმაც დააპროექტეს საქართველოს საკვილიონის შენობა 1923 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის მოსკოვში. პავლიონის არქიტექტურაში ჯერ კიდევ მეტად არასრულყოფილი ფორმებით თავი იჩინა ავტორთა მისწრაფებამ გამოველინებინათ საქართველოს ხალხური სამშენებლო-მხატვრული ტრადიციები, სახელდობრ, გამოყენებინათ მე-19 საუკუნის ხალხური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული მოტივები.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთ პირველ მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო-აგჭალის პილაროექტროსადგურის (შაჰქსი) კომპლექსი.

მთავრობის გადაწყვეტილება შაჰქსის მშენებლობის შესახებ 1922 წელს განკუთვნიდა. ამ წლის 10 სექტემბერს გაიმართა შებათბა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4.500-მდე მშრომელმა თბილისიდან და ახლომასლო სოფლებიდან. შაჰქსის მშენებლობა საქართველოს და ამიერკავკასიაში იყო პირველი ჭეშმარიტად სახალხო მშენებლობა.

შაჰქსის ნაგებობათა კომპლექსი (1923—1927 წ. წ. ავტორები ა. კალენი, მ. მაჭავარიანი, ა. ლონტიევი) წარმოადგენდა ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების პირველ ნაგებობას, რომელიც არქიტექტურის რეალისტურ პრინციპებს ემყარებოდა.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველ ეტაპზე, ახალი გზების ძიების დადებითი მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთავარი ფასადის არქიტექტურული რეკონსტრუქცია (1929 წ. არქ. ნ. პ. სვეეროვი). ამ შენობის რეკონსტრუქციამ ხელი შეუწყო ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარებას, რადგან აქ ახლებურად, შემოქმედებითად იქნა გადაწყვეტილი ეროვნული მემკვიდრეობის პროგრესული ფორმების, ელემენტებისა და ხერხების გამოყენების საკითხი.

თავის არქიტექტურითა და ეროვნული მემკვიდრეობის გამოყენების ხერხებით საინტერესოა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მეორე კორპუსიც (1930 წ. არქ. ნ. ა. მადათოვი). ეს შენობა ფორმების მაგაობითა და სისადავით, არქიტექტურული სახის კეთილშობილებით იცვება, როგორც საქართველოს მუზეუმი, მკვეთრად გამოირჩევა ე. წ. ფსელდოპარტული სტილით შესრულებული ნაგებობებისაგან.

ამ პერიოდში საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა ვითარდებოდა რეალისტური პრინციპებისათვის, ყოველგვარ ფორმალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პირველ ეტაპზე ზოგიერთი არქიტექტორი ვერ გაერკვა საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედების ამოცანებში და ფორმალზმის ტყვეობაში მოექცა. მათ მიერ ეროვნული მემკვიდრეობის გამოყენება ხშირად შეხუდულ სახისადავარდებდა, საბჭოთა სინამდვილეში წარსული ეპოქების არქიტექტურული ფორმებისა და სახეების მემკვიდრეობის კოპირებად გადა-

მოტანით ვლინდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ტრამველ მუშათა საცხოვრებელი სახლების კომპლექსი ქ. თბილისში, ტელმანის ქუჩისა და პლესანოვის პროსპექტის კუთხეში, რომელიც აგებულ იქნა 1926—1928 წლებში არქიტექტორ დ. გ. ჩისლივეის პროექტით. თვით საცხოვრებელი სახლების (8 სახლი) კომპლექსის მშენებლობა წარმოადგენდა პროგრესულ მოვლენას ქართულ საბჭოთა ხუროთმოძღვრებაში. ავტორი შეცვალა ერთი კვარტალის ფარგლებში შეექმნა საცხოვრებელი სახლების ანსამბლი, მაგრამ ამოყვანა ვერ დაძლია. აგებული სახლები ვერ უპასუხებენ ჯანსაღი, მისაზრებელი ბინებისათვის წაყვებულ მოთხოვნებს; თახები ვიწრო და მყუდროებას მოკლებულია; გათვალისწინებული არ არის მოედნები ვარსკობისათვის, ძალზე მცირეა გამწვანება.

საცხოვრებელი სახლი, რომელიც აგებულია თბილისში 1928—29 წლებში ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში არქ. ვ. ი. იაკუბოვიჩის მიერ, თავისი არქაული ფორმებით, მოუხერხებელი ბინებით, ვიწრო კარ-ფანჯრებით ფეოდალური ეპოქის ციხე-სიმაგრეს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე საბჭოთა ადამიანის საცხოვრებელ ადგილს.

არასაკლები არქაიზმი და ფორმალისმი ახასიათებს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობას (არქ. მ. ვ. ბუხოლელი 1929—1930 წ.წ.). ამ შენობის არქიტექტურაში ავტორმა შექნა იკურად გაიმეორა ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმები და მოტივები, გადააქცია შენობის კედლის სიბრტყეები დეკორაციად, ნაგებობის მიზანშეწონილობა, ფუნქციური მხარე დაუმორჩილა არქიტექტურულ ფორმას. ვიწრო, წაგრძელებული კარ-ფანჯრები, მოცულობათა უსიტყვო აზორზობება, დიდი ყრუ სიბრტყეები, უხეშად პროფილირებული პორტალები — ასეთია ამ ფორმალისტური ნაგებობის დამახასიათებელი ნიშნები.

ე. წ. ფსევდოქართული სტილით იყო აგებული აგრეთვე ტუმბერკულოზური დისპანსერის ადრინდელი შენობა, ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსი მელიქიშვილის ქუჩაზე (1928—1930 წ.წ. არქ. კ. ა. ლეონტიევი) და სხვ.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში თავი იჩინა აგრეთვე ზოგიერთი არქიტექტორის ცდამ პრაქტიკაში დაენერგათ კონსტრუქციისტული ფორმალისმი, რომლის გავლენა საქართველოს საბჭოთა არქიტექტურაზე საგრძნობი იყო 1929—1932 წლებში. კონსტრუქციისმი, როგორც მიმდინარეობამ, ქართულ საბჭოთა ხუროთმოძღვრებაში ვერ გამოავლინა საკმაოდ მტკიცე მიმდევრები, თუმცა იგი რესპუბლიკის მრავალ არქიტექტორის შემოქმედებაში გამოვლინდა. თბილისისა და საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში განჩნდნენ პრიმიტული, კოლოფისებური ფორმის ნაგებობანი.

კონსტრუქციისტულ-ფორმალისტური არქიტექტურის დამახასიათებელ მაგალითს თბილისში წარმოადგენდა კავშირგაბმულობის სახლი რუსთაველის პროსპექტზე (აგებული 1932—1933 წლებში არქიტექტორ კ. ი. სოლომონოვის მიერ). 1953-1955 წლებში კავშირგაბმულობის სახლის ფასადი რეკონსტრუირებულ იქნა არქ. ი. ნ. ჩხენკელის პროექტით.

კონსტრუქციისმი დალი აზის აგრეთვე თბილისში ბურის პირველი ქარხნის (1928—1930 წ.წ. არქ. ი. ნესტროვი) შენობა და სხვ.

ზოგიერთი არქიტექტორი ცდილობდა თავის ნაგებობებში, „შეეკუბინა“ ორი მიმდინარეობა, საერთო კონსტრუქციისტულ სქემაში ეროვნული ხერხებისა და ელემენტების ჩართ-

ვის გზით, რითაც, როგორც ჩანს, სოვილენდნ, რომ ეროვნული თავისებურების „შეხამება“ კონსტრუქციისმი პრინციპით თან წარმოადგენს ქართული საბჭოთა არქიტექტურის შესაბამის გზას.

ამ მხრივ დამახასიათებელია გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ რედაქციისა და გამოცემლობის შენობის პროექტზე 1926 წელს გამოცხადებული კონკურსი. მრავალმა ავტორმა (ნ. პ. სვეტიცი, ა. ნ. კალინი, ვ. ა. ლეონტიევი, დ. გ. ჩისლივეი და სხვ.) წარადგინა შენობის ისეთი არქიტექტურული გადაწყვეტა, რომელიც იმ დროისათვის ინტერესს მოკლებული არ იყო. არქიტექტორმა დ. გ. ჩისლივემა თავის პროექტს პირველი ვარიანტი გადაწყვიტა დასავლეთ ევროპის კლასიკის ფორმების ეკლექტიკური ინტერპრეტაციით, მაგრამ იმ დროს კონსტრუქციისმი გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ არჩევილი წილად ხვდა მისი პროექტის მეორე ვარიანტი, რომელიც კონსტრუქციისმი აშკარა ნიშნით იყო და თითქოს ითვალისწინებდა ცალკეულ ეროვნულ თავისებურებებს. ასეთ „ეროვნულ“ მოტივს წარმოადგენდნენ ისრისებური ფორმის ფანჯრები. შენობა აგებულ იქნა 1929 წელს.

კონსტრუქციისმი გავრცელების პერიოდში ადგილობრივ პრესაში დაიწყო კამპანია ე. წ. ახალი სოციალისტური ყოფის, სახლ-კომუნების დასაწერავად. არასწორად, მარალეებულად განმარტავდნენ რა პარტიის მითითებას სოციალისტურ საწყისებზე ყოფაცხოვრების გარდაქმნის შესა-

თბილისი. საბაგირო გზის ქვედა სადგური





მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა

ხებ, ცალკეული ავტორები თავიანთ ბეჭდვითს გამოსვლებში ქადაგებდნენ არასწორ აზრებს, მოითხოვდნენ ყოფაცხოვრების დაუყოვნებლივ განზოგადებას, ინდივიდუალური ბინებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შეწყვეტას.

კომუნისტურმა პარტიამ 1931 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებით სასტიკად დაგმო ამ ცრუთეორეტიკოსთა მავნე ლაპობა, რომელიც ფაქტიურად ყოფაცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის იდეის დისკრედიტაციას ახდენდა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებაში „სალიტერატურ-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“ ბოლო მოუღო ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციებში ჯგუფობრიობას, კარბაკეტილობას, თანამედროვეობის ამოცანებისაგან მათ მოწყვეტას და მნიშვნელოვანი როლი შესრულა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეების ერთიანი შემოქმედებით ორგანიზაციებად გაერთიანების საქმეში.

საქართველოს არქიტექტორთა პირველი ყრილობა გაიმართა 1934 წლის 15 თებერვალს. შეიქმნა საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირი. საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა კავშირის გამგეობაში არჩეულ იქნენ არქიტექტორები ი. კ. ჟიტკოვსკი, ა. ნ. კალაინი, მ. ნ. ნეპრინცევი, ნ. ს. სვერდოვი, მ. კ. შავიშვილი, ი. პ. ყირქესალი, მოქანდაკე კ. მ. მერაბიშვილი და სხვ.

თუ რევოლუციამდე საქართველოში ითვლებოდა ოცამდე

თბილისი. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი



არქიტექტორი, ამჟამად საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა კავშირი აერთიანებს ათჯერ მეტ წევრს, რომელთა რაველესობამ სპეციალური განათლება საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო.

რესპუბლიკის ქალაქების რეკონსტრუქციის ამოცანის გადაწყვეტისათვის და ქართული საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საქალაქო საბჭოს მუშაობის განხილვას სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე 1932 წლის 7 ოქტომბერს.

ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების მეორე ეტაპი (1933—1941 წ.წ.) ხასიათდება შენობათა და ნაგებობათა ხარისხობრივი დონის ამაღლებით, არქიტექტორთა პროფესიული დაოსტატების ზრდით, ეროვნული მემკვიდრეობის ფორმების და ხერხების შედარებით ღრმა ათვისებით.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში არცებითი როლი ჰქონდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სანდომძღვანელო მითითებებს: საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 16 მაისის დადგენილება „ყოფაცხოვრების გარდაქმნისათვის მუშაობის შესახებ“, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის გადაწყვეტილებას „მოსკოვის საქალაქო მეურნეობისა და სსრ კავშირის საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ“ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებას „სალიტერატურ-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“, საბჭოთა ხასიათის მშენებლობის საბჭოს 1932—1933 წ. წ. მითითებებს, სსრ კავშირის სასოკომპაბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 10 ივლისის დადგენილებას „ქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ“ და სხვ. სახელმძღვანელო მითითებებმა, რომლებიც მოცემული იყო აღნიშნულ დოკუმენტებში, უზრუნველყო ძირული გარდატეხა თბილისისა და მთელი საქართველოს არქიტექტურაში.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებებმა, ახალი სამრეწველო კერების შექმნამ განაპირობა ქალაქების სწრაფი ზრდა, თბილისა და რაიონული ცენტრების გადამკვეცა სოციალისტურ ქალაქებად, ახალი სამრეწველო ცენტრების მშენებლობა.

თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა შედგენილ იქნა ქალაქების დაგეგმარების ხარკოვის ინსტიტუტის მიერ თბილისის საბჭოს ტექნიკურ განყოფილებასთან ერთად 1933—1934 წლებში და საზოგადოებრიობის ფართო განხილვის ობიექტად იქცა. საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის პირველმა კონფერენციამ 1934 წლის დეკემბერში ინჟინერ-მშენებლებისა და მხატვრების მონაწილეობით დეტალურად განიხილა თბილისის დაგეგმარების გენერალური სქემა.

იმის მიუხედავად, რომ ქალაქის დაგეგმარების პროექტს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა (რეკონსტრუქციის სანერგოლო ვადები, რაც ეჭვს ქვეშ აყენებდა მისი განხორციელების რეალობას, მოედნებისა და მნიშვნელოვანი მაგისტრალბის არქიტექტურის პრიმიტიული-გაბრალოებული გადაწყვეტა და ა. შ.), იგი არ ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას როგორც დოკუმენტი, რომელიც თბილისის არსებობის ისტორიაში პირველად ითვალისწინებდა საბჭოთა ქალაქი-გეგმარების მცენიერულ ბაზაზე მის გეგმაზომიერ განვითარებას. თბილისში ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ქალა-

ქებში, ისპობა დასახლების კლასობრივი ხასიათი, იგეგმება სოციალისტური ტიპის კვარტალები და რაიონები.

მეორე და მესამე ხუთწლეულების მანძილზე ფართოდ მიმდინარეობდა რესპუბლიკის ქალაქების არქიტექტურული რეკონსტრუქცია, განხორციელებულ იქნა მრავალი ღონისძიება მათი შემდგომი კეთილმოწყობისათვის.

ომისწინა წლებში მნიშვნელოვანი საგანგებო რეკონსტრუქციები ჩატარდა საქართველოს მიერ რიგ ქალაქებში და კურორტებზე ფართოდ განაღდა მშენებლობა სოფლად.

ამ პერიოდში შედგენილი იქნა ქალაქების — სოსხუმის (არქ. ა. ნიკოლაიშვილი, შ. თულაშვილის მონაწილეობით), ბათუმის (არქ. ლ. სუხბაძე, ბ. ლორთქიფანიძე), ფოთის (არქ. ა. ნიკოლაიშვილი, ვ. კვიციანი მონაწილეობით), სტალინის (არქ. ლ. თარათიძე), ქუთაისის (არქ. ა. ნიკოლაიშვილი), კურორტების: წყალტუბოს (არქ. ნ. სვერდოვი, ი. ჟ. მამრადე), ბორჯომის (არქ. გ. ტატიშჩელოვი) დაგეგმარების პროექტები.

დიდი ყურადღება ექცეოდა ჭიათურის, ტყიბულის, გორის და სხვა ინდუსტრიული ცენტრების კეთილმოწყობას. თურა დიდი გაქანება ჰპოვა მშენებლობამ ამ ქალაქებში, საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: სოსხუმში აშენდა ადმინისტრაციული სახლის პირველი კორპუსი (1939 წ. ვ. შრუკა), ბათუმში სასტუმრო (1939 წ. ა. შრუკევი), სტალინში ადმინისტრაციული შენობა (1937 წ. არქ. მ. შავიშვილი), ქუთაისში სასტუმრო (1935 წ. არქ. მ. ჩხიკვაძე), გორში — პედაგოგიური ინსტიტუტისა (1937 წ. არქ. ნ. ნეპრინცევი, ნ. ფარემუშოვა) და თეატრის (1935 წ. არქ. შ. თაყაიძე, მ. ჩხიკვაძე) შენობები და ა. შ. 1935-38 წლებში რესპუბლიკის რაიონებში ტიპური პროექტებით აშენდა 500-ზე მეტი სასკოლო შენობა.

დაიწყო ზაქაისის მეორე რიგის, თბილისში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის, მთავრობის სახლის, ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობის, პირველი რიგის სანაპიროს, როგორც კეთილმოწყობილი სატრანზიტო მაგისტრალის, ჩელუსკინელთა ხიდის მშენებლობა; ფართოდ განაღდა სამუშაოები კალაივის აღმართის რეკონსტრუქციისათვის და ა. შ. ყოფ. კალაივის აღმართი (ამჟამად ნ. ბარათაშვილის სახელობის აღმართი) გაფართოვდა 8-დან 24 მეტრამდე, რთავ შედარებით ნორმალური პირობები შეიქმნა 26 კომისიის სახელობის სამრეწველო რაიონის (ყოფ. ავლაბარი) ქალაქის ცენტრთან დასაკავშირებლად. ი. ბ. სტალინის სახელობის სანაპიროს აგების შედეგად კ. მარქსის სახელობის ხიდის რაიონში ამოშობილ იქნა მდინარე მტკვრის მარჯვენა ტოტი, რომელიც წინათ ნაგვის საყრდენ ადგილს, ანტისანიტარიისა და მალარიის ბუდეს წარმოადგენდა. ზოოპარკის რაიონში ბორცვების ჯაჭვის გაკეთვითა ჩელუსკინელთა ხიდის მშენებლობამ, აგრეთვე ლენინის ქუჩის ახალი უბნის გაყვანამ ხელი შეუწყო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას — ქალაქის მარცხენა ნაპირის ნაწილთან ვაკისა და საბურთალოს რაიონების სადგურთან შეერთებას. იქმნება საბჭოთა კავშირის გმირთა ახალი მოედანი, რეკონსტრუქციას განიცდის ვ. ი. ლენინის, კარლ მარქსის მოედნები, რუსთაველისა და პლენაროვის პროსპექტები. ამ მაგისტრალებიდან მოიხსნა ტრამვაის ქსელი, რუსთაველის პროსპექტი დაშენდა ახალი მონუმენტური ნაგებობებით (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა, მთავრობის სახლი, კინოთეატრი „რუსთაველი“ და ა. შ.).

მეორე და მესამე ხუთწლეულების მანძილზე თბილისში მკვეთრად იცვალა სახე. ამ პერიოდში ქართული საბჭოთა სურათით მოაგრობდა განვითარებაში დიდი როლი შეასრულა არქიტექტურთა შემოქმედებითა შეჯიბრებებმა, აგრეთვე მოსკოვისა და ჩენგი ქვეყნის სხვა ქალაქების გამოჩინულ ოსტატთა მონაწილეობით კონკურსების ჩატარებამ. კონკურსები მოწვეო მთავრობის სახლის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის, „დინამოს“ სტადიონის, ხელოვნების მუზეუმის, „მეცხვის“ და სხვა ობიექტების პროექტებზე. ყველა ეს კონკურსი უშუალოდ იყო დაკავშირებული თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციის სამუშაოებთან.

ყველაზე მნიშვნელოვან კონკურსებს, რომლებმაც ფართო არქიტექტურული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და სერიოზული როლი შეასრულა ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში, წარმოადგენდა კონკურსები მთავრობის სახლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის პროექტებზე.

1931 წლის ბოლოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება თბილისში მთავრობის სახლის აგების შესახებ. მთავრობის სახლის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცა საპროექტო დავალება და გამოკო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთი, რომელიც წინათ სამხედრო ტაძარს ეკავა. 1932 წლის დასაწყისში მოსკოვში მშენებლობის კომიტეტმა გამოაცხადა დახურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩენგი ქვეყნის დედაქალაქის გამოჩინებულ ხუროთმოძღვრებმა. კონკურსის შედეგად რეკონსტრუქციის პროექტი იქნა პირველად. ე. კოტორინის პროექტი, რომელიც დამკვეთსა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1933 წლის 15 სექტემბერს. 1933 წლის 17 ოქტომბერს საბრძოლველად ჩაეყარა ერთ-ერთი კორპუსის რეინა-ბეტონის კარკასი (115.500 კუბ. მეტრის მოცულობით). არანაკლები როლი ქართული არქიტექტურის განვითარებაში შეასრულა კონკურსმა მთავრობის სახლის მთავარ კორპუსზე.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში გარკვეულ ნაბიჯს წარმოადგენდა „დინამოს“ სტადიონის ნაგებობა, რომელიც განხორციელებულ იქნა 1934—1938 წლებში არქ. ა. ჭურდანიანის პროექტით.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუ-

მოსკოვი. საქ. სსრ პავლიონი სახალხო მუსრნეობის მიღწევითა გამოფენაზე





ბათუმი. ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრი

ტის საქართველოს ფილიალის შენობა, რომელიც აგებულია გამორჩენილი საბჭოთა ხუროთმოძღვრის ადგილების ა. ვ. შრეკოვის პროექტით (1933-38 წ. წ.). თავისი ნაგებობით ა. შრეკოვმა საბჭოთა არქიტექტურაში კლასიკური და ეროვნული მემკვიდრეობის კომპოზიციური ხერხებისა და ფორმების სინთეზური გამოყენების ახალი გზა დასახა.

საქართველოს ზოგიერთი არქიტექტორი 1935-1940 წლებში თავის შემოქმედებაში უპირატესობას ანიჭებდა მსოფლიო კლასიკის და საცხოვრებელ, საზოგადოებრივ ნაგებობათა არქიტექტურის გადაწყვეტისას იყენებდა მხოლოდ კლასიკის პრინციპებს, ხერხებსა და ფორმებს. ამგვარად აგებულ შენობათა რიცხვს მიეკუთვნებიან: წიენის სასახლე — (1939 წ.), არქიტექტორების გ. მ. მიქაელაიანისა და ნ. ი. ბარათაშვილისა, საცხოვრებელი სახლი რუსთაველის პროსპექტზე (1939 წ., არქიტექტორების ს. ყუბანეიშვილისა, ა. ქურდიანისა და გ. მელაიას), ი. ბ. ტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიის კორპუსი (1940 წ., არქ. მ. შავიშვილისა), თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობა (1940 წ., არქ. ნ. ნებრინცევის, ს. სატუნცის და ვ. ურუშაძისა) და სხვა.

ამ ნაგებობებმა, ცხადია, დადებითი როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების საერთო განვითარებაში, მაგრამ მათში ჯერ კიდევ იგრძნობა ცალმხრივი მიდგომა კლასიკური არქიტექტურული მემკვიდრეობის გამოყენებისადმი, ეროვნული მემკვიდრეობის შეუფასებლობა, ან უგულვლოყოფა ადგილობრივ გეოგრაფიულ, კლიმატურ და სხვათა თავისებურებათა, აგრეთვე საინჟინრო-სამშენებლო საქმის მიღწევათა არასაკმაო გათვალისწინება.

თითქმის ამავე პერიოდში საქართველოს არქიტექტურულ პრაქტიკაში გვხვდება მაგალითები, როცა არქიტექტორები ცდილობენ კლასიკა შეუსაზონ ქართული ხუროთმოძღვრების ხერხებსა და მოტივებს. ასე შენდებოდა, სახელდობრ, დიდი საცხოვრებელი კომპლანტი ე. წ. „ასპინიანი სახლი“ საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანზე (1938 წ. არქ. მ. კალაშნიკოვი, არქ. ნ. სვერდოვის მონაწილეობით), საცხოვრებელი სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე (1941 წ. არქ. ს. დემინიელი, გ. ჯანდღირი და ა. ქურდიანი), რომლებშიც მოცემულია თანამედროვე საცხოვრებელი სახლის საინტერესო ინტერპრეტაცია ძველი თბილისის ღია აივნების ხერხის გამოყენებით; კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობა (1939 წ. არქ. ნ. სვერდოვი),

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობა (1937 წ. არქ. ი. ჭიტოვსკი, ბ. კარბინი, მ. კალაშნიკოვი); ფუნქიკულორის ზედა სადგური ი. ბ. ტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (1938 წ. არქ. ზ. და ნ. ქურდიანები).

საქართველოს იმ პერიოდის არქიტექტურულ პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ხუროთმოძღვრების ვარგებული მხარით გატაცებას. ეს იწვევდა შემოქმედებითი ამოცანების ფორმალისტურ გადაჭრას, სტილიზატორობას, ქართული და დასავლეთურ-როპული არქიტექტურის ძველი ფორმების მექანიკურ გადაღებას, ვულგარულ (საცხოვრებელი სახლები: თბილისში კ. მარქსის მოედანზე — 1935 წ. არქ. გ. ხიშნიაშვილი, პლენარის პროსპექტზე № 147, 1935 წ. არქ. მ. კალაშნიკოვი და სხვ.).

საბჭოთა არქიტექტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1939 წელს მოსკოვში სრულდებოდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობას. საქართველოს სსრ პავილიონი (1939 წ. არქ. ა. ქურდიანი, გ. ლეჟავას მონაწილეობით) იმ დროისათვის ერთ-ერთ საუკეთესო საგამოფენო ნაგებობად ითვლებოდა.

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაჩერა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ნორმალური განვითარება, ამის მიუხედავად, საქართველოს არქიტექტურათა შემოქმედებითი მუშაობა არ შეწყვეტილა.

ომის მკაცრ დღეებში 1944 წელს თბილისის მახლობლად დაიწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და ქალაქ რუსთავის მშენებლობა. მიმდინარეობდა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლების აგება. („საქაის“ ტრესტის შენობა, საცხოვრებელი სახლი ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე, თეატრის შენობა ქ. ჭიათურაში და ა. შ.) საქართველოს არქიტექტორები მონაწილეობდნენ კონკრეტულ კავკასიის დამცველთა მონუმენტის პროექტზე და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ადგიენისა და განვითარების მეთოხ ხელოვანი გეგმა, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ხელოვანი გეგმა 1951-1955 წლებისათვის თვალისწინებდა ქალაქად და სოფლად კაპიტალური მშენებლობების ფართოდ გარკლებას. კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებას, ქალაქების შემდგომ კეთილმოწყობას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ახალ ნაგებობათა მშენებლობას. განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათბობილი ომისმემდროს წლებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობას.

ფართოდ ვითარდება ბინათმშენებლობა. ახალ სამრეწველო ცენტრებთან იქმნება დიდი საცხოვრებელი მასივები, სოციალისტური ქალაქი — რუსთავი, მუშათა დაბა ქუთაისის საავტომობილო ქარხანასთან.

ომისმემდროს წლებში შესამჩნევად გაიზარდა ქალაქების, განსაკუთრებით, თბილისის მოსახლეობა, რამაც დიდი მითხოვნილებები წამოაყენა საბინაო და კომუნალური მეურნეობის გაფართოებისა და განვითარების მხრივ. მარტო 1951-1955 წლებში საბინაო მშენებლობაზე რესპუბლიკაში დაიხარჯა 1 მილიარდ 300 მილიონ მანეთზე მეტი, საექსპლოატაციოდ გადაიყვა 800 ათას კვ. მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ამავე პერიოდში საქართველოს სასოფლო ადგილებში სოფლის მოსახლეობამ ააშენა 35 ათასზე მეტი საცხოვრებელი

სახლი; ჭალაჭებებსა და მუშათა დასახლებულ ადგილებში ინდი-
ვიდუალურმა მშენებლებმა ააგეს საცხოვრებელი სახლები,
რომელთა საერთო ფართობი თითქმის ნახევარ მილიონ კვ.
მეტრს აღწევს.

თბილისის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული რე-
კონსტრუქციის ინტენსიური სამუშაოები 1947 წლიდან ჩაღ-
დება.

იწყება მეორე რიგის სანაპიროს მშენებლობა მტკვრის
მარცხენა ნაპირზე; რეკონსტრუქციას განიცდის რუსთაველის,
მარჯანიშვილის, სადგურის მოედნები; ფართოდება მნიშვნე-
ლოვანი მაგისტრალები — ბარათაშვილის, მელიქიშვილის,
ჩელუსკინელთა ქუჩები; შენდება ახალი ხიდები მდინარე
მტკვარზე.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს საბურთალოს რაიონის
განაშენიანებისათვის, „ასბინიანი სახლის“ გვერდით აიგო
ახალი საცხოვრებელი სახლი, მეტალურგიული ტექნიკუმის
შენობა; ამავე რაიონში შენდება ახალი საცხოვრებელი სახ-
ლები, საზოგადოებრივი შენობები, უმაღლესი სასწავლებლებ-
ბის კორპუსები და სხვა ნაგებობანი. თანდათან მეტი ყურად-
ღება ეთმობა ბინათმშენებლობას.

ომისშემდგომ წლებში თბილისში აიგო მრავალი ახალი
საცხოვრებელი სახლი. მათ შორის აღნიშნავია მარჯანიშვი-
ლის სახელობის მოედანზე საცხოვრებელი სახლების კომპლექ-
სი (არქ. გ. მელია), საცხოვრებელი სახლები: ნ. ნიკოლაძის
ქუჩაზე № 3 (არქ. ა. მიმინოშვილი), პლესანოვის პროსპექ-
ტზე № 59 (არქ. ი. ჩხენკელი), უნივერსიტეტის ქუჩაზე
№ 48, (არქ. რ. მუშკუდანი), 123-ბინიანი საცხოვრებელი
სახლი კამოს ქ. № 30 (არქ. გ. მელია), სახლი ჩელუსკინე-
ლების ქუჩაზე № 11 (არქ. ზ. მიმინოშვილი, დ. სუმბაძე),
200-ბინიანი საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე (არქ. შ. ყა-
ვლაშვილი და გ. მელქაძე) და ა. შ.

ბინათმშენებლობას კომუნისტური პარტია და საბჭოთა
მთავრობა მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. საბჭოთა
ხელისუფლების წლებში საცხოვრებელი ფართობი ქ. თბილის-
ში თითქმის ერთივად გაიზარდა. უკანასკნელი ათი წლის
განვითვლაში (1946—1955 წ. წ.) თბილისში საექსპლუატა-
ციოდ გადაეცა (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ჩათ-
ვლით) თითქმის 300 ათასი კვადრატული მეტრი ახალი
საცხოვრებელი ფართობი. უკანასკნელი წლების ბინათმშენებ-
ლობის გამოვლილება გვიჩვენებს, რომ ახალი საცხოვრებელი
ფართობის ყოველწლიური მატება რესპუბლიკის დედაქალაქ-
ში შეიძლება მკვეთრად ამაღლდეს ახალი საცხოვრებელი კომ-
პლექსების მშენებლობითა და საბინაო ფონდის ადგილობრი-
ვი, გამოუყენებელი რესურსების გამოანავით.

ქართული საბჭოთა ხურთომიძეურების განვითარების
უზების გამოვლინებისა და დახასიათებისათვის მნიშვნელოვან-
ია საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუ-
სის არქიტექტურა. კონკურსის შედეგად მიღებულ იქნა საქარ-
თველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის პროექ-
ტი, შედგენილი ვ. დ. კოკორინისა და გ. ი. ოლეჯავას მიერ,
არქ. ვ. დ. ინასარიძის მონაწილეობით. მთავრობის სახლის
მშენებლობა დამთავრდა 1953 წელს.

მაგრამ გარკვეულ მიწვევებთან ერთად ომისშემდგომ
წლებში ქართული საბჭოთა ხურთომიძეურების განვითარე-
ბაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შეცდომებსა და ნაკლოვანე-
ბებსაც.

კომუნისტური პარტია თავისი გადაწყვეტილებებით და



თბილისის, სტალინის სახელობის სანაპირო

მითითებით არაერთხელ მოაგონებდა არქიტექტორებს, ინჟინ-
რებსა და მშენებლებს, რომ მშრომელთა მატერიალური, კულ-
ტურული მოთხოვნილებების, საბჭოთა ხურთომიძეურების
ძირითადი პრინციპების არასაკმაოდ გათვალისწინება იწვევს
ე. წ. გარეგნული შემკობა-გალამაზებით გატაცებას, უსარგებ-
ლო და მავნე ფორმათა თხზვას, ფორმალისმს, ზედმეტობას
დაპროექტებას და მშენებლობას.

1954 წლის დეკემბერში მოსკოვში გაიმართა მშენებელთა,
არქიტექტორთა და საშენი მასალების მრეწველობის, სამშენ-
ებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის, დამპროექტებელი
და სამშენებლო-კვლევითი ორგანიზაციების მუშაკთა სრული-
ად საკავშირო თათბირი, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად
დიდი ყურადღება მიაქცია ბინათმშენებლობის საკითხებს.
მშენებელთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში
მკაცრად იქნა გაკრიტიკებული და დაგმობილი მრავალი არქი-
ტექტორის საქმიანობა, რამაც არქიტექტურულ და ქალაქთ-
გეგმარების პრაქტიკაში სერიოზული შეცდომები, სასაზღო
სახსრების უსარგებლო ხარჯვა გამოიწვია. საზოგადოებრივი
და საბინაო მშენებლობის უკანასკნელი წლების პრაქტიკამ
ცხადყო, რომ ზოგიერთი ქართული არქიტექტორი ყურად-
ღებას არ აქცევდა მშენებლობაში ეკონომიზაციის საკითხს,
გართული იყო გაუმართლებელი ზედმეტობით, ფსადებით
დეკორაციული გაფორმებით, გარეგნული ეფექტით. 1955
წლის 4 ნოემბერს საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად
საკავშირო ყრილობის წინ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და

გორი, ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი





ქუთაისი. ვ. ი. ლენინის სახ. პროსპექტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „დამროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“, რაც საბჭოთა არქიტექტორების, დამპროექტებლებისა და მშენებლების საქმიანობის საბრძოლო პროგრამა გახდა.

ზედმეტობის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საცხოვრებელი, სამოქალაქო შენობების მნიშვნელოვანი სამრეწველო შენობათა დიდი ნაწილი შენდებოდა ინდივიდუალური პროექტებით. 4-5 სათუღიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ქ. თბილისში, როგორც წესი, ხორციელდება ინდივიდუალური პროექტებით. პრაქტიკაში ჯერ კიდევ დამკვიდრებული არ იყო საცხოვრებელი სახლებისა და სხვა მასობრივ ნაგებობათა ტიპიური პროექტები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებით „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ ნაწინებია ნათელი ზრები საბინაო პრობლემის გადასაჭრელად და დასახული ამოცანა უახლოეს 10-12 წელიწადში ბოლო მიეღოს საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობას.

უკანასკნელ წლებში საგრძნობი მუშაობა ჩატარდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გასაუმჯობესებლად. დიდი ამოცანებია დასახული ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის, საბინაო მშენებლობის მკვეთრი გაფართოებისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებში აგრეთვე, სოფლად ფართოდაა განაღებული კაპიტალური მშენებლობა. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს იგი თბილისში, საბურთალოსში, დიდიბაში და ნათელაშში — კომპლექსური განაშენიანების რაიონებში. აქ ფართო სამუშაოები ტარდება ტიპიური პროექტებით საცხოვრებელი მასივების მშენებლობისათვის, ბოლო ხანებში აშენდა უმაღლესი სასწავლებლისა, საბურთალოსის კორპუსები: პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (1954 წ. არქ. მ. შავიშვილი), ყოფ. რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის კომპლექსისა (1955 წ. არქ. მ. ნეპრინიკევი); მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის მშენებლობა (არქ. ვ. ლევაგა).

ვაკეში აშენდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი შენობა (1956 წ. არქ. ი. კასრაძე), რეკონსტრუქცია განიცადა სა-

ქართველოს ზოოვენტიკულტურის შენობამ (1954 წ. არქ. ს. რვეიშვილი) და ა. შ. კარგი საწეპარი მიიღეს 1956 წლის 22 აპრილს თბილისის მშრომლებმა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მონუმენტი (მოქანდაკე ვ. თოფჩიძე, არქიტექტორები მ. ყავლაშვილი, გ. მელქაძე, გ. ხენჭოშვილი, კ. ჩხეიძე).

1957 წელს თბილისი დაშენდა ახალი კეთილმოწყობილი ვარაზისხევის ქვითი. აქ აშენებული ხევი ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს მაგისტრალად გადაიქცა. 1957 წელს დიდი სამუშაოები ჩატარდა ოქტომბრის ქუჩის გაფართოება-რეკონსტრუქციისათვის. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშენებ სამოსელობა 3.122 ჰექტარს მიიღო. ვაკეში გაშენდა მშენებური პარკი, რომლის ფართობი 100 ჰექტარს აღემატება, პარკში მოეწყო ახალი სტადიონი (1956—1960 წ. ვ. არქ. კ. დედუაძე, დენდროლოგი ე. ციციშვილი). დედაქალაქის მშრომელთა დასვენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად გადაიქცა „თბილისის ზღვის“ მიდამოები უზარმაზარი ტყე-პარკით.

უკანასკნელ წლებში თბილისში გაშენდა ვაკე-საბურთალოს მაგისტრალი, მოსკოვის პროსპექტი, ვასპროვი ქუჩა, ვაკეანილი იქნა ელბაქიძის დაღმართის ახალი მონაკვეთი, აშენდა თბილისის აეროვაჯაღის ახალი შენობა (1958 წ. ვ. ბერიძე, ე. ვლინი, გ. კრიუკოვი), კეთილმოწყობილი იქნა მეტეორის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროები, ბარნოვის, ფალიაშვილის, პავლოვის, პეკინის და სხვა ქუჩები. თბილისის მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაში დიდი შენატენია ყარაღაღის გაზი.

ომისშემდგომ წლებში დიდი სამუშაოები ჩატარდა რესპუბლიკის სხვა ქალაქების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის.

ავსაზეთის ასსრ დედაქალაქი სოხუმი შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად გადაიქცა. უკანასკნელ პერიოდში აქ აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი, რკინიგზის სადგურის შენობა (1951 წ. არქ. ლ. და ლ. მუშუკუდიანიჭი), რეკონსტრუქცია განიცადა თეატრის შენობამ (1950 წ. არქ. მ. ჩხიკავაძე, კ. ჩხეიძის მონაწილეობით), ქალაქის მშენებმა გახდა სოხუმის მთის ტყე-პარკი (1952 წ. ო. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვილი, ლ. მუშუკუდიანი, ს. ცინცაბაძე, გ. თელია).

მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს აჭარის ასსრ დედაქალაქში — ბათუმის კეთილმოწყობისათვის. ბოლო ხანებში აქ აიგო დრამატული თეატრი (1953 წ. ა. ტელუციკი), რეგულაციის მუშაუები (1955 წ. კ. ჯავახიშვილი) და მრავალი სხვა შენობა.

სრულად იცვალა სახე საქართველოს მეორე ინდუსტრიალურ ცენტრმა — ქალაქმა ქუთაისმა. დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციისათვის.

სტალინის სახელობის მოედანზე აიგო საცხოვრებელი სახლი (1954 წ. ი. ახანია, მ. შავიშვილი), თეატრის დიდი შენობა (1955 წ. შ. თაყაი, მ. შავიშვილი), სასტუმროს მახლობლად აშენდა ადმინისტრაციული სახლი (1947 წ. მ. შავიშვილი) და ა. შ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარანასთან აშენდება დიდი დასახლება (არქ. მ. შავიშვილი, გ. ჩიგოგიძე).

გორში (ქალაქის დაგეგმარების პროექტების ავტორები ბ. ლორთქიფანიძე და ლ. სუმბაძე) განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია ჩატარებული საფეოქრო კომინისტრის დასახლების

მშენებლობის და კეთილმოწყობისათვის (ლ. სუმაბაქ). უკანასკნელ წლებში გორში აშენდა ბევრი ახალი ნაგებობა, მათ შორის, აღსანიშნავია ი. ბ. სტალინის სახლმშენებელი (1955 წ. ა. ჭურდიანი), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1956 წ. მ. შავიშვილი), სასტუმრო (1956 წ. ა. ჭურდიანი, ქ. სოკოლოვა).

ფაქტურად საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშენდა კურორტი წყალტუბო. არქიტექტორების ლ. მელეგის, გ. ზიზიაშვილის, ა. ინკერველის, ვ. ჩანტაძის, ვ. ნასარძის, ვ. კადიას, ნ. სოლოვიოვას, ლ. ჯანელიძის, ლ. მესხიშვილის, თ. ფიცინიშვილის და სხვების პროექტებით აქ აშენდა არაერთი სანატორიუმი.

სსრ კავშირის სახალხო მშენებლის განვითარების შედეგად წლიანი გეგმით, რომელიც პარტიის XXI ყრილობამ დაამტკიცა, შემუშავებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი განვითარების, მშრომელთა ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების დიდებული პროგრამა. ამ პროგრამის შესრულება საშუალებას მოგვცემს გადაწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ კომუნისმის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. შედეგად წლიური გეგმაში პარამიონულად შესამბეზულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის, საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ამოცანები.

რესპუბლიკის სახალხო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მიმდინარე შედეგად წლიური გეგმით შეადგენს 1,4-ჯერ მეტს, ვიდრე წინა შედეგად წელიწადში. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 64 პროცენტით მეტი თანხა, ვიდრე 1952—1958 წლებში. შეიღწეა წლის მანძილზე რესპუბლიკაში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებით აშენდება 4 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. განხორციელდება რესპუბლიკის ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობა. მნიშვნელოვანი სახსრები დაიხარჯება სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაღების, ბაგების, კლუბებისა და კულტურის სახლების მშენებლობაზე. 18,5 მილიონზე მეტი მანეთია გათვალისწინებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, სხვა სამეცნიერო დაწესებულებების შენობათა კაპიტალური მშენებლობისათვის.

მიმდინარე შედეგად წლებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გრანდიოზულმა პროგრამამ დამპროექტებლების წინაშე მოხერხებული, ეკონომიური ტიპური პროექტების შექმნა მოითხოვა. ბოლო ხანებში ეკონომიური ტიპური პროექტების მეშვეობით, წინა პროექტებთან შედარებით, ერთი კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართის ღირებულება შემცირებულია 8-10 პროცენტით. ტიპურმა პროექტირებამ, მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო. საკმარისა მოვიყვანოთ ქალაქ თბილისში ომისშემდგომ პერიოდში ბინათმშენებლობის მონაცემები.


მეთხუთმეტი წელიწადში სახელმწიფოებრივი მშენებლობის სახით თბილისში ექსპლუატაციაში შევიდა 66.620 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, მესხეთე ხუთ-

წლებში — 161.530 კვადრატული მეტრი ანუ თითქმის 2,5-ჯერ მეტი ვიდრე მეთხუთმეტი წელიწადში. უკანასკნელ წლებში წლის განმავლობაში კი ქ. თბილისში აშენდა 573.070 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, ანუ თითქმის 9-ჯერ მეტი, ვიდრე მეთხუთმეტი წელიწადში და დაახლოებით 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე მესხეთე ხუთწლებში. ომისშემდგომი 15 წლის განმავლობაში აშენებული ბინების ნახევარზე მეტი 1958—1960 წლებზე მოდის.

შედეგად წლიური გეგმით თბილისში გათვალისწინებულია 2.100 ათასი კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, აქედან 1.500 ათასი კვ. მეტრი სახელმწიფო მშენებლობის სახით. მარტო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახით უნდა აშენდეს 700 ათასზე მეტი კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, ე. ი. ყოველწლიურად 100 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბინათმშენებლობის ტემპი მიმდინარე შედეგად წლებში თითქმის 8-ჯერ გაიზარდება 1952—58 წლებთან შედარებით.

საბჭოთა საკართველოს არქიტექტორები და მშენებლები, ყველა მშრომელთან ერთად, არ დაიშურებენ თავიანთ ძალღონესა და ენერჯიას კაპიტალური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების შესასრულებლად, ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას, თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნისმის გამარჯვების დიად საქმეში.

თბილისის რკინიგზის სადგურის შენობა





ნატო ვაჩანავა



ოთარ სეფიაშვილი

ვარსკვლავები არ კვდებიან. ვარსკვლავები ქრებიან მხოლოდ.

ასეთია ლევინა.

ლევინებში ვადადიან ადამიანები. ადამიანები კვდებიან. ჩრეულთა სახელს კი ლევინა ინახავს.

ლევინაში ცოცხლდება სინამდვილე და ნაოცნებარი — ის, რაც იყო და რაც წარმოდგინით შეიქმნა. და თუ ლევინა არ არის ყოველთვის მართალი, სამაგიეროდ, ლამაზია მუდამ. ხელოვნება კი იმთავითვე მშვენიერების ტრფიალი იყო. ამიტომაც ძნელი წარმოსადგენია მხატვრული სამყარო ლევინების გარეშე.

ქართულ კინოსაც აქვს ახლა ერთი ლევინა — ლამაზი, ნათელი და სვედნარევი. ლევინა იმაზე, რომ ვარსკვლავები არ კვდებიან, რომ ვარსკვლავები ქრებიან მხოლოდ...

იგი იწყება ასე:

მაშინ საქართველოში უკვე დადიდა ყრმა ფენომენი კინოსი. თროლოვით შესქეპროდა დიდოსტატთა ქვაში გამჟღავნებულ ამაყ სულეებს, ჟრუანტელს გვრიდა მიზგოლთა

ისრებით თვალუდაბრებილი ღვთისმშობლის ფრესკები, რომანტიკული პოეზიის ენაფობილი... ყველაზე მეტად კინო ხიბლავდა ხალხის უდრეკი და ლამაზი სული. ეს იყო "მინი" შთაკონება. ხელოვნებად გახდომასზე ოცნებობდა და თავის ვარსკვლავს დაეძებდა თურმე.

გაუბედავად აახამხამა თვალები კინომ ჩაბნელებულ დარბაზში. და თუმცა მის ნახელავში იყო ძალიან ცოტა სიცოცხლე და კიდევ უფრო ნაკლები ხელოვნება, მაინც გაუჩნდნენ თავიანთი მცემლები. ამ დროს საოპერო თეატრის სცენაზე კი უკვე დგებდნენ ენაიარბოდა უფლისწულ აბესალომისა და ოპოლი ეთერის უბელო სიყვარულის ლეგენდა, დაწერილი იყო „მთაწმინდის მთავარ“ და „მერი“, თბილისის ტკვერნების ჩამოტრეხულ კედლებზე დაუოკებელი ღრეობა ჰქონდათ გამართული ფიროსმანის მოჯადოებულ ფერებს...

ათვლისწუნებით შეზღუნენ ხელოვნების ბინადარი კინოს. სიტყვის თაყვანისმცემლები არ მალავდნენ თავიანთ მტრობას: — თავის დღეში ვერ შეუეროვდებით პოეტები კინოს ხელოვნებად გახდომას. ზოგმა კი იმთავითვე შენიშნა მისი გოლიათური ზრდა და ოცნებობდა ენახა ცერანზე მომხიბლავი სურათი, სადაც „დამაბრმაველები სილამაზით გაიოლებდნენ მშვილდ-ისრინი ამორტალები აქაფებულ ცხენებზე ამხედრებულნი“...

კინო კი მაღლდებოდა და კვლავ დაეძებდა თავის ვარსკვლავს. ხმა დაირხა — შარშან თბილისში გამართულ ჯრიითზე უნახავთ იგი. ვიღაცამ თქვა: ერთი ფოტოგრაფის ვიტრინაში ახლაც ძვესო მისი სურათი. ნახეს. მოიხიბლნენ კინოს მსახურნი. შემდეგ ალაზნის ველზე იპოვეს ამომავალი ვარსკვლავი. ის, ვინც ქართული კინოს მანათობელი უნდა გამხდარიყო, ვის სახელსაც ლევინად ქცევა ეწერა.

ეს სახელი იყო ნატო ვაჩანავა.

* * *

ასე ან, თითქმის, ასე მოვიდა ნატო ვაჩანავა კინოში. ამ ლევინდას აქვს გაგრძელება — მელეჯარე და მომხიბლავი. აქვს დასასრულიც — პოეტურად ლამაზი და სვედიანი...

ნატო ვაჩანავა კინოხელოვნებაზე სულ რაღაც ცხრა წლით უმცროსი იყო. იგი დაიბადა 1904 წელს ვარშავაში. ცხრა წლის შემდეგ, რაც პარიზში, მონ-პარნასზე რომელიღაც კაფეში პირველად თვლი აახილა კინოს ფენომენმა. როგორც მსახიობი კი ნატო ქართული საბჭოური კინოს, თითქმის, თანატოლია. პირველად ეკრანზე გამოჩნდა 1923 წელს. მაშინ ცხრამეტი წლისა იყო.

ლევინად არაფერი ამბობს ამ ცხრამეტი წელიწადზე. აღნიშნავს მხოლოდ, რომ ამ წლებს ახლდა მიწის სურნელება, რომელიც ბოლომდე შერჩაო ვარსკვლავს... ეს არის ქარაგმა. იგი უნდა გაიხსნას:

სულ მცირეწლოვანი ყოფილა ნატო, როდესაც მოუკლავთ მამა — გიორგი ანდრონიკაშვილი, კავალერიის ოფიცერი, მარულების ტრფიალი და მოხდენილი ვაჟკაცი. დაქვრივებული კვატერინე სლივიკაია ოთხი შვილითურთ დასახლებულა კახეთს, გურჯაანში, ბეზარაანთ წყაროსთან. აქ ეზიარა ნატო შრომასა და მიწის სიყვარულს, აქვე დაიბადა მისი პირველი ქალწულური ოცნებაც. „ჩვენ ვცხოვრობდით ნამდვილი სოფელში ცხოვრებით, — იგონება შემდგომ, — მუშაობას მე-ზომილი ვლუხებისაგან ვსწავლობდით, მათთან ვეგობრობდით, გვიყვარდა ისინი...“

ცხოვრების ნათელ თანამგზავრად იქცნენ ამ წლების მო-



გონებები: გოდრიანი ურმებით რთველი გამგზავრება, მუშაო-
და ვენახში, სიღრმე, რომელიც დიდი ქვევრიდან ისმოდა, და-
მისთვისა ხატობაზე, ვეძინის მონასტერთან მოსმენილი „გრძე-
ლი კახური...“ მხის შესახვედრად ფერდობის არბანა, ძირის
ათასფერად მოღვივლივ ალახნის ველი... მზით გამთბარი,
ამავალი, მთორთღარე ჰაერი, კუტკატობის ტრიბინით ას-
მარუბული მთავარიანი დაბე... ანდრეი ბოლონსკისა და ნა-
ტამა როსტოვის კიბობო სიყვარული გამოწვეული
ცრემლი...

შემდეგ ძველი უნივერსიტეტის კადრებივით ერთმანეთს
ენაცვლებიან მოსოვი და პეტერბურგი, ბერლინი, პარიზი,
ბერგ-პლატი. პირველი მსოფლიო ომის სურათები საზღვარგა-
რეთ, სხვათით აღსავეც გზები, დანაღული ღრინდირი,
ფოტოსურათი, გემბანიდან დანახული დანაღული ღრინოე-
თის ზღვა, ოსლო, ტორინო, ისევ პეტერბურგი და შინ დაბრუ-
ნება. სამშობლოს სიყვარულის მშვიდი, მშვენიერი გრძნობა
ფარავდა ბუნდოვან შობაგვდილებზე... კვლავ გარკა, სწავლა,
კვლავ ხელმოკლეობა. მძიმე შრომა ახანის ფაბრიკაში, ბორ-
ბლების საცხის ქარხანაში. ავადმყოფობა. ისევ სოფელი, შემ-
დეგ ისევ თბილისი და სწავლა... მოხდა ისევ, რომ ერთ დღეს
დილით ჩაბატარა უკანასკნელი გამოცდა ალგებრაში, საღამოს,
კი ლუკაბით თავდახურულმა ტაძარში ჯვარი დაიწერა მერბა
განაძიებზე.

ცხოვრების გზაზე ბევრი ნატი იკარგება, მაგრამ რაც ამ
წლებიდან ბოლომდე შერჩა ნატოს, იყო უსაზღვრო სიყვარუ-
ლი მიწისა. თვითონაც არაერთგზის უთქვამს: „კახეთი მიყვარს
მშობელი დედა... სადაც არ უნდა ვიყო, ისევ თვალწინ მიდგას
და, თითქმის, შევიგრძნობ სოფლის ფერებს, გაზაფხულის
გრძელ ჰაერს, ზაფხულის დღეების სურნელოვან მცხუნვარე-
ბას... ჩემს არსებში ცოცხლდებთან ის რიტმები, ხმები, სიმ-
ღებები, რითაც ვახსი იყო მოგონება მშობლიურ სოფელზე.
თითქმის აქედან არასოდეს არ გამგზავრებულვარ, მუდამ თან
დამტონდა ეს უსარმაზარი ბუნება...“

ამ წლების ახლად მრავალი ვატყებდა, ოცნება, ვაფიქრებდა
მიუწევლობის, ლტოლვა, მხოლოდ არა კინოსაკენ. საოცარ-
ია, მაგრამ ასეა, აი ნატოს „Pro domo sua“: „გაიგონილი
ქმონდა სურათები — „არსენა ჯორჯიაშვილი“, „სურამის
ციხე“, არც ერთი კი არ მენახა... მასხოსი პირველად შესულა
კინოში. თეატრი „ამპოლი“. ენაზე სურათი „ანა კარენინა“.
არამც თუ აღტყებდაში არ მოხვულვარ — ვერც დავგამყოფილ-
დი. შობაგვდილებზე: თითქმის ბეთობენი ვიტარაზე მოვიხი-
ედი... დიას, მას არ უოცნებია კინოზე. თვითონ გახდა კინოს
ოცნება. და მე აღარ მივიკრას, როცა ვიღებუნდა ამ მშვენიერ,
მიწისა და მინდვრის ყვავილების სურნელებით გაღვნილი
ცხრაშეტე წელიწადს აქცეფს მხოლოდ ერთ ქარაგმაში. ლვენ-
დებმა იცინ გვეკვირონა.

ჩვენ წლების ვიყოთ მიუკერძოებელი. ლვენდა ამბობს, რომ
ეს ცხრაშეტე წელიწადი იყო გზა მიწიდან ვარსკვლავებამდე,
ნატოს მოუხმოდარ ქართული კინოხელოვნება. იგი უნდა მო-
სულიყო მასთან და მივიდა კიდეც.



„პირველი შობაგვდილობა ცუდი იყო. სახე მკრთალი,
დაღლილი, შეშინებული თვალები. — ივონებდა ვლადიმერ
ბარსკი, რუსისორი სურათისა: „არსენა ყანალი“, რომელშიც
მთავარი როლის შესასრულებლად მიიწვიეს ნატო ვანჩაძე. —
„ქალი მარწმუნებს: ეკრანი არ მიმიღებს, მასაბიობს ვერ გაე-
დებო. თითქმის დაუჯერე. მაგრამ თვალს არ ვაცილებ...“

უცებ ნატოს სახე შეეცვალა, თვალები გაუბრწყინდა, გახდა
მშვენიერი და მომხიბლავი... გზედგა ჩემს წინ აღმასივად...
ლოდ საჭირაო მისი დახვეწა, რომ სრულად გაბრწყინდეს...
ბარსკი შეუფარავი სამამეთი დასურება, — ეკრანის ეს მარ-
გალიტი მე აღმოვაჩინეო, მაგრამ უფრო მართებული იქ-
ნებდა გვეთქვა, რომ ნატო აღმოაჩინა მოლიანად ქარ-
თულმა კინომ, დღეს ამ სახელის გარეშე ვეღარც კი წარ-
მოვიდგინებ ჩვენი კინოხელოვნება. აქ იყო რაღაც კანონწო-
მიერება. შეიძლება ლვენდის გამართლებაც — ეს იყო
ბედი...“

სასიყვად გადღებული ათამდე ფოტოსურათი. ყველა აღ-
ტყებულა. კინემატოგრაფი მაინც კინემატოგრაფია, აქ ალოო
ბევრს ნიშნავს, ჩქარობენ, თავაზობენ ორ როლს: ნენოს —
„არსენა ყანალი“ და ნუნუს — „მამის მკვლელობა“. არ შემე-
დარან!

ეს ორი სურათი, თითქმის, ერთდროულად გამოვიდა
ეკრანზე. თითქმის ერთმანეთს ეწიშებოდენ კიდეც — ვინ
უფრო ადრე შეახვედრებდა მაყურებელს ამოხედა ვარსკ-
ვლავთან. და სწორედ მათ გაეკეთეს მაყურებლის გულზე სიყ-
ვარულის ის პირველი ნაპერწკალი, რომელსაც ჩაქრობა არ
ეწერა.

„ნატო ვანჩაძე — ნუნუ ერთ-ერთი დამაჯერებელი ფი-
გურაა „მამის მკვლელობა“. ფილისი პოპულარობაც მან განა-
პირობა, ნატო ქართული კინოს საკუთრებაა. მისი გარეგნობა,
შინაგანი ნატივად, უსესტი, მიმიკა ვერ წარმომიდგინებია ქართუ-
ლი კოლორიტის გარეშე“ — წერდა „მამის მკვლელობა“ რე-
ჟისორი ა. გეგნაშვილი.

„ნატო ვანჩაძე დიდი ტემპერამენტის მსახიობია. „მამის
მკვლელობა“ მან პირველხანისხიანი კინომსახიობის გამოცდა
ჩააბარა“, — საქვეყნოდ აცხადებდა ჟურნალი „სოვეტსკი
ეკრანი“. იქნებ ნატოდვეიც კი იყო მამის ასეთი განცხადება,
შემდგომ თვითონ ნატო აღნიშნავდა: „ამ როლებში უფრო
მეტია ინტუიციის კარნახით მოქმედება, ვიდრე როლის ღრმად
გააზრებული თამაში. მაგრამ ეს არ იყო არც ის სხვაურაინი,
ეფემერული წარმატება, რომელიც წილად ზვდომია მრავალ
„კინოვარსკვლავს“ და რომელიც უმაღ ჩამოცვენილან, რად-
გან ხანგრძლივად წვისთვის არ ჰყოფინათ ძალა. ამის დადას-
ტურებადა ნატო ვანჩაძის შესანიშნავი შემოქმედებითი გამარჯ-
ვებაა „სამ სიციცხლში“, რომელიც 1924 წელს გადაიღო რე-
ჟისორმა ივანე პერესტიანამა გიორგი წერეთლის „პირველი
ნაბჯის“ მიხედვით. სურათში ნატო ანასხიერება მკერავ
ქალს — ესმას. დიას, კი არ თამაზობდა, — ანასხიერება, ამ
სიტყვის დრმა გაკვირბ. იგი ცოცხლობდა ესმას სიციცხლში,
ის იყო ესმას ჭეშმარიტად ხორცმსხმული ხატება. იქნებ,
ამიტომაც ამიბის ჩვენი ლვენდა: „როცა ეკრანზე იწერებო-
და — გარდაიცვალა პატარა მკერავი ქალი, მოკვდა მისი
პატარა ბუნდირებაცო, — მაყურებელს ეგონა ესმასთან ერ-
თად ეთხოვებოდა საყვარელ ვარსკვლავს და გულშეძრული
ცრემლი აფრქვევდა ჩაზნულულ დარბაზში.“

„სამი სიციცხლში“ ის რეალისტური ფილმი, რომელმაც
ქართული კინემატოგრაფიას განუშტკიცა „წითელი ეშმაკუნე-
ბით“ მოპოვებული რეჟუტაცია, ხოლო ნატო ვანჩაძის მოუტანა
საყოველთაო აღიარება. ამიტომაც კინემატიანის შემდეგ
ფილმში — ტარიელ მკვლავის მიხედვლობა“, რომელიც
ვენანტე ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რანდის“ მიხედვით შე-
იქმნა, — ნატო ვანჩაძის მაყურებელი შეგება როგორც დას-
რულებულ და საყვარელ მსახიობს. დესპინეს როლში უკვე
მკვეთრად ვლინდებოდა მსახიობის შემოქმედებითი რეჟი-

დუალობა — გრძნობათა სიწრფელე, ღრმა ლირიზმი, ტკემ-რამენტად და კეთილშობილური თავმჯავება.

რეჟისორ ივანე პერესტიანთან მუშაობამ უდიდესი როლი ითამაშა ნატოს, როგორც კინოშასხიობის, ჩამოყალიბებაში. სწორედ მის ფილმებში იწყება ნატო სახის ხატვისას არტისტული პალიტრიდან ტემპორიტი მხატვრის ადგილითი ფერების შერჩევას, აღწევს მათ შეხამებას და აფლურებას. შემდგომ აკი თვითონვე იფიქნება: „პირველ ორ სურათში, უმთავრესად, ვინაშაშობდი როლის საკუთარი შვედნიებით. ამ ფილმებში კი ვინაშადი რეჟისორის, რომელიც გადაღების დროს განწყობილების შექმნას ახერხებდა, მსახიობთან ერთად ხსნიდა ამა თუ იმ როლის, ან სცენის ხასიათს, მათ შინაგან ბუნებას. პირველ მისგან გავიგე, თუ როლის შესრულებისას რაოდენი მნიშვნელობა აქვს მსახიობის მდგომარეობას, როგორც უნდა გრძნობდეს იგი თავს ამა თუ იმ სცენის ჩატარებისას“.

ეს გახლავთ მისი პირველი, და თუ გნებავთ, ერთადერთი სამსახიობო სკოლა. მაგრამ მოეწყო ისე, რომ ნატოს მიერ შესრულებული ყოველი ახალი როლი მისი ახალი გამარჯვება იყო. ამ აღმავალი არტისტული გზის დასაწყისში შესანიშნავია ფაისის სახე რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას ფილმში „იენ არის დამნაშავე“, რომელმაც მსოფლიო ეკრანი შემოიარა სახელწოდებით „უაილდ ვესტის მხედარი“. ნატო ვანჩაძის მიერ დახატული ფატი მყუდრებს ღმრთავად ღრმადამიანურობით, სიწრფელით, ლირიზმით. მსახიობმა შექმნა ფსიქოლოგიურად, დამაჯერებელი, შთამბეჭდავი, ნიუანსებით აღსავსე კოლორიტული სახე. „უაილდ ვესტის მხედარი“ გამოვიდა 1926 წელს. მაშინ ნატო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კინოშასხიობი იყო. რეჟისორი წუწუნავა იხსენიებდა როგორ ხვდებოდა მოსკოვში ნატო ვანჩაძის ნატო ვანჩაძის ამ როლში: „გამეჩინდა თუ არა ნატო ვანჩაძე — ფატი, ცაცხვის ჩრდილში, მაგვის აკვანთან, აუღატორაში თითქმის ელექტრონის ძალამ გაიფლავა. გაისმა ალტაცხებელი ხმები: ნატო... ნატო...“ მაგრამ მე არ მინდა ნატო მხოლოდ მსახიობობით შევაფასო, — განგაძრობდა რეჟისორი, — ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მისი სახიდან, თვალბინიდან უამოჭვების ქარველი ქალის სხივი, როდესაც შევუღდეკი „უაილდ ვესტის მხედარს“ გადაღებას, მუ უფრო მიანტრესება ნატო ვანჩაძის ამ თვისებათა გამოვლინება, ვიდრე ფილმის დამშვენება მისი ცნობილი სახელით.

* * *

ხუთი სახე — ხუთი შთავიგება... ჰქონდათ ამ სახეებს რაღაც საერთო, რამაც საბაბი მისცა ზოგიერთს სუსტი, პასიური ქართული ქალის სახე ნატო ვანჩაძის არტისტულ ამპლუად ვიადრებნა. თვით სურათ „ნათელას“ ვინაშში ნატოს მიერ გასრულილმა ტყვიამაც კი ვერ გაარღვია მისი სახელის ირგვლივ ხელოვნურად შექმნილი ბურუსი. ნატო ვანჩაძის აცხადებენ „კინოვარსკლავად“. რა იყო ეს — გულწრფელი შეცდომა თუ მოდის აყოლა?

ბურჯავაზული კინოში არაფერია ისე მერყევი და ისე უსუსტად გამოხუნული კომერცისათვის, როგორც კინოვარსკლავთა სისტემა. როდესაც მოდა გაუღიდა მერი პეკოვრდისა და ლილიან გიშის მიერ შექმნილ „პატარა ქალებს“, ეკრანს იპყრობს ტენდა ბარა-ქალი ვამპირი, ბურჯავაზი კლარა ბოუს თავაყვეტილი, დამცინავი ქალები და მათ უპირისპირებულ ბოლა ნეერის ქალურ საწყისებს, მიმზიდველობას კარგვენ

ალა ნაწიშოვასა და გრეტა გარბოს იდუმალებით მოსილი, აუხსნელი ქალები და მათ ნაცვლად გერანუე მფედენ, მერე უესტის „გამოჭვების ქალთა“ აულავაგი სექსუალურობს! ადამიანის სხეულის სხვადასხვა მხარის სრული ექსპლაცაცია. გემოვნების საოცარი ცვალებადობა! ერთსა და იმავე ფრანგულ ეკრანზე სილამაზედ მიანჩნათ მხოლოდ მიმზიდველი პირისახე, იტალიურ კინოში იდეალად აცხადებენ ანტი-ურთის წყობის სეკულატურულ ავესტობას, გერმანული კინო-მსახიობები მისწარფვან ექსპრესიონისტული დატეხილობისკენ... კინოვარსკლავთა სისტემაში ეკრანის გამაჯერებულ კერპებს, რომლებიც ქველან ქალის თუ მამაკაცის სილამა-ვის ეტალონებად, უჭირთ გარდასახვა, რადგან მცირედენი გადახვევაც კი დადგენილი იდეალიდან ჩამოშორებად ითვლება.

ჩვენი კინოხელოვნება, რომელიც ითავითვე მყარად დადგა რელისტურ ნიადაგზე, სილამაზედ აღიარებს მხოლოდ ხასიათის ფსიქოლოგიურ სინათლეს, გმირის შინაგანი ბუნების მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს. ნატო ვანჩაძე არ შეიძლება ჩაითვალოს „კინოვარსკლავად“ — თნდაც იმიტომ, რომ იგი ცდლობდა ყოველ ასაკ როლში შექმნას განსხვავებული ხასიათი. არ ვიცი, გავიხილი ჰქონდა თუ არა მას ფრანგულ რუსებს გამოთქმა — ხასიათის განდგენა სილამა-ზის განდგენა ნიშნავს, მაგრამ იგი მუდამ ცდობლად ამ მხრივ ყოფილიყო ლამაზი ეკრანზე. და თუ მის მიერ შესრულებულ პირველ სახეებს გაანჩნდა რაღაც საერთო, ამის ყველაზე უკეთ ასნა თვითონვე შესძლო: „საკყვინა, — წერდა ნატო 1926 წელს, — რომ ჩემს მიერ განსახიერებული როლები ერთფეროვანია. მე მიხდება პასიური ქარველი ქალის როლის შესრულება. იქნებ იმიტომ, რომ ეს ცხოვრებაშიც ასეა — ახალი, აქტიური ქართველი ქალი მხოლოდ იბადება“.

და მართალია ჩვენი ლეგენდა, როდესაც ამბობს — ნატო არ ყოფილა „კინოვარსკლავი“, იგი ვარსკლავად ბრწყინავდა ქართულ კინოში...

* * *

ხშირად იმას, რაც გზის დასაწყისში შემთხვევითობად გვეჩვენება ხოლმე, გახედავთ გზის დასასრულიდან და გიკვირთ: მის გარეშე ვეღარც კი წარმოგიდგენიათ გავილი მანძილი. თითქმის იგი უთუოდ უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევ. 1927 წელს გამოვიდა ფილმი „გიული“ — შიო შავთავის პირველი მოთხრობის მიხედვით. აქ შეხედენ ერთმანეთს ახალგაზრდა პოეტი, დებიუტანტი რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია და ნატო ვანჩაძე, რომელიც სურათში მიაგავს როლს ასრულებდა. ის იყო გიული. და ამ ახალგაზრდა ბოროტული ქალის სულიერი ამბოხება რელიგიური ფანატისმი, დრომჭედილი ტრადიციებისა და ხავესმოკიდებით ადამიანის წინააღმდეგ, თითქმის, ერთგვარ სიმბოლოსავით იქცა ორივე შემოქმედისათვის. ნიკოლოზ შენგელაიამ ამ ნაწარმე-რით დაიწყო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების ეკრანიზაციის დამკვიდრებელი შტამების გახედული რღვევა, ახალი ფორმისა და კინემატოგრაფიული გამოშასხველობითი საშუალებების დაუქვრობელი ძიება. ნიჭიერ კაცს, რომელმაც რეჟისორული წვრთნა მტკიცედ მარჯანშილით მიიღო, ალბათ, არც შეეძლო სხვაგვარად მოქვეყნიყო.

როდესაც ნატო ვანჩაძე დათანხმდა ნიკოლოზ შენგელაიასთან მუშაობაზე, ზოგიერთები აფრთხილებდნენ არ გადაედგა საბედისწერო ნაბიჯი, საფრთხეში არ ჩავედო პრინა-აქტრისას



რეპუტაცია. ნატოს კი გული სხვას ეუბნებოდა, მან რჩევა მარჯანიშვილის ჰქონს, კოტეს დასტური კი უმაღლესი ფირმანი იყო.

საერთოდ მიზანსწრაფავმა, უახლესი ხელოვნების — კინოს უანგარო სიყვარულმა სულიერად დაანათესავა ორი ახალგაზრდა შემოქმედ. და მოხდა ის, რაც, თითქოს, უთუოდ უნდა მომხდარიყო — ნატო გახდა შეწყველის ცხოვრების თანამგზავნი ვარსკვლავი, შენგელია კი — ნატოს „ცხოვრების რეგისორი“.

* * *

იმ დროს ქართულ თეატრში ბობოქრობდა კოტე მარჯანიშვილის მგზნებარე გული. გიზგოზებდა მის მიერ აფეთქებული ქართული სცენა. მარჯანიშვილის სახელი, მასთან მუშაობა იყო ყოველი ახალგაზრდა შემოქმედის ნატურა. ეს ნატურა აუხდა ნატო ვაჩნაძესაც: კოტე მოვიდა ქართულ კინოში.

ექვსი სურათი დადგა მარჯანიშვილმა. მაგრამ მისმა დაუცხრობლად მძიმეებლმა და მგზნებარე სულმა ბევრად წინ გაუსწრო იმდროინდელ კინოტექნიკას. კოტეს ერთ-ერთი სტუქია იყო სიტყვის აუღვარება. „დიადი მუხია“ კი სდუმდა.

ნატომ მარჯანიშვილის ორ სურათში მიიღო მონაწილეობა — „ამოკვი“ (სტეფან ცვაიგის მიხედვით) ასრულებდა ევროპელი კომპონანტის ცოლის „თეთრი ქალის“ როლს, ხოლო „კრასანაში“, რომელსაც საფუძვლად დაედო ვინიჩის მოთხრობა, ანასიანობედა ახალგაზრდა მებრძოლი იტალიელი ქალს — ჯემს. სხვადასხვაგვარად შეხედნენ ამ სახეებს. იმათ ვინც ნატო ვაჩნაძის ამჟღავნებდა დახედავდნენ პასუხ ადმოსავლელ ქალს, ზურგი შეაქცევს, „ვევრადღ“ ნატოს. მორჩენი სხვა პარსია იყვნენ. მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე სწორი იქნებოდა, თუ ნატოზეც გაავრცელებდით იმ მოსაზრებას, რომელიც მარჯანიშვილს გამოუთქვამს თავისი ფილმების გამო: „შეიძლება ეს დადგმები მდღარი იყო, მაგრამ არც ერთი უფერული არ ყოფილა“.

შემდეგ ბომა ქალის — მამას სახე ფილმში „ცოცხალი ლეში“, კიდევ ერთი როლი უკრანოდ სურათ „გარეუბნის კვარტალი“. ამ ფილმებს იღებდნენ მოსკოვში, ბერლინში, კიევიში... ნატო მოგზაურობს. ამ დროისათვის ენათ უკვე ქმნის თავის პირველ შედეგებს. ნატოს შექმლო კინოა ეკრანზე დევიდ ბორჯი გრიფონის ფილმები, რომლებშიც მონტაჟი, მსხვილი პლანი, მოქმედების პარალელური განვითარება გააზრებულ იყო; ჩარლი ჩაპლინის დაურთაველი კომედიური გამოძიგონებლობით შესრულებული სურათები, ფრანგი „ავანგარდისტების“ პოეტურიფილმი დიუკუმენტური ფილმები... ხოლო მოსკოვში ახალ ცხოვრებასთან ერთად იხადება ახალი, რევოლუციური ხელოვნება. ჩნდება საბჭოთა ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის პირველი ქმნილებები. თეატრში ექსპერიმენტებს ატარებს ვსევოლოდ მეიერსოლდი. მასთან მოაქვს თავისი უკვლევი „მისტერია-პოფი“ ახალი პოეზიის მედრომეს ვლადიმერ მაიაკოვსკის. მსოფლიოს ეკრანებს აწარმოებენ სერგეი ეიზენშტეინის „ჯაგმონსის“ პოტიოკინი“, ვსევოლოდ პუდოკვინის „ღედა“, ძივა ვერტოვისა და ესთერ შუბის პუბლიცისტური დიკუმენტური ფილმები, იქნებოდა ალექსანდრე დიკუმენტის „მიწა“. სწორედ საბჭოთა კინოსხელოვნების ამ კოორდინატებს ენობა და უახლოვდება ნატო ვაჩნაძე, მეგობრობს მათთან, სწავლობს მათგან. ეს მისი შემოქმედებითი ზრდის, პროფესიული დაისტატების, მსოფლმხედველობის ფორმირების პერიოდია.

კინემატოგრაფმა განვითარების მაინძლე მრავალმა მასწავლო სწრაფი მოხდა. ერთ-ერთი იყო გატაცება უსახიობო, ტიპაჟური ფილმებით. მისი აპოლოგეტები იყვნენ ფრანგული „ავანგარდის“ მოღვაწეები. ლუი დელუკი მსახიობს აქცევდა შინაგანად დაცლილ უბრალო ნატურად, ჟერმენ დელუკი მიითხოვდა აბსტრაქტულ კინოს, რომელშიც საერთოდ არ იარსებებდა ადამიანის სახე. ჩვენთვის ზოგიერთი რაპკული თეორეტიკოსი თავებამოდებით ეწეოდა ტიპაჟური ფილმის პროპაგანდას. გაავრცელდა უსახიობო სურათები. აქტიორი განიღვრა კინოდაც, „მაგრამ კინოსხელოვნებას აქვს თვისება, — წერდა ნატო, — თუ ერთხელ ეჩიარე, მარცხიც რომ განიცადო, თავს ვეღარ დადღვევ“. იგი კვლავ მიემგზავრება მოსკოვს. ასისტენტად მუშაობს საბჭოთა დიკუმენტური კინოს გამოჩენილ ოსტატ ვსთერ შუბთან. იღებდნენ სურათს „კომგავშირი — ელექტროფიკაციის შეფი“.

„რადღებ გაიცემული დავრი, — იგონება მუშაობა, — როცა ნატო ვაჩნაძე, მრავალი ფილმიდან ნაცნობი კინოსახიობის, მოვიდა ჩემთან. კოხტა, დარცხვნილი, მომხიბლავად მომღიმარი. მოვიდა ულამაზესი ქალი. გრძელი წამწამებით მოჩრდილული ფართოდ გახელილი თვალებით...“

ჩაიკვა სპექტანსაგმები, თქვის ჩეკმები. მუშაობდა გატაცებით, საქმეს არ თაკილობდა. ნამდილოდ ანტერესებდა დიკუმენტური კინოს ბედი... დენგრეპსი, სვირმწმელობა, ძირეპსი... როცა მუშაობით დაქანცული მაიგან მივუსტეხოვდი, ნატო წყნრად ილიინება რომელიმე კახურ სიმღერას. მშვიდი და მშვენიერი იყო იგი ამ წუთებში... მე გადავიღე სამიერი მომეტი — ნატო დგას ხმისამწერი პულტთან. ბევრს ძლიერ მოსწონდა ეს კადრი — ნატო ვაჩნაძე უკრინოდ... ძვირფასო, მშვენიერი, დაუწეწყარი ნატო! გმადლობთ სიყვარულისა და სულის სილამაზისათვის“.

მოსკოვში მუშაობისას მოუსწრო ნატოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ და მან საქართველოს მიაშურა.

ასეთია სინამდვილე. ლეგენდა კი ამბობს — გამოჩნდნენო ადამიანები, რომლებმაც დაუღვევრად აპყარეს დღებში კინოს ცაზე და ვარსკვლავი თვალს მიეფარა. მაგრამ დიადმა ძალამ მიმოფანტა ისინი და ვარსკვლავმაც ახალი ძალთ გამოანათა...

და ა, ნატო თბილისშია. შთაგონებული, გამოცდილებით დატვირთული, კვლავ მომხიბლავი ადის ეკრანზე. ასრულებს ხესესური ქალიშვილის — ციცაის როლს ახალგაზრდა რეიონის სიკო ლილიძის ფილმში „უკანასკნელი ჯვარისებანი“. ქმნის თამარის დიკუმენტური სიმბოლური სახეს მიხილ ჭიარულის „უკანასკნელ მასკარადში“. აქ პირველად გამოდის ხმოვან კინოში. მაგრამ, თითქოს, ბედმა ანება, კინოსხელოვნების ზოგიერთი დიდოსტატის მსავასად, პირველ ხმოვან ფილმში არც მას ამოუღია ხმა. შემდეგ კვლავ ნენოს როლი ფილმ „არსენაში“. ეს იყო წარსულთან შეხვედრა, ნაცნობი სახე, რომლითაც ნატომ ფეხი შემოდგა კინოში. და, თითქოს, რაც ემ სახეს პირველად გამოუღველობით დააკლო, ამჯერად ყოველივე შეეკო.

აუხდა ათი წლის წინათ რომ ნატობდა — მხიარულა, აქტიური კარიერული ქალის დახატვა მსურსო. ასეთი იყვნენ მის მიერ განსახიერებელი კოლმურენე ქალიშვილი ნანი და ნათელა ნიკოლოზ შენგელიას ფილმებში „ნარჩხის ველი“ და „სამშობლო“, გვირისტინე — სურათში „ქალი ხიდობნიდა“.

ღრმა არტიკული ფერებით გამოკვეთა ნატომ უბრალო ქართული გლეხი ქალის — მართას სახე ფილმ „ჭაჯანაში“. აქ მან პირველად შეასრულა დედის როლი. ითამაშა პირველად და დაუვიწყარად. შემდეგ უკვე ომის გრუხუნში, როცა მტერი ვაგვახიოსს ადგა, მონაწილეობდა ფილმში „ის კიდევ დაბრუნდება“. ამ სურათზე მუშაობისას მოულოდნელად გარდაიცვალა ფილმის დამდგმელი ნიკოლოზ შენგელაია. — ნატოს „ცხოვრების რეჟისორი“ და მუდღეულობა — ძაბით შემოიხაო ვარსკვლავი, — ამბობს ლევინდა, — დიდხანს არ გამოჩენილა ეკრანზე, მაგრამ სიცოცხლის ტრფილიმა კვლავ დაუბრუნაო იგი კინოს. ფილმ „აკაკის აკვანში“ ნატო ასრულებდა ქართული ხალხის უსაყვარლესი შგოსნის აკაკი წერეთლის ძიძის როლს... შემდეგ იყო სხვა სახეებიც. ნუ მოვყვებით მათ ფართო განხილვას. ამ როლებზე ბევრი დაწერილა და კიდევ უფრო მეტი თქმულა. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ისინი ყველა ერთად ქმნიან ნატო ვანნაძის შემოქმედებით პორტრეტს, ურომლისოდაც ქართული კინოხელოვნება წარმოუდგენელია, იგი დაკარგავდა შინსა და მიმოიდელობას... ვთქვათ ისიც, პოეტრი ტიციან ტაბიძე რომ ამბობდა ამ ორმოცი წლის წინაა: „საქმეა თრთოლვის გადმოცემა და ჟრუნატელის გრძნობა, ეს არის სათავე ყოველი არტიკტობის და მე მგონია, სწორედ ესაა ნატო ვანნაძის გაპარჯება“.

ნატო ვანნაძე, საბჭოთა კინოს გამოჩენილ ოსტატებთან ერთად, მონაწილეობდა ვენეციის XIII საერთაშორისო კინოფესტივალზე. ლევინდა ამბობს — უცებ დაკარგეს თავიანთი ელვარება, რეკლამით შექმნილიმა კინოვარსკვლავებმა, როცა მათ შორის ჩადგა ნამდვილი ქალი, რომელიც იყო ვარსკვლავი...

ჩვენს ლეგინდას აქვს დასასრულიც — პოეტურად ლამაზი და სვედანარევი. იგი ამბობს, რომ მეოთხედი საუკუნე იწყო — დაო ვარსკვლავი ეკრანზე და მაინც ვერ დაიწვა. წლებმაც ვერაფერი დააკლეს მის სილამაზეს. და როცა ადამიანები კინოხელოვნებაში ოცდახუთი წლის სამსახურისთვის სიყვარულის გვირგვინს ადგამდნენ თავზე, იგი ოცნებობდა დაეხატა ეკატერინე ჭავჭავაძე — გენიოსი ბარათაშვილის პოეტური სიყვარული. მაგრამ ვერ მოესწრო... ორმოცდამეცამეტში გახეთქი იუწყებოდნენ მწუხარე ამბავს — კატასტროფამ იმსხვერპლაო ვარსკვლავი. ასე მოეფარა თვალს. მკვდარიც არავის უნახავს — დაიწვა, გაქრა.

ვათვალთვინებ ფოტოსურათებს: — ნატო ცხოვრებაში, ნატო როლებში. უამრავია. ვაკვირდები. აი, ფოტოგრაფ შიხმანის გადაღებული სურათი, რომლითაც ნატო კინოში მიიწვიეს. საოცარია — მედნიერმა შემთხვევითობამ რაზომ შთაგონებას დაუღო სათავე! აი, ნატო ვანნაძის პირველი სასინჯი ფოტო, ფილმ „არსენა ყაჩაღისთვის“ რომ გადაუღიათ თბილისის კინოსტუდიაში 1923 წელს. თვალები, თვალები... და თუ მართალია, რომ სცენაზე მთავარია ხმა, კინოში კი — თვალები,

მაშინ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტად ნატო კინოსთვის დაბადებულა.

აი, ნატო ცხოვრებაში, სწორედ ისეთი, როგორც მასსოფს, როგორც მინახავს თბილისის ქუჩებში გავლოდი, ავტობუსში თუ მატარებელში მგზავრობისას, კინოთეატრში ჩვეულებრივ მაცურებლად მოსული... ალბათ, თქვენც ასეთი გახსოვთ და აღარ გინდათ ლეგინდად წარმოიდგინოთ. მაგრამ თავს იყრიან ნანახი და განაზონი, სინამდვილე და ნაოცნებარი, შენივთღებანი და ჰყვებიანი, თუ როგორ გადადიან ადამიანები ლევინდაში, თუ როგორ შეიქმნა ქართული კინოს ლევინდა იმაზე, რომ ვარსკვლავები არ კვდებიან, რომ ვარსკვლავები ქრებიან მხოლოდ...

დაე, ამ ვარსკვლავისადმი ჩვენი საერთო სიყვარული იყოს ამ ლევინდის გამართლება.

ნატო ვანნაძე



ქარიხალი მყუდრო სავანეში

(ს. კლდიაშვილის „ქარიხალი“ ჩსთავების თეატრის სცენაზე)

ნოდარ გურაბანიძე



ართული კლასიკური პროზის გასცენიურების საკმაოდ მყარი ტრადიცია არსებობს ჩვენში. ქართული თეატრი მხოლოდ იმიტომ კი არ მიაშურებდა ხოლმე დიდი ლიტერატურის სამყაროს, რომ ორიგინალური დრამატურგია არ იყო მძლავრი, არამედ მას სხვა უფრო დიდი მიზნები ჰქონდა დასახული. ჩვენს სცენაზე აღიოდნენ მაღალმხატვრული სახეები, ღრმად ეროვნული ხასიათები და ახალ თაობებს კვლავ განაცდევინებდნენ დიადი მისწრაფებების, სულიერი შემართების მწერალთა შემოქმედებს. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდიდა ქართული თეატრის სულიერი ცხოვრების ასპარეზს, მეტს შესაძლებლობას აძლევდა თავისი პოტენციის გამოსავლენად, მსახიობური შემოქმედების ასამაღლებლად. მართლაც, ქართული თეატრის ისტორიას შემორჩა რამდენიმე კლასიკური ნიმუში მეცხრამეტე საუკუნის პროზისა თუ პოეზიის გმირთა სახეების სრულყოფილი გაცოცხლებისა (სპექტაკლი „ღამარა“, „მაცხრიოხი“, ვასო გვიათაშვილის — ლუარსაბ თათქარიძე, აკაკი ვასაძის — პეპია), მაგრამ, რატომღაც, ჩვენს თეატრებს თავიანთი უკრადღება არ მიუშართათ თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზისათვის, თუმც ორიგინალური დრამატურგიის მხრივ არასოდეს არ გვერნდა ისე საქმე, რომ იმედის თვალი ლიტერატურის სხვა განრისათვის არ მიგვეპყრო. ეს, შესაძლოა, იმიტაც იყო გამოწვეული, რომ ერისნისს XIX საუკუნის პროზის გასცენიურებამ მასიური ხასიათი მიიღო, რაც, როგორც ყოველი უკიდურესობა, მხოლოდ შემაფერხებელი აღმოჩნდა თანამედროვე თემის სცენური ხორცშესხმის საქმეში.

თავის დროზე მწერალმა მ. მრეველიშვილმა და რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა ჩვენს თეატრალურ მოღვაწეებს იმის პირველი ჩინებული გაკვეთილი უჩვენეს, თუ როგორ შეიძლება კარგი პროზაული ნაწარმოები („ხარატანთ კერა“) შემოქმედებითად, თეატრის თავისებურებების გათვალისწინებით გადაიტანოს სცენაზე და შექმნა ამაღლებული ქართული სპექტაკლი. ამის შემდეგ საკმაოდრომ განვლო და, თუმც ჩვენი რეჟისორები ხატზე იფიცებდნენ დღეიდან ქართულ პროზას ვკითხულობით, მათ მაინც ვერ აღმოაჩინეს შესაფერი ნაწარმოებები. მართალია, ქართული ორიგინალური დრამატურგიის განვითარების ინტერესები მოითხოვს მეტი ინტენსიურობით იდგმებოდეს ახალი პიესები, მაგრამ რატომ უნდა ვთქვათ უარი ისეთ პროზაულ ნაწარმოებზე, რომლის საფუძველზე კარგი, თანამედროვე სპექტაკლი შეიძლება შეიქმნას?

ეს შესაძლებლობა დღემდე ჩვენმა თეატრებმა ნაკლებად გამოიყენეს როცა აკაკი ვასაძემ ქუთაისის თეატრში კ. ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ცისკარი“ დადგა, ამით მან კიდევ ერთხელ ცხადყო ის ტემშირატება, რომ ჩვენს პროზას ძალუძს მრავალი შესანიშნავი მხატვრული სახე მიაწოდოს ქართულ აქტიურულ და რეჟისორულ შემოქმედებას. შთაგონოს იგი ახალი სცენური სამყაროს შესაქმნელად. მართლაც, ამის შემდეგ რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ მარჯანიშვილის თეატრში დადგა გასცენიურებული „კოლხეთის ცისკარი“, ნ. დუმეშაის „მე, ბებია, ილიკო და ილიკონი“ და ორივე ამ სპექტაკლს (განსაკუთრებით უკანასკნელს) დიდი წარმატება ხვდა წილად.



თავის დროზე სანდრო ახმეტელს განზრახული ჰქონდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სამი ძირითადი ეტაპი ეჩვენებინა ტრილოგია სპექტაკლში, მაგრამ ამ ჩანაფიქრის მხატვრული განსხეულება მან ბოლომდე ვერ შესძლო შესაფერისი დრამატურგიული მასალის უქონლობის გამო. ის, რისი გაკეთებაც კი მან მაინც მოახერხა, არ ვერდნობოდა ქართულ ორიგინალურ შემოქმედებას და უმთავრესად რუსული პიესების სახეცვლილ ვარიანტზე იყო აგებული. თუმც ამის შემდეგ რეჟოლოგიურ-რომანტიკული ხასიათის მრავალი პიესა დაიდგა, გადავლილ რევოლუციის კვირბაღლის, მგმუნვარებითა და სიმკაცრით აღსავსე ეპოქის იმ პირველ დღეთა სუნთქვა, როცა საქართველოში მკვიდრდებოდა ახალი ცხოვრება, ძალას იკრებდა, სივრცეებს აწყდებოდა.

სიმონ ჭკუიაშვილი — ს. ზაქარაიძე

მერაბ თაბავაძე — გურ. საღარაძე



ბოდა ხალხის წიაღში გაღვივებული ქარიშხალი, ჯერ არ ყოფილა გაცოცხლებული რუსთაველის თეატრის სცენაზე. ხოლო ეს ეპოქა—აღსავე მძაფრი კოლონიებით, რომანტიკული გატაცებებით, ადამიანთა ბედის მოულოდნელი შემოტრიალებებით, გმირული და ტრაგიკული პათოსით, — დრამატული და სცენური შემოქმედების დაუმრეტელი წიაღია. სწორედ ეს ეპოქა ასახული ს. კლდიაშვილის შესანიშნავ რომანში „მყუდრო სავანე“ და რუსთაველის თეატრმაც სწორედ ამიტომ განზრახა მისი სცენაზე გადატანა. რომანის პირველსავე თავებში მწერალი მივითხველია წინ შლის დაძაბულ ატმოსფეროს, უკადრახეული არმის, ქალაქიდან გამოქცეულ ადამიანთა აყრილი ურდოების მოძრაობას და ამ ფორთო პანორამაში ჯერ მგრთალად გამოყოფს ნაწარმოების მთავალ გმირებს. ძველი ცხოვრების კალაპოტიდან, ათეული წლებით შეთვისებული გარემოდან ამოვარდნილი ადამიანები, რაღაც უცნობი, ახალი ძალის პირისპირ შიშით შეპყრობილნი, მიეშურებიან მყუდრო ნავსაყუდელისაკენ, რომელსაც მათ მხოლოდ ბინდოსილი წარმოადგენა აქვთ. მაგრამ ქარიშხალი შეუნელებელი ძალით იზრდება და ყველაზე მშვიდი პროვინციების ცხოვრებასაც შეარხვეს, თავის მძაფრსა და მყოფთავარ რიტმში მოაქცევს.

„მყუდრო სავანეში“ პროვინციული ქალაქის პატარხევის და მის მკვიდრთა ცხოვრება ასახული. ყველაფერი მშვიდად და უშფოთელად მიედინება აქ. ადამიანებს არ აწუხებთ დროისა და მოვლენების რაიმე დიდი პრობლემები; წვრილმანი ინტერესები, პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ეგემურული გატაცებანი თუ შეარხვეს ხანდახან ამ თითქოს-და საშუალოდ ჩამოვარდნილ სიმშვიდეს.

მაგრამ შეუმრეველად, რაიმე მძაფრი ქარტეხილის გარეშე, პატარხევიც იცვლება ცხოვრება, — ადამიანებს უჩნდებათ საზრუნავი, ახალი მიზნები; ისინი უკვე აღარა ჰგვანან ფლეგმატურ ადამიანებს, უღიმიამოდ რომ აღამებდნენ დღეებს. ეს შეუმრეველობა, ნართაულობა, ძალზე მნიშვნელოვანის მოიარებით თქმა საერთოდ დამასასათებელია სერგო კლდიაშვილის პროზისათვის. „მყუდრო სავანეში“ მხოლოდ სიმინ ბე-


როშვილის და ირინე თუხარელის კონფლიქტი — სულეტი სიწინდისა და მერკანტურული სულის კონფლიქტისა უშუალოდ ნაჩვენები, მაგრამ აქაც თავს იჩენს ახლად დამდგარი დროის ნიშნები, რომლებიც ყველაზე და ყველაფერზე ახდენენ ზეგავლენას. ეს მხოლოდ ქვეტექსტებშია გამოვლენილი, ძირითადად ალწერალია მყუდრო სავანეში დამკვიდრებული ადამიანების ცხოვრება და იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ცხოვრების მაკრისცემა, რა ახალი ნიშნები ჩნდება აქ, — ჩვენ ვხვდებით, თუ რა გოლიათური ძალის ყოფილა ის ახალი, რომელიც თუმც უშუალოდ არ არის ნაჩვენები, მაგრამ რომლის ყოფნა, რომლის ენერჯის ზრდა უფროდაუფრო საცნაური ხდება. მაგრამ ადამიანთა დრამისა და ცხოვრების სიმძაფრის სურათის გამოსათვის აუცილებელი იყო ქვეტექსტებისა და ნაგულისხმები ვითარების მოქმედებაში გადაყვანა, ვინაიდან ჩვენ მხოლოდ იმას კი არ უნდა მივხედოთ, რომ პროფისის ცხოვრებას სცვლის ახალი ძალა, არამედ უნდა დავინახოთ კიდევ თუ რა ძალაა ეს, რას სცვლის და რას უპირისპირდება იგი. ამ მიზნით ბიესაში უფრო ნათლად, ვიდრე რომანში, გამოკვეთილია სამტურული ცხოვრების დამამკვიდრებელთა სახეები და მათი საქმიანობა. ამავე დროს უაღრესად გააქტიურებული და ქმედითა სიმონის სახეც. იგი ჭეშმარიტად დრამატოზირებულია, და მის პიროვნებას მოქმედებისა და შეტევის, მოპოვებისა და წინააღმდეგობის დათრგუნვის მძლავრი ინსტიქტი მართავს. თეატრთან, სპექტაკლის რეჟისორ ლევან მირცხულავასთან (რომელმაც თავისი ნიჭი და პროფესიული-ბა სოხუმის თეატრის რამოდენიმე სპექტაკლში ცხადყო) მჭიდრო, ჭეშმარიტად შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად, სერგო კლდიაშვილმა ბიესაში მრავალი ახალი სიტუაცია, სიუეტური მომენტები შეიტანა, უფრო ნათელი გახადა და ფსიქოლოგიურად გააღრმავა სიმონ ჭაჭიაშვილისა და ირინე თუხარელის დრამატული კოლოზია. ამ კოლოზიის შედეგად თვისობრივ ცვლილებას განიცდის ირინეს ხასიათი, ხოლო სიმონი ყოველ ახალ სიტუაციაში თავისი ნატურის სხვადასხვა მხარეს ავლენს. ამგვარად, ავტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრით გარდაქმნა ადამიანისა, მისი გადასვლა ერთი სიბრტყიდან მეორეში.

გიორგი თუხარელი — გ. სალარაძე

ლენტონი — ვ. საკანდელიძე

კატო — ელ. საყვარელიძე





ზ. ნიკოლაძე

ბუბის დარბაზი

რემი — უმთავრესად ირინეს ცხოვრების ჩვენების გზით უნდა წარმართულიყო. ამ ხასიათში არის განვითარების სიცოცხლისუნარიანი დერტო, ხოლო სიმონის ხასიათი (თუმცა ფერისცვალების საოცარ უნარს აძლევს) არსებითად მყარი, უცვლელია და ამაშია მისი სიძლიერე, კოლოზია იქნება სწორედ იმის გამო, რომ ირინეს ხასიათის განვითარებას, ცვლილებას წინ აღუდგება საპირისპირო ხასიათი სიმონისა.

ასალი ცხოვრების სხეილი უპირველესად შეიჭრება ირინე თუხარელის შინაგან, ფრიად მომხიბლავს და კეთილშობილურ სამყაროში. იგი ფსიქოლოგიურად გარდაქმნის ამ ქალს. ამგვარად ასალი დროის კეთილისყოფილი ძალა არაკვლის კანონითაა ნაჩვენები, არა უშუალოდ, არამედ ირინე თუხარელის გარდაქმნილი შინაგანყარის მეშვეობით. როგორც კი სრულდება ეს პროცესი, ბიესაში მაშინვე დგება მომენტი არი-საწყისის — ამაღლებულია და ვიწრო პრაქტიციზმის, გან-წმენდილი და მდაბიო სულის კონფლიქტისა. და მიუხედავად პიროვნული სიძლიერისა, სიმონი მარცხდება, როგორც ისტორიულად განწირული.

რევისორის უპირველესი ღირსება ისაა, რომ მან დიდის გულმოდგინებით, დაკვირვებითა და საზრიათობით იმუშავა მსახიობებთან, რომლებმაც ფრიად საინტერესო ხასიათები შექმნეს. ზოგჯერ უმნიშვნელო ფრაზებშიც, მცირე სიტუაციი-დან რევისორი და მსახიობი ქმნიან გარკვეული სამყაროს ადამიანს თავისი ფსიქოლოგიითა და რწმენით. ეტყობა, ყოველ რეალიკის მიღმა რაღაც იგულისხმება და ამ ნაკვლის-სხევის ნათლად გამოხატულებათვის რევისორი, მსახიობთან ერ-თად, ეძებს საინტერესო, ყველაზე მეტყველსა და დამახასია-თებელ დეტალებს. ვიზორული სახეებიც კი რევისორს შემოი-ყვას იმ მიზნით, რომ დროის დახმარებით კოლორიტი აღადგინოს, აქ მას ზომიერების გრძნობა არსად არ ღალა-ტობს.

ამ სპექტაკლში ირინე თუხარელი დავით კლდიაშვილის ირინეს სულიერი მეგვიდრება. ცხოვრებამ და ბედმა მათ კე-თილშობილებას მრავალი მსგავსი განსაცდელი მოუვლინა, მაგრამ ორივე არსებობა თურმე ეს თვისობა (კეთილშობილე-ბა) ყოფილი ყველაზე მძლავრი, წარმართული და მათი პიროვნული უსუველობაც სწორედ აქ იღებს სათავეს. თუ დავით კლდიაშვილის ირინე ფიზიკურად განადგურებული, სასოწარკვეთილი და მაინც საბოლოოდ წაქცილეს სეკტად ადგას კეთილშობილების ნათელი, სერგი კლდიაშვილის სპე-ტაკლის ირინე თუხარელი, ინტელიგენტ და ზრდილი ქალი, უფრო დახვეწილი და ფაქიზი, ვიდრე მისი წინამორბედი, გამარჯვებული გამოდის მძიმე განსაცდელიდან და ჩვენ ასა-ლი ცხოვრების გზის დასაწყისით მდგარი ვხედავთ მას. მაგ-რამ ირინემ გამოიარა არა მხოლოდ ენებათა და განცდათა ქარტახი, არამედ ეპოქის ქარიშხალიც და სწორედ დროის ამ მონახილ მინერვამ შეაძლებინა მას საკუთარი სისუსტის დაძლევა, ასალი აზრი მისცა მის ცხოვრებას. და თუმცა აქ უმჯარად არ არის ჩარეული მერას თავაგარი — ასალი სამყარ-ოსის შვლი, ქარიშხალი გამომბრძოლი კომუნისტი, მაგ-რამ მისი გონებისა და კეთილშობილი ბუნების უშუალო გზას უნათებს ირინეს. რაღაც შინაგანი, უხილავი ძაფები აკავშირ-ებენ ამ ქალს თავაგართან. ირინეს ხასიათი უმთავრესი თი-რებს ეს მისი კეთილშობილება, სიყვარული უმჯარო, ქველ-ური რწმენით მიწოდება. მისი ნათელი მიდრეკილებანი სათავეს იღებს მის ადამიანურ სიწმინდეში და ამ სიმადლიდან აფა-

სებს იგი სხვებს. სწორედ ამიტომ არის იგი დიდის სიმამართლე, გამსტკავული მერაბის მიმართ.

გუგამს საღარაძემ გამოკვეთა განსხვავებული, ორიგინალუ-რი სახე. რბილი, მეოცნებე ადამიანია მისი მერაბ თავაგარი. თვით უმნიშვნელო საუბარში, მცირე ხანს, შემთხვევით შეხ-ვედრილ ადამიანთა ურთიერთობაშიც კი ავლენს იგი თავის კეთილშობილურ ბუნებას. საუბრის დროს მუდამ იგრძნობა, რომ მის რაღაც უფრო მეტი და მნიშვნელოვანი საზრუნავი აქვს, ვიდრე მის, რაზედაც ასლა ლაპარაკობს. რეგულუცია აერთიანებდა ორ საწყისს — ნერვისას და შენებისას. მერაბ თავაგარი — ეს არის შემოქმედის სულის კაცი, მისთვის თავაგ-რია ახლის შექმნა და არა ძველის დაწვრთვა. რა გატაცებით ლაპარაკობს იგი ირინე თუხარელთან ქართველი ბავშვების შესუკალურ ნიჭზე, მათ საღარაძე იმპროვიზაციულ მოქნილობა-ზე. ემოციურ ადგნებებში მისი რაპორი მიმართება მისცენ, ასეთი ადამიანები მიმართავენ არა ადამიანთა ინსტიტებს, ეხებთან ადამიანთა არა ადვილად აღსაგნებ სიმებს, არამედ უშუალოდ სულისა და გონების სიღრმეებს. აი, რატომ მიგვაჩი-ნა გუგამს საღარაძის ნამუშევარი მისი შემოქმედების ფრიად მნიშვნელოვან მიღწევად.

მაგრამ მიელი სპექტაკლის გვირგვინი, საერთოდ ქართულ აქტიორული შემოქმედების ერთ-ერთი მიღწევა სერგი ზაქა-რიაძის სიმონ ჭაჭიაშვილია. ქართულ სცენაზე, ვკონებ, იშვია-თია სხვა ისეთი მთელი მხატვრული სახე, რომელიც ასე სის-რულით გამოხატავდეს „უძლიერე შვილის“ შემტევ ხასიათს. რომანში სიმონ ბეროშვილი უფრო ტლანქი, მიუხედავად ადა-მიანია, რომელიც ბრეყველი ქვევა შესამებულია ცხოვრები-სეულ თავგზიანობასთან, გინებასხევილობა — უდიდესი წა-მორთმავსთან, ხელგაშლილობა საგრძობ სიძუნწესთან. იგი ყველაფერს პირად ანგარიშობით ზომავენ და ადამიანთა კეთილშობილური მოქმედება მის გულწრფელ გაოცებას იწ-ვევს.

ბიესაში და სპექტაკლში ეს სახე უფრო გაზრდილია და სერგი ზაქარიაძის შესრულებით დიდ მხატვრულ განსოცადე-ბამდე ასული.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის უაღრესად ძლიერი და მოქ-ნილი ხასიათი, რომელიც უმაღ უღებს ალღოს გარემობას და უცხოთა მერყეობა, იგი გამოვლილ გზას არასოდეს გახედავს და არ დაქვემდებარება თავისი ქვევის და გადამტყვევლების სისწორე-ში. მისი მოქმედების პრინციპი ორ სიტყვაშია გაცხადებული: „მე ასე მსურს, მე ასე მინდა“. მან არ იცის რა არის ადვილერ-ბა, თითქმის მუდამ აღმოებულ მოქმედებს, რაღაც გაუგებარ-ი ინსტიტუტების კარნახით ჩქარობს მოასწროს ყველაფერი სწორედ აი ამ უწითი და არა მერე. სწორედ ეს სურს ალღო და არა სხვა რაიმე. იგი მუდამ რაღაცაზე ღელავს, შფოთავს; მ რაღაცა არის სერგიული ყველას აჯობოს (სულტრისა, მა-გზით), ყველაზე წინ დადგეს, გაუსწროს დროს და თავის შე-საძლებლობებსაც კი, პირად დანაშაული სხვას გადააბრალოს, თავისი უგებონი კაპრიზები მალე აღისრულის და ერთად-ერთ სწორ აზრად თავისი მიზნის („გაწუე იქით ენის მო-საზრება“). ამავე დროს იგი ტრეპაშენისა და ვენების კა-ცია. ამ ვნებას იგი ისეთივე გატაცებით და თავგანწირვით ეძლევა, როგორც საყვარელ საქმეს.

მასში ერთდროულად ცოცხლობს ჯაყის სიტლანქე და კვა-ტის მოხერხებლობა. ვინმე რომ ეჭვი შეიტანოს მის გულ-წრფელობაში, კაი კაცობაში, ვაჟაკობაში, იგი აღშფოთდება, „გადიარევა“, ვინაიდან, რასაც იგი ფიქრობს და რასაც იგი



სცენა საექსტრალის „კაიოხალი“

სნადის, ის მიაჩნია აზრისა და ზნებობის ნორმად. მის გონებას ვერ მისწვდება ის გარემოება, რომ ადამიანს, პირადი იდეალების გარდა, სხვა რამ შეიძლება გაანდეს, რისთვისაც ღირდეს თავგანწირვა. ამას იმიტომ კი ვერ გაიგებს, რომ სამიხოდ გონიერება არ ყოფილა, არამედ უბრალოდ, მისი ჭკუა ასე ვერ „მოტრიალდება“.

„არაფერი არ ვიცი: მიმოვეთ ეტლი, ფაეტონი, დროვი, გამიყვანეთ აქედან, თქვენი დედა ავატირე მე“. ეს არის მისი პირველი ფრაზა სპექტაკლში. იგი შემოდის სცენაზე იმედგაცრუებული (ყველა გზა მოჭრილია, იგი ვერ შესძლებს გაიქცეს საკარტოედან). ბოლოში გულგასიებული, მისი მიმართ ვიფიქრებ თითქოს ჩაჭედებული სამოსში: ყველაფერი შეშატონა ტანსა და სხეულზე: სქელი პალტო, წითელი კოჩეხი და თეთრი არაკვლის დაბალი ბოხოხვი კი მაგრად უჭერს თავზე. საოცარია, როგორ ახერხებს მსახიობი არტახტის ჩაჭედული სხეული დაუმორჩილოს პლასტიკური გამოხატვის ამოცანებს: აღმასკომის თავმჯდომარესთან სიმონ ჭაჭიაშვილი ცვილის სანთელივით მოქნილია, თავლი გადასდის სახეზე — ვითომ ყველაფერი ერთობიერება, არ იცის რა დაურჩება საწყენად და რა გაახარებს მერბ თამაგარს, ამიტომ პირველი შეცხადება (თაბაგარი: როგორ არ გიცნობ, შე კაცო, შენი ღვინო გვრჯერდ და დაიმილევია), შეიძლება, როგორც სიხარულის, ასევე წყნის გამოფიქრებად მივიჩნიოთ. გაურკვევლობის ეს გრძობა თავისებურად აირეკლება მის სახეზე, რომელიც ხან სიხარულით ბრწყინებს და ხან უეცარი წყნისაგან იტყუება. მაგრამ საკმარისია იგრძნოს სიმონ ჭაჭიაშვილი, რომ მისი დრო მთლად არ არის წასული (პიესაში ასახულია ნების პერიოდი) და აჯკ უკვე აღარ მიმართავს რაიმე ფერისცვალებას, უშუალოდ ავლენს თავის ბუნებას. გონებადამავილობის, მძაფრ დეტალების მიუღი ფეიერვერკია ამ როლში! უშთაფრესი ის არის, რომ ყველაფერი ეს შესრულებულია სახის სრული პლასტიკური შერწყმებით (რა გადაჭარბებულია მისი მობოდიშების მთელი ცერეპონიალი, მეგრულზე გამწვლი ხელის დადებით და იდაყვის ზეაწვეით, ან ენებამული, ბუნონსაგამი როგორ დასადგვს კატობ და ფერდობში არაოს აკეთებს ან ქალის ირგვლივ, რათა ვნებით მონუსხოს და კლანჭში იტყოს). ეს პლასტიკობა კი მისთვის დაბნახსიათებელი ტემპერამენტის მეშვეობით იღებს სრულყოფილ სახეს (გავისხნით მისი უკანასკნელი სკანდალი ოჯახში).

ნელობა ერთი სრულყოფილი მხატვრული-სცენური სახის, მცემნით არ შემოიფარგლება. ეს სახე მხოლოდამხოლოდ ერთი რთულიმე (ამ შემთხვევაში პიესაში ასახული) ეპოქის პირში არ არის. განსოვადებული მხატვრული სახე ეკუთვნის როგორც წარმოქმნიელ (ვინაიდან განასაზღვრული კონკრეტული ნიშნებითაა აღბეჭდილი), ისე მომდევნო ეპოქასაც. ამიტომ როცა სერგო ზაქარიაძე თამაშობს სიმონ ჭაჭიაშვილს, იგი პირდაპირ ეუბნება თავის ერს, რომ იგი იყოს დაუნდობელი ასეთი შვილების მიმართ, რომ არ მოატყუოს მისმა მოჩვენებითმა კაი კაცობამ, „ქართველობაზე“ თავის დადებამ, გარეხულად კეთილშობილურმა შესტმა. ამაშია თანამედროვე ქვერდაობა და მნიშვნელობა ამ როლისა.

მართალია, სპექტაკლში სხვა სახეები ასეთ ზოგად მნაშენლობას არ იძენენ, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს დანარჩენმა მსახიობებმა საინტერესო სასიათები არ გამოკეთეს. ეს, პირველ რიგში, უმეტესად გიორგი საღარაძეს და კარლო საკანდელიძეს.

გ. საღარაძე თამაშობს გიორგი თუხარელის როლს. ამ სახეზე, სხვა პერსონაჟებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებ განიცადა პიესაში ცვლილება.

მსახიობმა შესანიშნავად იგრძნო სერგო კლდიაშვილის ამ სასიათის მთელი მომხიბვლელობა, ინტელიგენტური სიფატები და სიკეთის სიყვარული. მისი მიაშობა, მიწვლიობა სასიათი ჩვენში სიმპათიას აღძრავს. ფერმკრალი, წყნარი, მეოტენბეზირად წუხს იმის გამო, რომ სამშობლოს ვერ გამოადგა წესისამებრ. და როდესაც თვის დღეთა სიველი დაუდგა, მწარესევა შემიფიქრნო მის არსებებს, ვინაიდან მიხვდა, რომ მხოლოდ საწუთრომომხედარი კაცია. სულის ეს წყნარი ტყვიელი ყოველივს იგრძნობა, მას სწავს სიკეთე და ნაზი რწმენით ლაპარაკობს ადამიანთა კეთილშობილებათზე. მას ისინი ხშირად ასეთებად ეჩვენება არა იმიტომ, რომ სინამდვილეში ეს, მართლაც, ასეა, არამედ იმიტომ, რომ თვით სურს, რომ ადამიანები ასეთები იყვნენ. მთავრალი სიმონ ჭაჭიაშვილი, რომელსაც საერთოდ ყველაზე ნაკლები უფლება აქვს საკარტელოზე ლაპარაკისა, ეკითხება: „გიორგი, ხომ გიყვარს საკარტელო?“ მიუხედავად იმისა, რომ ეს მოხუცი ინტელიგენტი ამ მეღვინე ქვეშევსეული შიშითა და კრძალვით ესაუბრება, ამ შეკითხვაზე ჰკარგავს წონასწორობას, ხელიდან უვარდება აღი და ისეთის სასომედი გამოტრება შესარხიშებულსა და ადვილ სიმონს, რომ უშალ ვერძნობს, თუ რა უნაქვსმა სიმებმა გაიხიზიანეს მის სულში და როგორ გაკეთილშობილდა მის თვალში შეგითხველი. „მუდრო საგანეში“ არის შესაწინაშე სტრიქონები პროფიციის მთვარეზე, მის მართალ სვედისმოტეველ სინათლეზე. შეიძლება ვვედვოდ, როცა ამგვარ შედარებას მივმართავთ, მაგრამ ამ სცენურ სახეს სპექტაკლში შიშითაც ისეთივე ნაზი და პოეტური განწყობა, როგორც პროფიციამში მთვარეს. ჩინებულად თამაშობს დენტორის როლს კარლო საკანდელიძე. საერთოდ, ამ მსახიობს აქვს რიტმისა და პლასტიკური ნახატის შესანიშნავი გრძობა. მის მიერ ნათამაშები როლები ამ მხრივ ყოველთვის გამოირჩევიან. დენტორი — ეს არაქვე კაცი, ამფსონი, ცქვიტი სურფის და ქეიფის საქვეშეში, კულში დაკვეება სიმონს და რაიმეს გამორჩენის იმედით ცოცხლობს. ამ საჭიროები ვითარებაში იგი ცდილობს ღრსეულად მაინც ეცეროს თავი და სიამყარადაც გრძობა შეინარუნოს. მაგრამ მისი რიხივ და დამოუკიდებელი კაცის პოზაც მოჩვენებითა, და მსახიობი გვარძნობინებს ამ კაცის ნამდვილ ბუნებას. სპექტაკლში ეპიზოდური

როლებიც კი გამართულია და საინტერესოდ შესრულებული. თვითუღი მათგანი თავისებური ხასიათისა: კომენდატი ჭა-ლი (ლ. დამბაშიძე) ყოველგვარი გრძნობისაგან დაცილილი და ჭადაგად დავარდნილი, რომელიც პროლეტკულტულ ატიკა-ციასი მეტ პოეზიას ხედავს, ვიდრე თვით ადამიანებში, და-კოჭრილი ხელები მიანიჩა სილამაზის იდეალად და ექსტაზი იპყრობს, როცა ატიკაციის შთაგონება ეწვევა. ქალური მომ-ხიბველობა და გრაციულობა მასში „ტრიონის“ ესტიკუ-ლაციას შეუცვლია, ხოლო ჩვეულებრივი საუბრია კილო-რი-ტორიკულ შეგებადებებს. აფთიაქარი ბვლარი (ჯ. დაღანიძე) საწყისი და რბილი კაცი, განურჩევლად რომ სურს ყველასთან ტყბილი იყოს, ყველას დაუყვავოს; ქარხნის მმართველი (ნ. მარგველავილი) — ზონსრობა და ჩლუნგი; ინსტრუქციებით მოაზროვნე, უმშრომლის კომისარი (ვ. ელიშვილი) და სხვ.

ნ. ანდლულაძე თამაშობს გივი რიონიშვილს; მსახიობი გვიჩვენებს, რომ მისი გმირის რაინდული პოზა და სამშობლო-ზე გულსწრებით, გარეგნულად ელვავე ნიღაბია, რომლის მიღმა იფარება მისი წვრილმანი და მზდალი სამყარო.

ე. საყვარელიძე კატის როლში გრძნობათა და განწყობი-ლებათა უფრო ილუსტრაციულ ხერხს მიმართავს, ვიდრე ხა-სიათის შემოქმედებით ვახსნას, რის გამოც ეს როლი, როგორ-დაც, ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო წყობიდან.

როგორც ვნახეთ, სპექტაკლს არაკრთი ღირსება გაჩნია. მაგრამ, საკითხავია, როგორ მოხდა, რომ იგი ვერ იქცა ამა-დელევებელ ნაწარმოებად და მის ჩვენს მაყურებლებში ნაკ-ლები წარმატება ერგო? ამას საკმაო მიზეზები აქვს.

მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მსახი-ობების მიერ შექმნილი საინტერესო სცენური სახეები სპექ-ტაკლში დამოუკიდებელი კუნძულებივითაა გაფანტული. ისინი ნაკლებ ან საერთოდ არ უკავშირდებიან ერთმანეთს. ეს დამა-კავშირებელი ძალა სპექტაკლის ნათელ აზრობრივ გამიზნუ-ლობაში ძევს. ეს სინათლე კი სპექტაკლში მკრთალაია. თავმევე ვთქვათ, რომ ავტორებს ირინე თუხარელისა და სიმონ ჭაჭია-შვილის კონფლიქტით სურდათ ეჩვენებინათ ქარიშხლის ზე-გავლენა ადამიანებზე. მაგრამ სპექტაკლში სიმონის აქტიურ ბუნებას სუსტად უპირისპირდება ირინეს ფრიად პასიური საწყისი. მართალია, ზ. კვერენჩილაძის ირინე ფრიად მომ-ხიბვავია თავისი კეთილშობილებით, გაუმხელი სვედით და თითქოს განწირულების რაღაც გრძნობით, მაგრამ ცხოვრების მძაფრი შეტევების შედეგად მომხდარი გარდატეხა ნაკლები ძალიაა ნაჩვენები. ჩვენ აქ უშუალო დაპირისპირებაზე, ირი-ნესა და სიმონის ხასიათების შეჯახებაზე კი არ ვლამპარობთ მხოლოდ. უბრალოდ, ირინეს ხასიათი (თუნდაც ისეთი, რო-გორც სპექტაკლშია) მეტის სიღრმით, მეტის მსატრული ძალით რომ ყოფილიყო დამუშავებული, უფრო მკვეთრად გამოიყოფოდა ადამიანისა და დროის ორი საწყისის ბრძოლა.

სპექტაკლს იმანაც დააჩნია დალი, რომ „მყუდრო საგანე“ მეტად ძნელი გადასაკეთებელია სცენისათვის. ეს ნაწარმოები ღრმად ზის თავის ჟანრში და იქიდან მისი „ამოვდება“ და სცენაზე გადატანა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მართალია, ინსცენირების პროცესში შეიქმნა ახალი სიტუა-



სცენა სპექტაკლიდან „ქარიშხალში“
ირინე — ზ. კვერენჩილაძე, სიმონი — ს. ზაქარაია

ციები, მრავალმა ძველმა სიუჟეტურმა ხაზმა სხვა მიმართება მიიღო, მაგრამ ყოველივე ეს გაკეთებულია არა იმდენად, რომ „ქარიშხალს“ მაინც პიესის სახე მიეცემოდა. ამ გარემოებამ, უპირველესად, კომპოზიციურ ჩამოუქნელობაში იჩინა თავი, რამაც, თავის მხრივ, სპექტაკლის საერთო წყობაზედაც იქო-ნია გავლენა. ის, რომ სპექტაკლი მოდუნებულია რიტმულად და ატმოსფეროდ დაცილილი სიცოცხლის კონკრეტული ნიშნე-ბისაგან, მარტო რეჟისორის კი არა, მხატვარ ფ. ლაპიაშვილის ბრალიცაა.

დღევანდელი როგორღაც უღიმამოდ გამოიყურებიან, სტოვერებ რაღაც ძველისა და შემთხვევითის, არა ორგანოსის შთაბეჭდილებას. (ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი შესრულების დაბალი ტექნიკური დონე).

მართალია, თეატრმა სერიოზულად იმუშავა ამ სპექტაკლ-ზე, დიდი დრო და ენერგია შეაღია მის განხორციელებას, მაგ-რამ, ეტყობა, სპექტაკლს კიდევ სჭირდებოდა ერთი აღმოსაფრე-ნა, ერთი დაძაბვა უკანასკნელი ძალებისა, სულისა და გონების ერთი შემართება, რომ უკეთესი გამოსულიყო.

სცენა სპექტაკლიდან „ქარიშხალში“



თ ა ნ ა მ ე ლ რ ო ვ ე ო ბ ი ს ბ ზ ი თ

ალექსანდრე კოკია

ბრივლ ბერძენიშვილის სახელი მტკიცედ არის დაკავშირებული ქართულ საბჭოთა თეატრთან. ოცდახუთ წელზე მეტია, რაც ამ დრამატურგის ნაწარმოებები სისტემატურად იდგმება როგორც თბილისის, ისე ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების თეატრებისა და კულტურის სახლების სცენაზე. მისი მცირე ფორმიანი პიესები კი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივებისა და დრამატული წრეების განუყრელი თანამგზავრია. გრ. ბერძენიშვილის არაერთ პიესას დაუმსახურებია მაყურებელთა მოწონება. დიდი სამამულო ომისა და მის შემდგომ წლებში დიდხანს იდგმებოდა თბილისის წამყვანი თეატრების სცენაზე გრ. ბერძენიშვილის რამდენიმე პიესა. უკანასკნელ ხანს აზი-ლისის საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა გრ. ბერძენიშვილის პიესებს „ლერწამი ქარში“, „დაჭრილი არწივი“ და „კოჭლი მეწისქვილი“. ამ პიესების დადგმა განახორციელეს შ. რუსთაველის, კ. მარჯანიშვილისა და მოხარად მაყურებელთა თეატრებმა. „ლერწამი ქარში“, რომელიც რუსულ ენაზე ითარგმნა, დაიდგა მოსკოვის ერთ-ერთი თეატრის სცენაზე. ამ პიესას მოსკოველი მაყურებელი კმაყოფილებით შეხვდა. დაიწერა მოწონების რეცენზიები.

გრ. ბერძენიშვილის პიესებში მხატვრულად განსხეულებულია ჩვენი ქვეყნის განვითარების ცალკეული ეტაპები, პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი ამა თუ იმ პერიოდში. ამაზე განაპირობა გრ. ბერძენიშვილის, როგორც დრამატურგის, პოპულარობა. წერის თავისებური მანერა, მოვლენების დინამიური განვითარება, გმირისა თუ ტიპის ერთი მტრინით გამოკვეთა — მიზიდველობას ანიჭებს მის ყოველ დრამატულ ქმნილებას. დრამატურგის შემოქმედებაში აისახა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები, კოლექტივიზაციის ხანა, დიდი სამამულო ომი და საბჭოთა ხალხის შვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ომის შემდგომ პერიოდში.

ავტორი კარგად იცნობს სოფელს, გლეხეკის ბუნებას, მის მისწრაფებას, საკოლმურწეო ფერხულში ჩაბმულ ახალგაზრდობას.

1958 — 1960 წლებში გამოვიდა გრ. ბერძენიშვილის ნაწარმოებთა ორი წიგნი, რომლებიც უმეტესად ბოლო ხანებში დაწერილ შვიდ პიესას შეიცავს.

1905 წლის რევოლუციის ორობედათ წლისთავს მიუძღვნა ავტორმა პიესა „დაჭრილი არწივი“. ამ დრამას გრ. ბერძენიშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. დრამატურგმა ჩინებულად გამოკვლია სახელმწიფო-დარული დათიკო შევარდნისა, რომელიც დიდი სიყვარულით შემოსა ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერებამ. საქართველის ულამაზესი კუთხიდან — გურიიდან აფერხილმა არწივმა ხანმოკლე და მფითთარე სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანა მშრომელი ხალხის განთავისფლების საქმეს. სო-

ციალურმა უკუღმართობამ ამ ჯანღონით აღსავსე გურულ გლეხს ხელში იარაღი ააღებინა და უსამართლობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში ჩააბა. ბრძოლის ქინით ანიჭებულ ი, იგი ჯიქურ მიიწვედა მზავრელების მოსასპობად, მაგრამ მარტო ეს კმაროდა, რადგან „საკანიდან ნასროლი მაჭახელა პეტროგრაღში ნიკოლოზ ვერაფერს დააკლბდა“. გრ. ბერძენიშვილმა დათიკო შევარდნაზე წარმოგვისახა, როგორც უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი სახალხო გმირი. ვაჟაკურში შემართებისა და პირადი მომხიბვლელობის გამო იგი რევოლუციურად განწყობილმა გლეხობამ თავის მეთაურად აღიარა. ავტორმა იგი გამოიყვანა პარტიის ნებისა და სურვილის ამსრულებლად. ყოველი მისი მოქმედება დაკავშირებულია ბოლშევიკური ორგანიზაციის გურიის კომიტეტთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1905 წლის მულეჯარე დღეებში გურული ხალხის რევოლუციური ორგანიზებულობა ვ. ი. ლენინის სამაგალითოდ მიანდა. იგი წერდა: „გურიის გლეხთა მოძრაობა აფეიათი მოვლენა მოყოლიო ისტორიაში. ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ სასებულო შეგნებული პოლიტიკური მიჭრაობა, რომელიც მთლიანად ემხრობა მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“. აი, ასეთი შეფასებას აძლევდა რევოლუციის დიდი ბელადი პატარა გურიის თავგანწირულ ბრძოლას, და როცა გრ. ბერძენიშვილი წერდა: „დაჭრილი არწივი“, მისთვის შთამაგონებელი იყო დიდი ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები.

„დაჭრილი არწივი“ მოვლენები ვითარდება ისე, რომ იგრძნობა გურიის აჯანყებული გლეხობის მტკიცე კავშირი მთელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობასთან. გურულებს მხარს უდგას კრესერ „პოტომკინიდან“ გამოქვეყნული მესულავური-რევოლუციონერი ფედოროვი. ავტორმა რამდენიმე მტრინით დაგვიხატა ფედოროვის სახე.

პიესაში მეტნაკლები მხატვრული სისრულით მრავალი მოქმედი პირია გამოყვანილი. მართალია, ყველა პერსონაჟის სრულყოფილი დახატვა დრამატულ ნაწარმოებებში ძალიან ძნელია, მაგრამ „დაჭრილი არწივი“ ავტორს უფრო მეტი სიღრმით და რელიეფურით უნდა მოეცა პარტიის გურიის კომიტეტის წარმომადგენლის უშანგის სახე, რომელიც შევარდნაძემე ხედავს გურთაღად გამოიყურება. უშანგის სიტყვებში მიზანს უფროდა, ხალხს სჯერა მისი. მაგრამ როგორც მხატვრული სახე, იგი მაინც სუსტია. უშანგე პარტიის მიზანდასახულების უფარდებს დათიკოსა და ხალხის მოქმედებას. ბუნებრივია, რომ დათიკო შევარდნაზე თავდაპირველად ვერ გრძეობდა რევოლუციური დისკომინის. მისი დევნისა: „სადაც წავაწყდები წუწს, წუნკალს, ჯაშუშს—სულს დავიხვები“. ასეთი გაუბრალებული მიდგომა საკათხისადმი სცილდება პარტიის მიერ მოფიქრებულ და მეცნიერულად გაანალიზებულ გენერალური შეტევის გეგმას. დათიკო ხალხის მართალი შეი-

ლია. მასში ძლიერია ზიზღი მტრისადმი და სიყვარული თანამომხთა მიმართ. მაგრამ მარტო მტრისადმი სიძულვილი ვერ უზრუნველყოფს გამარჯვებას. ეს კარგად იცოდა პარტიამ. საჭირო იყო ორგანიზებულობა, გეგმავითი შეტევა და ზოგჯერ დროებითი უკან დახვევა. დათვის უჭირს შეწყობის ყოველივე ამას. იგი იმ მდინარეს მოგვეგონებს, რომელიც უწყალი ხმირად უნაყოფოდ იკარგება. საჭირო ხდება გზა მიეცეს ამ მდინარეს და იგი ხალხის კეთილდღეობის სასამხურში ჩადგება. გურიის კომიტეტის შემგებობით პარტია ამას აღწევს.

ადვილი როდი იყო ხალხის დარწმუნება მის უძლეველობაში. ბევრს საჭიროდა მეფის ტახტის შეურყეველობა. კომუნისტური პარტია ხალხს განუმარტავდა, რომ შეიძლება უმეფოდ და უმემამულოდ ცხოვრება, რომ ხალხი თავისი რიგებიდან გამოყოფს და ხელისუფლების სათავეში ჩააყენებს თავის ღირსეულ შვილებს. გამარჯვების რწმენით ანთებული ხალხი სამკედრო-სასიციცხლო ბრძოლაში ჩაება.

გრ. ბერძენიშვილი დღევანდელი თვალთახედვით მიუღბა საკითხის გამოშვებას, და პარტიულობის ამ პრინციპმა განაპირობა კიდევ ნაწარმოების წარმატება. „დაჭრილი არწივი“ დრამატურგის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა. ამჟამად საქართველოში მრავალი პროფესიული და თვითმოქმედი სახალხო თეატრი წარმატებით დგამს ამ პიესას. ეს გასაგებია. გმირული და პატრიოტული დრამა ქართული თეატრის რეპერტუარის განუყოფელი ნაწილია. ქართველ ხალხს, რომელიც საუკუნეების მანძილზე იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამგვარი ნაწარმოები ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს.

კითხულობთ „დაჭრილი არწივს“ და თქვენს თვალწინ ცოცხლდება მსახიობი გიორგი შვეგულიძე, რომელმაც ბრწყინვალედ განახორციელა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე დაბოკო შევარდნაძის სახე. ეს იყო უკანასკნელი როლი, რომელიც ქართველი მსახურების სსოვნაში დატოვა ნაადრევად დაღუპულმა საყვარელმა მსახიობმა. ვისაც უნახავს შვეგულიძის შევარდნაძე, მას არასოდეს დაავიწყდება იგი.

გრ. ბერძენიშვილის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაიჭირა პიესამ „ლერწივი ქარში“. ეს პიესა „დაჭრილი არწივის“ იდეური გაგრძელება და თავისებური ფინალია. იდეა, რომლისთვისაც იბრძოდა პატარა გურია ცხრაასხუთში, უკვე ფრთაშესხმულია. დიდი ხნის ოცნება თავისუფალ და ბორკილავაირო შრომაზე განხორციელებულია.

„ლერწივი ქარში“ გასცდა ქართულ სცენას და მოსკოვშიაც წარმატებით იდგმებოდა. ამ პიესაში ჩვენი დღევანდელი ასახული; ასახულია საბჭოთა გურია, მშრომელი და მომხმარებელი გურული გლეხი. პიესის ცენტრში დგას ას წილს მიღწეული მეწისქვილე ამბაკო — მრავალი ჭირვარამის მწასველი. ეს კეთილი და შრომისმოყვარე მოხუცი ქართველი ხალხის ტიპია. წარმომადგენელია, მაგრამ თვით პიესა საბჭოთა ახალ-გაზრდობის ნათელი ცხოვრებისადმი მიძღვნილი. ამ ახალ-გაზრდებმა შრომაც იციან და მოღუბნაც, იციან სიყვარული, კეთილშობილური და უმწიკვლო. პიესისადმი ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ მასში მკვეთრად და ყოველგვარი მოზღბიშების გარეშე ნაჩვენებია ზოგიერთი გზასცდენილი ადამიანის დასავითი საქციელი. მაგრამ ამასთან უნდა ითქვას, რომ უარყოფითი გმირი — ნოდარი მხატვრულად უფრო სრულყოფილი და ხორცშესხმული აღმოჩნდა, ვიდრე მამია, რომელიც ავტორის ჩაუფიქრებია, როგორც დადებითი გმირი. საინტერესო სახეა ლეილა. მაგრამ ყველაზე დასრულებული და მიმზიდველი სახე მაინც ამბაკოა. ეს არის გმირი, რომლის სრულფასოვანი სცენური განსახიერება ახალ ფურცელს ჩაასწავს ყოველი მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

„კოჭლი მეწისქვილე“ ასახავს ჩვენი გმირი მესხლვრეთებისა და უბრალო მშრომლების მტკიანი განამეგობრობას. ამ თემაზე ბევრი დაწერილია, მაგრამ ავტორმა მაინც შესძლო რაღაც ახალის შეტანა თავის ნაწარმოებში. პიესა ჩვენი ნორმ მაყურებლებს უნერგავს სამშობლოს სიყვარულს და მოულოდებლს მას ფიხზლად დაიცვან მტრებისაგან ჩვენი ქვეყანა.

საკოლმეურნეო ცხოვრებას ეხება პიესები „ჩემს სოფელში“, „შემოდგომა“, „იდეა სახლი ლაქაშეში“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებს და მის შემდგომ პერიოდს ასახავს პიესა „მუსესთან ახლოს“. აღსანიშნავია გრ. ბერძენიშვილის სხვა პიესებიც: „დიდი დღეები“, „ინანი“, „ოქროს ვერძი“ და მრავალი სხვა, რომლებიც თავის დროზე საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ. გრ. ბერძენიშვილის მცირეფორმიანი პიესებიდან უნდა აღინიშნოს „დღის ნუგეში“, „ქალაღის კაცი“, „ციხე-სიმაგრე“.

გრ. ბერძენიშვილი ამჟამად თავისი შემოქმედებითი სიმწიფისა და დავაქაცების ხანაში იმყოფება. ამიტომ გვეჭრება, რომ იგი ახალი დრამატული ნაწარმოებებით კვლავ გაახარებს საბჭოთა მკითხველსა და მაყურებელს.





უკრაინის გიანა მავრუტაკი

გაიანა მავრუტაკის

კონცერტი

მეურვებელთა დარბაზი



მადლმხატვრული ქართული საზოგადოება ღრამატურისათვის

გიორგი ხუნაშვილი

დაიწყო იქიდან, როცა პირველად ბავშვობისას შეირსა ჩვენს წინაშე სცენის ფარდა, თვალს და გული მივაჭკვება დიდ ოთხკუთხა ჩარჩოში გაყოცხლებულ ცხოვრების სურათებს. შთაბეჭდილებები მეოცნებენი უჩვეულოდ განიცდიდა ჩანებულ მდარბაზს, რამის მიღმა იწყებოდა სანახ.ობა, გაპო- უცნობი მოლოდინი აცხრობდა მაყურებელთა ლაპარ.კს, ისაღ- გურებდა დუმილი, ჩვენც ვიწყებდით ცხოვრებას რამის გა- დაღმა. მაშინ არ ვიცნობდით „კულისების საიდუმლოებას“, სცენაზე დატრიალებულ ამბავს უნებურად ჩავერთობოდით, ვიცნობდით, ვტირობდით, ვიბრძობდით, ვიტანჯებოდით. გული- ანად ეხარხარებდით უნარა ნაცარქვეყნის შოვერებზე ღაბაზე, მუშტებს შეგვარავდით, როდესაც დასახერხებდა გამოჰყავდათ ამაყი და მამაცი კრახანა, გვაღვლებდა რთულ და ჯულიტას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი... ასე დაიწყო ჩემს თანა- ტლოთა ცხოვრება თეატრის დარბაზში. ჩვენ ვიზრდებოდით, ჩვენთან ერთად იზრდებოდნენ გმირებიც, უფრო დიდსა და რთულ ცხოვრებაში შევდიოდით; მერე ბევრ ჩვენთაგანს გა- უნდა საკუთარი ოცნებანი ხელგუნებაზე, დაიწყო პირველი ლექსი, გაჩნდა პირველი ნახატი, სარკის წინ მაყურებელთა დაუსწრებლად გათამაშდა პირველი და ყველაზე დიდი სიმა- თლით გამსჭვალული როლი. ჩვენ უკვე მარტო რიდი ვერ- თობოდით, რომად ვფიქრობდით, ხელგუნება შემოიჭრა ჩვენს სულში, ჩვენს სიყვარულში, ჩვენს ოცნებებში. ამაღლებული საქეტკაცივი გრძელდებოდა ჩვენს მფითიან სიზნებში. ჩვენ უკვე ვიცოდით რა იყო „კულისების მტკიცე“, გვეცმდა გრი- მის და დეკორაციის საღებავების ნაცნობი სუნი, ვიცოდით რა იყო ბუტაფორია და თეატრალური პირობობობა. ისიც ვიცო- დით სად ზის მოკარნახე, საიდან უმიზნებენ სცენას პროექ- ტორებს მდღამ უჩინარი განმათებლები. როგორ მოუსვენრად დადის დიდი ლურჯი ფარდების იქით ხელოვანი კაცი, რო- მელსაც რეჟისორი ჰქვია. და ყოველივე ამის მიუხედავად ჩვენ შემოვჯერნა უშუალო განცდის უნარი. ჩვენს წინაშე ბორ- გავდა კეთილშობილი მავრი, ეკვებით გულგანგნილი ოტლო, უმანკო ცრემლებს ღვრიდა უმწვენიერესი დეზდემონა, ინტრი- გის ბადეს ხლართავდა იაგო. შევყურებდით დედოფალ ზეი- ნების წინაშე ქუდმობილი, მონაწილის გზაზე დამდგარ ოთარ- ბებს, რუკიანს ცბიერებით გზაანბნულ ერეკლეს, ყოვლის- მხილველ ცილთვლა ანანისა, დაღვევარ დათოს. ტაძრის კრი- ალით ვეგებებდით ნაბადმოსხმული კიკვიდის გამოჩენას, მო- წონებით ჰვდებოდით ლაერენევის „რუგვეის“ გმირებს, ვი- სიბღობდით გოდუნის ვაჟაკობით, მხუღვალურული პირდაპი- რობით, ბერსენევის დიდსულოვნებით; განვიცდიდით ურთულ აუსტასა და მწვენიერი იფიდიის მადლ სიყვარულს და სუ- ლის სიღრმეში გვეზულდა შავ-ყივითი ფერები განსახიერებე- ლი რელიგიური ფანატრიზმის მშხმუთული ატმოსფერო. სცენა თითქმის მსოფლიოს გზაჯვარდინი იყო, სადაც ჩვენს თვალ- წინ ყოველდღე გაივლიდნენ ხოლმე დიდსულოვანი გმირები,

რანდები, შეყვარებულები, ბოროტგამზარხანები, მოღალ- ტენი; ისინი მოდიოდნენ შორეული წარსულიდან, პირველ- დ შობილი ათენის აკროპოლში, რომის ძველებურ თეატრში, პარიზის, პამბურგისა თუ პეტერბურგის თეატრების სცენაზე. ჩვენ გვესმოდა სასალხო გმირების ყოყინა, არსენას ყვილი თუ კარლ მოორის მგზნებარე მოწოდება, ფრანცის ისტერიული ბორგვა და სამშობლოსათვის წამებული ვაჟაკების, სვიმონ ლეონიძისა და ლევან ხიმშიაშვილის მტდარით ნათქვამი სი- ტყვეები: „არ დარკო, გოგია!“ და გამობსილად ხმარობ- და თითქმის ჩვენს სულში ეს ძახილი: „არ დარკო, გო- გია!“

ჩვენ ჭეშმარიტად გვაღვლებდა დიდი ტრადიციების მქო- ნე ქართული სამჭოთა თეატრი. აქ ვიზრდებოდით, ვაღიბ- დებოდით. აქ იზრდებოდნენ ჩვენი გმირებიც. ვუ- სდებდა ვაჟაკური მსახიობი, ჩვენი სათაყვანებელი გმირი. ბავშვ- ბიდანვე შევეჩვიეთ შექსპირის გმირებს, მაჩაბლას და დებლუ ქართულს. ვიქტორ პიუგოს, კარლ გუცკოვის, ნიკოლოს ოს- ტროვსკის, მაქსიმ გორკისა და ჩეხოვის გმირები ჩვენს შემეც- ნებაში გაერთიანდნენ ა. ხუმბათაშვილის, დ. ერისთავის, შ. დადიანის გმირებთან, გადმოსახლდნენ ჩვენს სულში, ჩვენს ხასიათში, ფიქრებში. ტაშს ვუკრავდით სცენაზე ვერითი ან- ჯავარიძის, თამარ ჭავჭავაძის, აკაკი ხორავას, აკაკი ვასა- ძის, ვასო გოძიაშვილის გამოჩენას. ბევრს ვლახარაკობდით უმანკო ჩხეიძეზე, ადამიანზე, რომელიც სიციცხლემზე იქა- ლეკენდა. იხვეწებოდა ჩვენი გემოვნება, ფართოვდებოდა სუ- ლიერი ინტერესები და უკვე აღარ ვიყავით გულბურჯილო მა- ყურებელი. როდესაც დღეს რუსთაველის ამ მარჯანიშვილის თეატრების სცენაზე ვხედავ ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობებს, მე ვივონებ ჩემს ბავშვობის თანაზარ პირველ მაყურებლებს, რომელთა თვალში ამ ოცი, ოცდახუთიოდ წლის წინ პირ- ველად აელვარდა რამის მუქე...

მერე იყო მთაფრი, ჯერარსმენილი ისტორიული ომი. საღ- ლაც დარჩა ის დღეები, როდესაც თეატრიდან დაბრუნებულნი ჩვენ ვიყავით მამაკე ვაჟაკებიც, მხედრები, მუსულმანები, რა- ინდები. ახლა ჩვენ მოვაჭვირა ისტორიის ავანსცენაზე უდივე- სი როლის თამაშმა. და ვქექით კიდევ ნამდვილ ვაჟაკებად, მხედრებად, მუსულმანებად. რუს პოეტს მიხილ ლუკინანს აქვს ერთი ოცენა „სტალინგრადის თეატრი“. აქ პოეტს ყო- ფილი თეატრის სცენაზე უზრალე ზემდგვის ჩადენილი გმირ- ბაზე ლაპარაკობს სტალინგრადის ისტორიული ბრძოლების დროს, ზემდგვისა, რომელმაც მთელი კაცობრიობის წინაშე ითამაშა უდიდესი როლი, ხოლო მოკარნახედ იყო ისტორია. ჩვენმა თითამ ნახა ნამდვილი სიკვდილი, შეესწრო ისტორი- ულ ბრძოლებს, გამოიარა ბევრი ტანჯვა, გაუძლო განსაც- დელს. სტალინგრადის თეატრის სცენიდან ბერლინი აღმარ- თულ სამჭოთა ჯარისკაცის ძველამდე ადამიანები სწვრდნენ ვაჟაკობის უკვდავ მატანეს. და იღუპებოდა ბევრი ამ გზებ-

ზე. მათთან ერთად იფარებოდა საფლავის ბალახით დაუწერელი ლექსი, დაუსტავი სურათი, გადაუწერელი როლი. და იყვნენ დრამატურგები, რომელთა პიესები არასოდეს დაწერილა, არც დადგმულა, იყვნენ მსახიობები, რომლებიც ერთხელაც არ მიმოკვდარან „მოჩვენებითი სიკვდილით“ თეატრის სცენაზე და ნამდვილი სიკვდილით კი მოკვდნენ. ნერე ისინი, უსახელო თუ სახელიანი გმირები გაცოცხლდნენ დიდ წიგნებში, სიმღერებში, თეატრის სცენაზე. ჩვენც გვივლია იმ გზეზე, სიკვდილ სიცოცხლის გზეზე და მძიმე წუთებში, განსაცდელის ვამს ჩაგვესმოდა შორეული ძახილი: „არ დარეკა, გოგია!“


ქართული საბჭოთა თეატრი ყოველთვის რჩებოდა დიდი ტრადიციების ერთგული. მისი ფარდების ნაკვეთებში ჩახვეული იყო კოტე მარჯანიშვილის და სანდრო ახმეტელის რეპეტიციების მიღწეაზე ხმები. სცენაზე კვლავ მოვიდნენ იშვიათად დახდილი ადამიანები, თან მოიყოლეს ფრონტზე მიღებული ჭრილობები, გაუტეხელი ნებისყოფა. იყვნენ ცხოვრებაში მედროვე საქმოსნები, მოღალატე ცოლები, ლაჩრები. და ეს ქმნიდა ადამიანებს შორის დრამატულ ატმოსფეროს, კონფლიქტებს. ომი იყო ადამიანების დიდი გამოცდა ფრონტზეც და შურგმეც; გმირობის გვერდით იყო შიშაც, თავდაღების გვერდით — ეგოიზმიც. გმირები სჭარბობდნენ ლაჩრებს, სულგრძელობა — სულმოკლეობას და ჩვენ გავიმარჯვეთ. ეს იყო ახალი, დიდი ოპტიმისტური ტრაგედია. იწერებოდა პიესები პატიოსანი, სულმადალი ქალის ერთგულებაზე, ერთგულებით გადარჩენილ სიყვარულზე, მოულოდნელ დაბრუნებაზე, ჭირისგადამტან დედებზე, დასახიჩრებულ ვაჟკაცებზე, დარღვეულ პარმონიებსა და შელახულ სილამაზეზე. მე მასსოფს კ. მარ-

ჯანიშვილის თეატრში დადგმული კ. სიმონოვის „მელოდრამა“ ერთ-ერთ მთავარ როლს გაიკრი შავგულიძე ასრულებდა. სცენაზე ოცნად უხდებოდა მფრინავის ლურჯი ტანსაცმელი, თმს უჭერდა ჰქონდა, პაპირისს გულიანად აბოლებდა და მეგობრებში ტკბილად მღეროდა: „მომი კოლია, მოვწოთ და გავაბოლოთ“. ვერიკო ანჯაფარიძის გმირი ქალბი უკვე არაფრით ჰგავდა მარგარიტა გოტიეს. მას უყვარდა, სჯეროდა და შექმნილ უსასრულო ლოდინი. უფრო გვიან ამავე თეატრის სცენაზე მ. მრგვლიშვილის „ხარატანთ კერა“ დაიდგა. აქაც ხარატანთ რძლის ნატოს ერთგული, პატიოსანი მოლოდინი შინ-მოუსვლელი ქმრისა, ქართველი ქალის უზადო კეთილშობილება ჩანდა. მ. მრგვლიშვილის ნატო სადაც ენათესავებოდა კ. სიმონოვის გმირ ქალს, თუმიც ეს სხვა და სხვა ხასიათის ადამიანთა ცხოვრება იყო. ეს იყო საბჭოთა ადამიანების სულიერი თვისებების ნათესობა. ეჭვიანი, თავმოყვარე მამამთილის რძალთან ურთიერთობა ღრმა, შინაგანი დრამატისმოთ ხასიათდებოდა. იყო აქ მოულოდნელად ამოტივტივებული პატივმოყვარეობაც, გულჩახვეულობაც, ოჯახის ნამუსის შენახვისთვის ზოგჯერ გაუმართლებელი უკმობაც რძალთან. ქალი თავის გზას პოულობდა, შეზღუდული ცხოვრების კარიბჭედან გადიოდა, ადამიანებთან მიჰქონდა პატიოსანი გარჯისა და გამჭრიახობის სილამაზე, ამას თან სდევდა ბევრი უსამართლო კიცხვა უსაფუძვლო გაბოროტებით შეზღუდული, მაგრამ გულთბილი მამამთილისა... და ბოლოს ბრუნდებოდა თვალში სინათლენარჩენილი ჯარისკაცი. ამ როლსაც გ. შავგულიძე თამაშობდა; ფინალში რამდენიმე წუთით შემოდგოდა სცენაზე და მის გამოხედვაში ომის ტრაგიკული შედეგი ისახებოდა. იდგა ბრმა ჯარისკაცი და მის გარშემო სინათლედ ენო

შალვა დადიანი



პოლოცკარე კაცაბაძე



უზადო მეუღლის გაუმზარავი სიყვარული და თანასოფლეთ. სიკეთე. რა დასამალოა, ბევრი ნაკლი ჰქონდა პიესასაც, საქმე-ტაკოსაც. ახლა ამას არ გამოეფადებები. იმ წლებში ჩვენ იქ-ნებ ვერც მოვიტოვოდით იდეალურად სრულყოფილ ხელყო-ნებას. ჩვენ გავინდოდა მხატვრული სიმართლე და თუ ეს იყო ადამიანთა ბედში, იოლად მიუვტყებდით სხვა ცოდვებს რეჟისორსაც, მხატვარსაც, თვით იმ პიესის ავტორ-საც.

უფრო გვიან იმავე მარჯანიშვილის თეატრში ჩვენ ვნა-ხეთ ვიქტორ გაბისკირიას „უფსკრულთან“. ეს იყო სვედლანი, უსიხარულო მოთხრობა უბედურად ადამიანებზე. აქაც მოქმედე-ბის ცენტრში წაადრევედ დამკრეპებელი ახალგაზრდა ქარ-თველი ქალის ბედი იდგა. ცხოვრებაში დაბნეული ახალგაზრ-და ქალი მოჩვენებითი რანდობით იხიბლებოდა, ქმრის ოჯახ-სა და პატარა ბავშვს მოხუცის ანაბარა ტოვებდა, ჯერ კიდევ გარკვეულად გაუცნობელ, საეჭვო საქმიანობის მამაკაცს თბილის-ში ცოლად მიყვებოდა. მერე იწყებოდა ამოზარდული ადამიან-ების ქალი ფიჭვი, აზარტული თამაში, იქმნებოდა ჭაობი, რი-მელშიც პატარასანი ქალი დღეს თუ ხელა ჩაიხრჩობოდა. ამა-სობაში კვდებოდა უდედოდ დარჩენილი ბავშვი, დარბაზში ტროადენ მყურებლები, თავდასულ ადამიანთა ბული საქ-მეები გრძიდებოდა. გონებაბრუნული, შურაბაცყოფილი ქალი ფანჯარასთან მიდიდა გადასადრანდა და უცებ პაერში ატყორცნიდა მამულების თვალის მომჭრელი სიკაშავე აჩე-რებდა. ტანისკეტების დღეს აღნიშნავდნენ. იმ ჩირადნებში დაღუპული ვაჟკაცი ცოცხლებოდა და თვითმკვლელობამდე მისულ ქალს ცხოვრების დიდ გზაზე მიუთითებდა. ბუფს კა-მათობდნენ ამ პიესის გარემოში მყურებლები, ლიტერატო-რებიც, თვით მსახიობებიც. უსაკვედრებდნენ ავტორის ზედ-მეტად მუქ ფერებს, თავდასული აკაკიების თითქმის ნატურა-ლისტურად დაწერილ სახეებს, მიველ: დრამის მეტად პესი-მიისტურ ინტონაციას. ამ საყვედურებშიც იყო ნაწილი სიმარ-თლისა. საქმეტიკლიან მოგვეყვებოდა რაღაც გაურკვეველი, მძიმე სვედა, შვერძნება იმისა, რომ გაიძვერა პირთვებები დაუსჯელი დარჩნენ. ზნეობრივად მაღალი, მართალი ადამი-ანები კი მოკვებულნი არიან უნარს იბრძობდნენ თავიანთი სი-მართლის, თავმდაბარების, სიყვარულისა და სილამაზის სა-კეთილდღეოდ. სადაც აქ თავს იჩენდა სინამდვილის მეტად თავისებური, გამუქებული აღქმა. მაგრამ აქვე იყო ცხოვრების დიდი დრამატუზმით ადამიანთა ბუფის გამსჭვლეტის ტუნდენ-ციებიც, შეღამაზების, ზედაპირულობის საპირისპიროდ სუ-ლიერი ცხოვრების სიღრმეებში წაყვლის ტუნდენციები. და თუ „უფსკრულთან“ მინც ვერ ამაღლდა დიდ ხელოვნებდა“ მ-დე, არა იმიტომ, რომ ავტორი „ლირიკულად აზროვნებდა“ დრამაში ან ფსიქოლოგიური დეტალიზაციის გზით მიდიდა, არამედ იმიტომ, რომ მის მიერ დაბატული დრამა ადამიანე-ბისა უფრო მელოდრამისკენ იხრებოდა, ვიდრე სოციალურად განზოგადოებელი სასიათების შევასებისაკენ. მთელ ნაწარმო-ებს აუღდა პოეზია ტრაგეზობისა, აკლდა ის, რაც დიდი საქ-მეებისთვის დაბატული ადამიანის თქმას უნდა მოქყოლოდა ნაწარმოების ერთთან ინტონაციას. წვერიდებდა ნაძირაღე-ბის შემწანური ბუნება ვერ იქცა ძლიერი აღმშოთების წარ-მომხმე ბოროტობა. რაც შეეძლო მთავარი გმირის სახეს, სენტიმენტულობის ელფერი დაქარავედა და თანაბრის ძალით აღძრავდა აღმშოთებასა თუ თანაგრძობას მყურებელში. ასე იყო თუ ისე, სცნაზე მოვიდნენ თანამედროვე ადამიანები. მა-თი ბედი დადგა ყურადღების ცენტრში. მწერლობის ობიექტად



სანდრო შამშიაშვილი

იქცა ომის შემდგომი ვითარება, მანამდე უცნობი კონფლიქ-ტები და სიტუაციები.

ვ. გაბისკირიას ეს პიესა წმინდა მხატვრული თვისებო-თაც არანაკლებ სანიტურესო იყო. ჭარბად პათეტიკური თუ უბრალოდ მაღალფარდოვანი პიესების გვერდით იქმნებოდა თავისებური დეტალიზირებული სურათი ცხოვრებისა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნივთები, ნიუანსები შეუმწვევლად, ჩე-ზოვისებური ლირიზმით თანდათანობით აყალიბებდა სასია-თებს. პატარაში დიდის დანახვის პრინციპი ცვლიდა მეტნაკ-ლებდა მეგრისა, ხელოვნურად გაბერილ მასშტაბურსა, სცნაზე შემოქონდა „ყოფაცხოვრებითი რეალიზმი“.

რაც დრო გადიოდა, ჩვენ უფრო ღრმად ვუკვირდებოდით ომის ფსიქოლოგიას, უფრო დამაჯერებლად ვეწრდით ადამი-ანებზეც, დიდ ამბებზე, დიდ დრამაზე. ამით სრულიადაც არ მიინდა დადგვიტოვოთ თვით ომის წლებში შექმნილი პიესები, რომელთაც დოკუმენტური სიწრფელე ახასიათებდათ და დენ-თის სუნი შემოაქონდათ სცნაზე. არ მინდა ეს ვინმემ გაი-გოს საკმაოდ მოძველებულ „დისტაციის“ თეორიად, თუმც ერთი რამ ეჭვარებოდა: ბევრი რამ ჩვენ ამჟამად უკეთ დავიზა-ხეთ ხუთმეტი წლის იქით დამთავრებული ისტორიული ომის ატიმისფერობა. დავინახეთ არა იმიტომ, რომ წარსულს ჭვრე-ტით ვერთობით, არამედ იმის გამო, რომ მსოფლიოში შექ-მნილი დაძაბული ატიმისფერი, ატიმის ბომბის არსებობა და მომავალი საშინელი ომის შესაძლებლობა ხელახლა გვატკი-ვებთ ძველ ჭრილობებს. ასეთ ვითარებაში არავის გაუკვირდება ნაზიმ ჰიქმეთის დრამა „დამოკლები მახვალე“ ან პოლონელი კინორეჟისორის კავალეროვიჩის უსასტიკესი გულახდილობით გადაღებული ფილმი „არხი“ და „ეს არ უნდა განმეორდეს“. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ომით ტრავმირებული ადამ-იანების ისეთ ჭრილობებს ეხება, რომელიც სადაც ცილდებ-და კიდევ ხელოვნების ფარგლებს და ავადმყოფური ფსიქო-ლოგიის შემზარუნე სფეროში თავსდება. აღმათ არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ომის თემაზე შეიქმნა საბჭოთა კი-ნემატოგრაფიის ორი ბრწყინვალე ნაწარმოები უკანასკნელ წლებში: „მიფრინავე წვერობი“. მ. კალაღოზიწერიასა და „მალადა ჯარისკაცზე“ ვ. ჩუხრაძის. ორივე ამ ნაწარმოების დრამატურგიაში რამდენიმე თითქმის ტრაგიკული შინაარსი უაღრესად ლამაზი და მართალი სიყვარულის დაღუპვისა. მაგრამ ეს არ იწვევს სიკვდილის „ფიზიკურ გრძნობას“, ამ-



სცენა სპექტაკლიდან „ოტელო“
 „ოტელო — ა. ზორაძე, ელო — ა. ვასაძე

ბების სიმართლეში ჭარბად არ იჭრება „კლინიკური სული“ და დაღუპული ადამიანების სახეები ამალღებული პოეტურ-ფილოსოფიის შარავანდელით იმოსება. ბევრ ჩვენ დრამატურებს აკლია ეს პოეტურობა, განუყოფადების შემცველი „მეექვსე გრინობა“, რის გამოც მართოდ ნაწილად დალაგებული, ფაქტურულად ზუსტი ემპირიული მასალა ვერ სცილდება ამის თხრობის ჩარჩოებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორ ფილმშიც სხვადასხვაგვარადაა გალაყვეტილი ერთგულების, მოვალეობის თემა. ეს თემა ისევე ძველია, როგორც თვითონ სტოიკეობა. თუნდაც შორეული „ოდისეა“ გავისხენით, ოცი წლით გზაზე დავგვიანებული ტრაადის გმირის მშვენიერი მეუღლის მაგალითი მოვიგონოთ, დღისით რომ ქსოვდა და ღამით არღვევდა მოქსოვილს, აბეზარ სასიძოებს ამით თავიდან იშორებდა. დიდი სიყვარულის ერთგულების აზრი უცვლელია, მაგრამ მასი განსახიერების ფორმები და საშუალებანი მუდამ სხვანაირია. „ბალადაში“ არის ქალი, რომელიც უდრტენველად მიიღებს გატანჯულ ცალფეხა მეუღლეს, ეჭვებით, მერყეობით გულგამორღნილ ნათარ ვეკაცს. და არის მეორე ქალი, რომელიც ვიღაც მამაკაცთან არჩენილ ცხოვრობს მამის, როდესაც ქმარი სიკვდილთან პირისპირაც არ იფიწყებს მას და ფრონტიდან ორ ნაჭერ საპონს უგზავნის. „წერებშიც“ იგივე ერთგულების თემაა, მაღალი სიყვარულის უკვდავების პოეზია უმძაფრეს დრამატურგიაშია გამოვლინებული, შეცდომების, წინააღმდეგობების ქარცეცხლში გაივლის. ამ ფილმების პუმანისტური ფილოსოფია შეიძლება ასე გამოიხატოს: მკვდრები განაგრძობენ ცხოვრებას. და ეს მისტიციზმი კი არა, საბჭოთა ადამიანების ნათელი რწმენაა, რომელშიც არის დიდი სიმართლეც და პოეზიაც. მე ვლავარაკობ ამ ფილმების დრამატურგიაზე, მათს ოპტიმისტურ ტრაგეკულიობაზე. ბევრი რამ, რაზეც ჩვენ ამჟამად თამაზად, დაუფარავად ვწერთ, ომის წლებში, იქნებ, არც იყო საჭირო, ან უფრო სწორედ, მამის არ გვექონდა ამის მორალური უფლება. არის პერიოდები ცხოვრებაში, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტებს სრულიად საწინააღმდეგო ვლერადობა აქვთ. ვლავარაკობ ამ ორი ფილმის დრამატურგიაზე იმიტომ, რომ მასში ვხედავ ცხოვრების სიმართლეთ და ამავე დროს შეუფერავი პოეტურობით წარმო-

იოსებ გედევანიშვილი



გერცელ ბაზოვი



ნიკო შიუკაშვილი



სახვის სანუკუარ ტენდენციებს. ნამდვილ ხელოვნებას კი ყოველთვის ქმნიდა პოეტური სიმაართლე და მართალი პოეზია.

ომის თემამ დიდხანს გასძლო ჩვენს დრამატურგიაში, მაგრამ მშვიდობიანი ვითარების ამსახველ ნაწარმოებებში მოსაწყენმა სიმატრივემ, ერთფეროვნებამ დაისადგურა. შეიქმნა მოსაზრება, თითქოს ომის თემა უფრო იძლევა მძაფრი კონფლიქტების, „სულისა და გულის ძვის“ გამოხატვისთვის მასალას, ვიდრე მშვიდობიანი ყოფა. გაჩნდა „უკონფლიქტობის თეორია“; პიესიდან პიესაში მოგზაურობდნენ ერთფეროვანი სახეები, მემჩანნი ქალები, ლიბერალი ქმრები, რომლებსაც ბოლოს და ბოლოს საერთო კრებაზე ან რაიკომის ბიუროს სხდომაზე თანამდებობიდან ანთავისუფლებდნენ, თავკერძა თავმჯდომარეები, რომელთაც ომიდან დაბრუნებული პრინციპული და შუუპოვარი ჯარისკაცები ცვლიდნენ და კოლმეურნეობის საქმეს ასწორებდნენ. „უმნიშვნელო გაუგებრობანი“ ადვილად იხსნებოდა, დამდურებული შეყვარებულები ერთმანეთს ურიგდებოდნენ და ქორწილი ჩვეულებრივ დასასრულს წარმოადგენდა. ლ. ტოლსტოის გონებაშიც იგივე იყო. აქვს ნათქვამი: რომანის ქორწილით დამთავრება იმ.სა ჰგავს, ამბის თხრობა შეწყვეტო მაშინ, როდესაც მგზავრებს ბანდითები თავს დაესხმინაო. კომედიებში „ბედნიერი ფინალი“ კანონზომიერი რამ არის, დრამაში კი რა მოგახსენოთ. ჩვენში გაჩნდა რაღაც „შუაღედი“ დრამასა და კომედიას შორის. ამ უჩვეულო „ნაწარმს“ პიესას ეძახიან. დრამატურგიის ელემენტალურ კანონებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამაიარ პიესებში მაყურებელს თვალში ნაცარს აყრიან, მეტად უგებურად შეზავებული მოტკბო სასმელით უმასპინძლებიან. ამიტომაც ბოლო წლებში კანონზომიერად წამოიჭრა ახალი მხატვრული ფორმების მოთხოვნა. იყო „თეატრალური მოწყენილობის“ დღეები და ჩვენ უნებურად გავიხსენებ ჩებოვის გმირის ტრეპლევის („თოლია“) სიტყვები:

«Когда поднимается занавес и при вечернем освещении в комнате с тремя стенами, эти великие таланты, жрецы святого искусства изображают, как люди едят, пьют, любят, ходят, носят свои пиджаки, когда из пошлых картин и фраз стараются выудить мораль — мораль маленькую, удобопонятную, полезную в домашнем обиходе; когда в



სცენა სპექტაკლიდან „იულიუს კეისარი და კლოპატრა“
კლოპატრა — მ. ჯაფარიძე, კეისარი — ვ. გომიშვილი

მარიკა ბარბაქაძე



ანა ალაძე



ნინო ნაკაშიძე





ილი მთსაშვილი

სცენა სპექტაკლიდან „ურჩელ აოსტა“
 ივლითი — ვ. ახჯაფარაძე, ურჩელი — კ. კობახიძე



თსაყი ვარიანი მნე პოდნოსი ვსე ოდნო ი თოჯე
 თო ი ბეგუ ი ბეგუ, კაკ მოპასან ბეკალ ოთ ზიფიბი
 ვოი ბაში, კოტორი დავილა ომუ მოგ ვსოეი პოშ-
 სოსტო... ნუჟნი ნოვოე ფორმი. ნოვოე ფორმი ნუჟ-
 ნი, ა ოსი იხ ნე, თო ლუჩსე ნიკოე ნე ნუჟნი».

მოწყენილი გავყურებდით დაცარიელებულ თეატრის
 დარბაზს. სამი საათის განმავლობაში უფერულად მოთხრო-
 ბილ ამბებს ვისმენდით, შინ უკანაყოფილონი ვბრუნდებოდით.
 გვესმოდა სამართლიანი საყვედურები დრამატურგებზე მწე-
 რალთა კავშირის კრებებსა და თეატრების ფოიეებში. ძნელია,
 ძალიან ძნელი თეატრზე ერთხელ გულაყრილი მაყურებლის
 მიბრუნება. ზოგი ამას იმით სწიდა, რომ ომის თემის შემე-
 დეგ ძნელი გახდა ცხოვრებაში მძაფერი კონფლიქტების პოვნა.
 მთორენი ასახელებდნენ კინოფილმების კონკურენციას. უფრო
 გვიან დაიწყო ტელევიდაციების მომზადებაც. გადაჭრით
 ვერ ვიტყვი, რამდენად ზუსტია ამნაირი „თეორიული“ მო-
 საზრებები. მიუხედავად იმისა, რომ კინო უაღრესად თანამედ-
 როვე ხელოვნებაა, არა მგონია, ოდესმე მან შესცავლოს
 თეატრი. დრამატურგიულ ხელოვნებას თავისი მკაცრად შეუ-
 ვალი თვითმყოფადობა გააჩნია. რეალური ხილვა ადამიანე-
 ბისა, დიდი სულიერი ძვრის განსახიერება, ყოველთვის მიი-
 ზიდავს ცნობის წადილით გამსჭვალულ ადამიანს, რა საკაცსაც
 არ უნდა იყოს იგი. ბოლოს და ბოლოს, უკანასკნელ ორ წე-
 ლიწადში დადგმულმა სპექტაკლებმა ბევრი რამ გააპარწყულეს
 ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან. არც იტალიური და ფრან-
 გული ფილმების პოპულარობას, არც საერთოდ ნეორეალის-
 ტური ხელოვნების გაგრძელებას ხელი არ შეუშლია თეატრე-
 ბისათვის, როდესაც დაიდგა „ოდიპოსი მეფე“, „როცა ასეთი
 სიყვარულია“, „ხეები ზეზუურად კვდებიან“ და „ბასტრიო-
 ნი“. თეორეტიკოსები აქაც შეგვესიტყვებინან: სამივე ეგ ნაწარ-
 მები უცხოურია, დიდი ოსტატების მიერ დაწერილი ხოლო
 მეთხე („ბასტრიონი“), მართლაც ნიჭიერმა თანამედროვე
 პოეტმა შექმნა ვაჟა-ფშაველას გენიალური ქმნილების მო-
 ტივებზე. მართალია! აქ ძნელია შევეკამათო იმ სკეპტიკოსებს,
 რომლებსაც, სამწუხაროდ აქვთ საბაბი ცერად უყურონ თანა-
 მედროვე დრამატურგიას. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ
 თეატრში კვლავ მოვიდა მაყურებელი, საერთოდ მიძინებული
 მაკრისცემა თეატრალური ხელოვნებისა საკრძობოდ მოლო-
 ნიერდა, ქართულმა საბჭოთა თეატრმა საუკეთესო წლების
 სახელი და დიდება დაიბრუნა. ამას მარტო სოფოკლეს გენიას,
 კოპოტის ან ალექსანდრო კასონას ტალანტს ვერ მივაწერთ.
 ჩვენმა თეატრმა აღადგინა რეჟისორისა თუ მსახიობების ოს-
 ტატობის ის მაღალი კულტურა, რომელიც ამ სამი ათეული
 წლის წინათ გ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის თაოსნო-
 ბით შემუშავდა. თეატრში კვლავ წამოიჭრა თანამედროვე რე-
 ჟისურის, მსოფლმხედველობრივი და სტილიური მთლიანო-
 ბის, პროფესიული დონის ამაღლების პრობლემები. გაგრძელ-
 და ის საინტერესო ძიებები ახალი გამომსახველობითი ხერ-
 ხებისა, ფორმებისა, რაც შეწყდა „ხანმოკლე დეპრესიის“ პე-
 რიოდში. მაგრამ დრამატურგია, თანამედროვე დრამ ტურგია
 სადღა? დავისუამენ კანონიერ კითხვას და პასუხის გასა-
 ცემად უნებურად ჩავფიქრდებით.

ცნობილია: ვერც ერთი ეროვნული თეატრი ვერ განვი-
 თარღბა მხოლოდ ნაციონალურ დრამატურგიაზე დაყრდნო-
 ბით. ჩვენს დრამატურგიას დაბადებისთანავე დაჰყვა უცხო-
 ური ზედაგავლენები. გ. ერისთავის პიესებში ბევრი რამ იყო
 „გადმოღებული“, გადმოკეთებული, ნასესხები. სხვაანირად
 წარმოუდგენელი იქნებოდა ყამირ ნიადაგზე ეროვნული თე-

ატრის აღმოცენება. საჭირო იყო ევროპული თეატრალური კულტურის დონეზე ასევე, ეროვნული პრობლემატიკის დაწყვილება საერთო საკაცობრიო იდეალებთან, ტკივილებთან. ამიტომაც ასე ორგანულად შეეგუა მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მკაცრებელს „ფლანდრია“ და „ინტიმანოსი“. შექსპირისა და მოლიერის ქმნილებები, ოსტროვსკის, ტოლსტოის, ჩეხოვის დრამატურგია. პარალელურად ამისა ვითარდებოდა, ღრმავდებოდა თვითმყოფადი ეროვნული დრამატურგია. სცენაზე შემოიჭრა ალექსანდრე ყაზბეგის ქარიშხლიანი სული; გაჟა-ფშაველას „მოკვეთილმა“ გააღვიძა მისი დიდებული ქმნილებების გასცენიურების სურვილი. თეატრს მიტმასნილი „დრამისმკეთებლების“ გვერდით გაჩნდნენ საინტერესო დრამატურგებიც: ბევერი სიახლე თან მოიყოლია შალვა დადიანის პიესებმა. სულ ბოლოს ქართველმა დრამატურგიამ ჰპოვა თავისი ტუმარითი სიმალე ბოლიკარზე კაკაბაძის კომედიებში, ს. შანშიაშვილის დრამებში.


ბევერი ქართველი საბჭოთა მწერალი დაადგა კლასიკოსთა ქმნილებების დადგეთება-გასცენიურების გზას. სამწუხაროდ ამან მიიღო ფართო ხასიათი, დაჩრდილა ორიგინალური დრამატურგიის შექმნა-განვითარების პროცესი, სადაც შეანელა კიდევ ძიებები ამ გზით. არაფერი ისე მომაკვინებელი არ არის ხელოვნებისათვის, როგორც შეგუება იმ აზრისა, თითქოს ჩვენს დროში ძნელი იყოს დრამატურგიაში ახალი სიმძლევების მიღწევა. დიდი ნაწარმოები მუდამ იქმნება თანამედროვეობის შთაგონებით, იმის შეგნებით, რომ შენი დრო, შენი ცხოვრება აღსავსეა ისეთი ამბებით, რომლებიც განუმეორებელია ისტორიაში. ეს ინტერესი, ჩადრმავება დღევანდელ მოვლენებში იძლევა განუსაზღვრელად დიდ მასალას თანამედროვე მწერლისათვის. მაშ რაშია საქმე? სად არიან დიდი დრამატურგები? თვითონ იგივე ბოლიკარზე კაკაბაძე „ყვარყვარეს“, „დავით მერვეს“ და „კოლმეურნის ქორწინების“ ავტორი რატომ აღარ წერს დღეს ახალ, დიდ პიესებს? რუსთაველის თეატრი ხომ არ დაუბრუნდებოდა ისევე „ყვარყვარეს“, ახალი, უფრო საინტერესო პიესა რომ ჰქონოდა, თუ გნებავთ, იმავე ავტორისა? არც მარჯანიშვილის თეატრი შეწყვეტდა „კოლმეურნის ქორწინების“ სპექტაკლებს, ტრაგიკულად რომ არ დაღუპულიყო უნიჭიერესი გიორგი შავგულძე. უკანასკნელ ათწლეულში ძნელად



სცენა სპექტაკლად „ციცია ადამიანი“
ლუარსაბი — ვ. გომიაშვილი, დარეჯანი — გ. ლევაია

იპოვება პიესა, რომელსაც სცენაზე ასეთი ხანგრძლივი ცხოვრება ეწეროს. არის ლაპარაკი იმაზე, რომ თეატრები მიდიან დათმობაზე. სადღესით თემაზე დაწერილ ნაწარმოებს „დაბალ კრიტერიუმს“ უყენებენ, რათა ამ გზით, თანდათანობით გამოაცხადონ დრამატურგიული აზროვნება, წაახალისონ თეატრით დაინტერესებული მწერლები. თუ ასეთი რამ, მართლაც, ხდება ჩვენში, ამას სასიკეთო პირი არ უჩანს. უნიჭობა ვერასოდეს ვერ წააქეზებს ნიჭიერებას. ამ გზით ნამდვილ დრამატურგიას ბიძგს ვერავინ მისცემს. მაშ რა ვქნათ, გვეტყვიან: აღარ დავდგათ თანამედროვე პიესები? უნდა დავდგათ, ოღონდ ყველაფერი გაკავებით მისი სრულყოფისათვის, არ დავუშვათ გარკვეულ დონეზე დაბლა. არის ხელოვნებაში შეუყოვნების, ძიებების პერიოდები. ასეთ შემთხვევაში მთავარია სწორი ალთო, რას დაუჭირო მხარი ამ ძიებებში, რა უკუავდო. ამას კი კ. მარჯანიშვილისნაირი კაცი სჭირდება, სჭირდება პიროვნება, რომელსაც ძალუძს ისეთი რამის პოვნა დრამატურგიულ ნაწარმოებში, რაც შეიძლება ავტორისთვისაც გაუცნობიერებელი, ინტერტუნად ნაპოვნი იყოს, წინ წამოსწიოს ეს სიახლე, აქციოს თეატრალური ფორმის პირო-

გიტორ გაბასკირია



მიხეილ მრეკლშვილი



ლევან გოლოპა





იონა ჯავახიძე



მიხეილ ჯავახიძე



სერგო კალაშვილი


ბად. გულახდითად რომ ვთქვა, ასეთი რამ ბოლო წლებში იშვიათად თუ რომელიმე რეჟისორს გაეკეთებინოს. მაშ დავდგეთ და ვუცადოთ მეორე მარჯანიშვილის დაბადებას? ისევ შეგვეკითხებიან ნიშნის მოგებით. კი არ ვუცადოთ, მისი ტრადიციები დრამატურგებთან მეგობრობისა, წმინდა შემოქმედებითი ურთიერთობისა, გადამღები ენტუსიაზში გავაგრძელოთ, გავაღრმავოთ. მე ვერ დავიჯერებ, რომ ქართული მწერლობის დღევანდელ დონეზე ჩვენში არ გაიზარდინ საუკეთესო ტალანტები დრამატული ხელოვნებისა. თეატრებში გამეფებული კონსერვატიზმი, ყველაფერი უცხოურით ბრმა აღტაცება და საკუთარი მწერლობისადმი უსაფუძვლო ნიჭილიზმი ანულებს შემოქმედებით შთაგონებას დრამატურგებში. არ ვიტყვი, თითქოს მარტო მარჯანიშვილს მიეწერებოდეს დრამატურგთა და უნიჭიერეს მსახიობთა მთელი თაობის მოსვლა ოცდაათიანი წლების ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. ეს ასალი საბჭოთა თეატრის შექმნის საერთო პროცესი იყო; ამ პროცესს დრმა სულიერი საფუძვლები ჰქონდა. დრომ მოითხოვა და წარმოშვა კიდევ მეიერხოლდიც, მარჯანიშვი-

ლიც, ბევრი სხვაც. მერე თვითონ ეს ადამიანები იქცნენ ხელოვნებაში შეუპოვარი ძიების, ახალი ფორმების შექმნა-მიიღების სიმბოლოებად. ცხოვრება ახლაც ზრდის ჯერ „უჩინარ ტალანტებს“. ისინი თეატრის ქანდარავ იწყებენ თავის პირველ ოცნებებს დრამატურგიაზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე, პოეზიაზე. ზოგჯერ უკმაყოფილოდ შეჰყურებენ სცენას, მხატვრის ტილოს, ცხარედ კამათობენ ახალ პიესაზე, ბევრი რამ არ მოსწონთ. იქნებ, ზოგ რამეში ცდებიან კიდევ, მაგრამ მათ სწორი ალღო და უფრო მაღლა ასვლის დაუოკებელი ენერჯია აქვთ. ისინი მოდიან ცხოვრებაში და კანონიერ ადგილს იკავებენ დრამატურგის მაგიდასთან, დირიჟორის პულტთან, მხატვრის მოლობერთან. ვერ იტანენ პრიმიტივიზმს, შაბლონს, მახვილი თვალთ ანალიზს უეფთებენ ყოველივე ახალსაც, ნთქავენ ყველაფერს, რასაც ნიჭიერების მაღლი სცხია. ასე იზრდება ჩვენი დრამატურგის მომავალი. მათ იქნებ არც უნახავთ კ. მარჯანიშვილის დადგმები. მე პირადად მხოლოდ „ურთილ აკოსტას“ ნახვა მხვდა წილად, ისიც გენიალური უშანიც ჩხეიძის გარეშე. სამაგიეროდ, ბევრ ახლან-

გრიგოლ ბერაქნიშვილი

გიორგი ნახტყიშვილი

გიორგი შატბერაშვილი



დელ ძიებებს თეატრალურ ხელოვნებაში თვალყურს ადევნებენ. მსჯელობენ ბრეტისა და არტურ მილერის დრამატურგიაზე, უყურებენ სცენაზე „კომიოვიაკერის სიკვდილს“, „დედა კურაჟს“, „ხედს ხიდიდან“, „ირკუტსკში მომხდარ ამბავს“, „როცა ასეთი სიყვარულია“, და არა მარტო ადამიანთა ბედი, ხასიათების, სიტუაციების ფსიქოლოგიური სიღრმე და სიმართლე, მათ ღრმად აფიქრებთ ის ფორმები, რომლებსა უპირველესი თვისება შაბლონის საფუძველია. ნამდვილად ნიჭიერი კაცი თანამედროვე დრამატურგიის ამ მიწებებს მეტანიჭურად კი არ გადმოიტანს, არამედ წინაგანად გადასარჩევს, თავისი სულის განუყოფელ ნაწილად აქცევს. ამ პიესებში მე პირადად ვხედავ მრავალ საერთო თვისებას, უპირველეს ყოვლისა კი, ინტელექტუალურ კულტურას, ცხოვრებაში ჩაღრმავების, მისი ყოველმხრივი მხატვრული ანალიზის მიდრეკილებებს. თანამედროვეობაზე დაწერილი პიესების დიდი ნაწილი ჩვენში ინტელექტუალური მუხლდუღილობით, პრიმიტიული აზროვნებით ხასიათდება. დაიკარგა დიდი აზრის დრამატურგია, იგი შეცვალა მოჩვენებითი აქტუალობის, სქემატურობის თანდაყოლილი მანკიერებით დაღდასმულმა პიესებმა.

ამ ორიოდე წლის წინათ რუსთაველის თეატრში იდგებოდა გ. ბერძენიშვილის „ლერწაში ქარში“, მან გარკვეული ინტერესი აღძრა ჩვენს მაყურებელში; მერე „მნათობიც“ დაიბეჭდა. აქ არაფერს ვიტყვით დადგმაზე, საერთოდ სპექტაკლის ღირსებებზე. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ წარმოდგენის მდორე რიტმი, „ნატურალისტურად“ გადაწყვეტილი დეკორაცია (თუ არ ვცდები, სცენაზე ნამდვილი ლერწმის ტოტემი შემოქანაბდა) უემურ შთაბეჭდილებას ახდენდა. მთლიანობაში წარმოდგენა მაინც ემოციური იყო. ემოციურობის მიღწევა კი არც თუ ისე იოლი რამ არის ხელოვნებაში. ოდინდ ამით როდი თავდება ყველაფერი. დრამატურგმა შესძლო საში ახალგაზრდა ადამიანის „სიყვარულის სამკუთხედში“ ბეჭერი რამ ახალი, დღევანდლობიდან წამოსული შეეჭანა, მძაფრი ატმოსფერო შეეჭმნა და თავისი გმირების ბედით ინტერესი აღგრა. აქ იყო სიმბოლიკის ცდებიც, ბრძენი ბაბუის ხასიათში შემონახული ტრადიციული მორალის დაპირისპირება თავაშეხებული, განეზივრებული ეგოისტი ახალგაზრდა კაცის დაუფიქრებელ საქციელთან. უფრო მეტიც: დრამატულ ატმოსფეროს ქმნიდა მერყევი ქალიშვილის ხასიათი, მისი ხანმოკლე გაორება. „ლერწამივით ქანაობა“ ხან იქით, ხან აქეთ. ბოლოს და ბოლოს „ქარი ჩაღვა“, ყველაფერი კეთილად დამთავრდა და დრამატული დამაბულობა სიყვარულის იდილიაში გადავიდა. ასეთ დასასრულზე ამჯერად არაფერს ვიტყვი გარდა იმისა, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს თანამედროვე ადამიანებზე დაწერილი დრამა უსათუოდ კეთილად უნდა ბოლოვდებოდეს. ასეთი „კეთილი ფინალი“ სწორად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს დასაწყისში ავტორი თოფის დაქუჩებისათვის გამზადებს, დასასრულს კი ასანის გაკვარავს მხოლოდ და ამით დაამთავრებს. საქმე ისაა, რომ ავტორი მოირიდა სიღრმეში წასვლას, განვეტ გაანალა შექმნილი დაბრკოლება და აღელვებული მკითხველი თუ მაყურებელი „დაამწვია“.

პიესა ტრადიციულად იყო დაწერილი, თხრობით ხასიათს ატარებდა, ლირიული დრამის ფორმაში ექცეოდა. ახალგაზრდა მამიას, შრომისმოყვარე, მეტად სიმპატიურ ახალგაზრდას, რომელიც ფინალში ელექტროსადგურის ჩართვად და ახალი ჩირაღდნის სინათლეზე ბედნიერად იღიმებოდა, რეჟისორი-



კარლო კალაძე

რობის „თანდაყოლილი სენიც“ ქმნიდა. თავგასული, დარღმანიდ ნოღარი ადამიანების მიერ დადგენილ ეთიკურ ნორმებს ერთი ხელის მოსმით უარყოფდა, მისი გაშმაგებული სიყვარული რომანტიკულ თავდავიწყებამდე მიდიოდა. ჯიუტი, თავნება ბიჭი, რომელსაც პირველად უთხრეს ცხოვრებაში უარი თავის სურვილებზე, თვითმკვლელობის განზრახვით დაიჭრებოდა; მაგრამ არ კვდებოდა; დროზე შევლოდა ექიმიც და... ავტორიც. ის, რომ ყველაფერი ეს სოფლის ფონზე ხდებოდა, ვერ გაამართლებს დრამატული სიტუაციების მ რტივად გადაწყვეტის გზას. როგორც კი საქმე მიდგებოდა შექმნილი ვითარების მხატვრულ ახსნაზე, ავტორი ისევ და ისევ მემჩანინი დედის გაგრცელებულ, თითქმის „მზაზრეულ“ სახეს

სცენა სპექტაკლიდან „ოიდიპოს მეფე“





გადააწყდებოდა. იწყებოდა ცოლ-ქმრის კამათი, დედა ლბეგრალი, სუსტი ბუნებისა იყო. მამა კეთილგონიერი, მაგრამ მოუცლელობის თუ სხვა რამ მიხეზით გვიან დანტერექებული შვილის აღზრდაში, და ძა... უმეღერების თავი და თავი: ერთადერთი ვაჟი უსომოდ განაწებირეს მშობლებმა და გულ-ღრმით, თავნება პიროვნებად აღზარდეს. რა ნაცნობი, მე ვიტყვი, საკმაოდ ბანალური ახსნა! როგორი ოსტატობითაც არ უნდა შესრულდეს ასეთი სქემატიურად მოხაზული, საკმაოდ ტრივიალური როლი, მისგან მართალი სცენიური სახე არ შეიქმნება. ნუთუ ყველაფერ ამის მორალი უნდა ყოფილიყო ასეთი „პედაგოგიკური დასკვნა“: დედებო, ნუ განაწებობთ თქვენს ერთადერთ ვაჟს, თორემ ცუდ დღეში ჩაჯარდებით, თუ მას ვინმე შეუყვარდა! ამბავი იყო თანამედროვე ახალგაზრდების სიყვარულზე, რთულსა და მაღალ სიყვარულზე. სამუშაოდ, ახალი „რომიო და ჯულიეტა“ არ გამოვიდა. მეტყვიან, რაღა მახინცა და მაინც შექსპირის უკვდავ ტრაგედიას შეადარეთ თანამედროვე ავტორის ერთი პიესა, სხვა ვერაფერი გამოხანეთო? როდესაც იმავე თეატრში მეორე დამეს შექსპირის „ოტელოს“ უკუერებს იგივე მასურებელი და უნებურად აკეთებს ამნაირ შედარებას, მწარე სინანულით გამოაქებს არც თუ სახარბიელო დასკვნა: ნუთუ ასე მარტივია ჩვენი ცხოვრება?

იქნებ, თვით ავტორსაც ამყვრად ბევრი რამ არ მოსწონდეს ამ პიესაში. მაგრამ მან თავის დროზე რაღაც გამოცოცხლებმა მაინც შემოიტანა ჩვენი თეატრალურ ცხოვრებაში, და თუ დღეს ბევრი რამ არ მოგვწონს, ამის საბაბს წინ გადადგმული ნაბიჯიც იძლევა. მე სრულიადაც არ მინდა ერთმანეთის დაუპირისპირო გ. ბერტინოვილის „ლერწამი ქაიში“ და პავლე კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“. მხოლოდ პარალელურ მინდა გავაგელო და ისიც იმიტომ, რომ ორსავე პიესაში თითქმის ერთი და იგივე პრობლემა წამოჭრილი. კოპოუტის პიესაც დაწერილა სიყვარულზე, დადგენილ სასოფადობრივ მორალთან მართალი, პატისონი ადამიანების შეჯახებაზე, ან, როგორც იტყვიან, მორალურ-ეთიკური ხასიათის კონფლიქტზე. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პიესამ ჩვენი ქვეყნის მრავალი სცენა მოიარა. ვიხილეთ ეკრანზეც. ზოგს გონია, თითქოს, ამ პიესის ღირსებას წმინდა ფორმისული თვისებები


განასაზღვრავდეს. უმთავრესად მიუთითებენ ზოგიერთ დეტალურ სვლაზე, მანტიანი კაცის, როგორც „გამისტიურებლურ სინდისის სიმბოლოზე და ზოგიერთ თეატრალურ პირობითობაზე. კოპოუტის პიესის არქიტექტონიკა, მისი სიუჟეტური აღნაგობა და საერთოდ ავტორის დამოკიდებულება დრამატურგიულ ფორმასთან უთუოდ ამყვანებს ავტორის მისწრაფებას—იყოს ორიგინალური. „...ჩვენ უარს ვამბობთ ისეთ არასაკუირო შაბლონზე და დეტალზე, როგორიც არის დეკორაციები, სპექტაკლის დადგმა. უფვეცდებით მასურებლის თვალწინ გავამიშვლოთ და ერთმანეთს დაუპირისპიროთ რადენიმე ადამიანის ბედი. ამით მივიპყრათ მასურებლის გულისყური. მათი გამოცდილება და გრძნობები არა ორასროფანად, არამედ აქტიურად, რათა ბოლოს და ბოლოს მათ დანახონ პიესაში თავიანთი თავი“. ეს პრინციპი ავტორის სურს გაამართლოს ადამიანების იმ ბუნებრივი ინტერესით, რომელიც გამოიხატება თეატრში არა მხოლოდ გასართობად სიარულში, არამედ „სხვათა სულში ჩახედვისა და ყველაზე იღვწალი ზრახვების ამოცნობის ბუნებრივი სურვილით“. ამნაირი დასაწყისი უკვე ამზადებს მკითხველს რაღაც უჩვეულის, მოულოდნელის, ახლის სანახავად. თავიდანვე კონტროლს უწევს მის ყურადღებას, ცოტა არ იყოს პრეტენციოზულად აღიზანებს ცნობის-მოყვარეობას. მაგრამ ეს არ არის ტრადიციებთან ფაშილარული, თავხედური დამოკიდებულება, „სკანდალური ნოვატორობა“. ავტორი თავიდანვე განაწყობს მკითხველს ფსიქოლოგიური ანალიზისაკენ, უკვე მომხდარი დრამის წინასიტუაციებს, ძირების, მიზეზ-შედეგობრივი ხლართების გასასწნელად. თავიდანვე დაშვებულია, ერთი შეხედვით, უცნაური პირობითობა: სინდისის სასმჯაგროზე მანტიანი კაცის წინაშე ტრეგიკულად დაღუპული ლიდა მატისოვას გამოცხადება მისი თანატოლების პეტრი პეტრუსის, მილან სტიბორისა და სხვათა გვერდით. აქ სადღაც შეგნებულად უკუგდებულა დრამატურგიაში საკმაოდ გავრცელებული „სადებუტო ხელოვნება“, ამ უცნაურობას თან ერთვის სხვა ხასიათის პირობითობანიც: ერთი და იგივე სცენა სხვადასხვა ინტონაციით მეორდება (მატისოვას და სტიბორევის შეხვედრა ოჯახში), რომელიც თვითიველი გმირის ნაამბობისა თუ ფიქრის პლასტიკური გამოხატულებაა. და ბოლოს, ასვე პირობითი სცენე-

ვალერიან კანდელაკი

კიტა ბუაიშვილი

რეკავი თაუკუშვილი





ბ. მუქვანდუღია

ზღვაზე

ბი: პეტრი პეტრუსისა და ლიდა მატისოვას დიალოგი მომავალი პაემანის შესახებ, ეს სრულიად ახალი ფორმები ქმნიან დრამის სიუჟეტის აგების მეტად თავისებურ კონსტრუქციას რაც შეეხება დრამის დაწყებას მომხდარი ამბით, გმირების თავგადასავლის „პოლოდან თხრობას“, ეს ძველთა ძველი რამ არის დრამატურგიაში. იგივე სიფოტლეს „ოიდიოს მეფე“ სტრუქტურულად ამავე პრინციპზეა აგებული. აქვს ტრაგედია აქვე მომხდარია ძირითადად და შემდეგ იწყება წინა მიზეზების თანდათანობით, სპირალური ხაზებით გასსან-განვითარება. მილერიც, კოპოუტიც და ბევრი სხვა თანამედროვე პროგრესული მწერალი ხშირად მიმართავენ ანტიკური ტრადიციის ფორმის ზოგიერთ პრინციპს. უფრო მეტიც: „ირ-კუტსკში მომხდარ ამბავში“ არბუზოვის მიერ ქორის შემოყვანა ანტიკური დრამის კონსტრუქციას მოვლავლობს და ეს შევნიშნულად აქვს გაკეთებული ავტორს. რამდენადმე ახალი არ არის ამის მთხრობლის, წამყვანის გამოჩენა თანამედროვე პიესებში. (ალფიერი — „ხედი ხიდიდან“, კაცი მანტიით — „როცა ასეთი სიყვარულია...“). უფრო მეტიც: „კომიოთაგერის სიკვდილიში“ მილერი იყენებს აჩრდილის „გაიოცსლების“ ხერხს თავისი გმირის ფიქრების „გარეთ გამოტანისთვის“. შორს რომ არ წავიდეთ, ეს პამლეტის და მამაშისის აჩრდილის მოდერნიზაციას ჰკავს. ასე რომ, ერთი შეხედებით ამ ახალ ფორმას საკმაოდ სახელმძოხველელი წინაპრები ჰყავს. მამ რაშია ის სიახლე, რომელიც, ამ „გარეგნული ფორმის“ გარდა, არის თუნდაც პიესაში „როცა ასეთი სიყვარულია?“ მე ამახ ვხედავ იმ ფსიქოლოგიზმში, რომელიც მტლანდება ხასიათებისა და ურთიერთობის თითქმის უწყველ, მოულოდნელობით აღსავსე სიტუაციებით გახსნაში. ცხოვრება ხშირად აყენებს ადამიანს რთულ, გამოუვალ მდგომარეობაში. ამაირ მდგომარეობაში ჰქმნიან დრამატურგიულ სიტუაციებს, ხასიათის გახსნის შესაძლებლობებს. რამდენადაც დაძაბული ურთიერთობა, დრმა და მძაფრია კონფლიქტი, იმდენად სრულყოფილია ხასიათების გამოვლენების საშუალებანი.

ოთხი ადამიანის ბედი საბედისწეროდ გადაეჯგუფა ერთმანეთს. ესენი არიან თანამედროვე ინტელიგენტები, ახალგაზრდები; აქეთ ცხოვრებაში საყვარელი საქმე, ოცნებობენ, ფიქრობენ, წინ იხედებიან. და უცებ ცოლიანი პეტრუსი გრძნობს დიდი სიყვარულის მოსვლას. სტიობორთან ხელისმისაწერად

გამზადებული მატისოვაც გრძნობს, რომ მისი სიყვარული პეტრუსია. რა ქნან ამ ადამიანებმა? ანგარიში გაუწიონ, რა რალურ ნორმებს, ვალდებულებას, მოვალეობის კანონებს, თუ დიდი სიყვარულის ძახილს მიჰყვებ? იძაბება მდგომარეობა, უბედურდება ორი შესანიშნავი ადამიანი პეტრუსოვა და სტიობორი, ინგრევა ოჯახი და ახალგაზრდა პატიოსანი კაცის ოცნებები იმსხვრევა. რა დანაშაული მიუძღვეთ ლიდას და პეტრუსს, თუ კი მათ ერთმანეთი სიგიჟემდე უყვართ? ახალგაზრდების ურთიერთობაში ერევა უნივერსიტეტიც, იწყება ნოტაციების კითხვა, მეგობრების შეგონებანი... და სიყვარული მაინც თავისი დაუმორჩილებელი ძალით იზრდება... იზრდება სულიერ კატასტროფამდე. ავტორიც დაუნდობლად, შერბილებლად ხსნის თავისი გმირების შინაგან ტკივილებს, არაფერს აიოლებს, არც აფუჭენებს. ამ ანალიზის დროს იგი მცენიერულად ზუსტია. ფსიქოლოგიზმი აქ პოეტურობას, სიყვარულის პოეზიას არ გამოირიგავს. მთელი დამე, ქუჩებში მერძვის საყვირის გაგონებამდე მოსიარულე დალილი შეყვარებულების სულიერი მდგომარეობა აღსასევა დიდი სიყვარულის პოეზიით. ოღონდ ეს არაა სენტიმენტალურად დამტკბარი, ენამორექცილი ლირიულიობა. არა მარტო დიალოგი, მათი დუმილიც მეტყველია, შინაგანი ხმებით სასეც. და ამავე დროს ეს სიყვარული მოქანცული ადამიანების სულში განადგურების პირზეა მისული. ესაა ნამდვილი დრამა. „შუა საუკუნეებში ხომ არ ცვხოვრობთ!“ — გაკვივის პეტრუსი და თვითონაც სადღაც შინაგანად არ სჯერა, რომ საოცარი ჯაჭვის გაწყვეტა იოლია, უბრალოდ სასამართლოში განქორწინებაზე შეტანილი განცხადებით დასრულდება. ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლემის“ გმირი ფეოდორ პროტასოვი უნებნად გამოჰჩებებს: „Живут три человека — я, он и она. Между ними сложные отношения, борьба добра со злом, такая духовная борьба, о которой вы понятия не имеете. Борьба эта кончается известным положением, которое все развязывает“. ამაირი რთული სულიერი ბრძოლის ჩვენებით ტოლსტოის სურდა დახასხებული მორალური ნორმების კრიტიკა მოეცა და ახალი, ჰუმანისტური მორალი ექადაგა. როდესაც ადამიანთა სულის იდეალ ხეველებში შეჭრას ასეთი ამოცანა განსაზღვრავს, ნათელ ხდება მომავლის შუქით განაიბებული გულისა და გონე-

გენო ქვლაბაიანი

ლევან ჭუმბარი

ოთარ ჩიჯავაძე





შავნაგი ჩხეიძე
ჰატიბატის
როლი



აკაკი ხორაჯანიანი
ანტონის როლი
(„ანტონი“)



აკაკი გვასარიანი
მოლონის
როლი („ყიბა-
ღები“)

ბის დიდებული ვენბათა ღელვანი. ამ ჩარჩმავებით ადამიანის ბუნება უფრო მიმზიდველი, ღამაზე ხდება. ამგვარ შინაგან ბრძოლაში მოწინავე პიროვნების სული მშვენიერდება, მაღლდება და „ადამიანი — ხნამალა ქვლს“ (გორკი). ეს შორსაა ადამიანის სულის დეკადენტური „გამოკვლევისაგან“, რომლის მახვილი მიმართულია თვით ადამიანშივე ავადყოფურის, მანკიერის, დამამკირებელის მიკვლევისაკენ. აშნიარი კვლევა „ადამიანის სულის იდუმალებისა“ ჩვენ არ გამოგვადგება კომუნისტური მორალის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში.

კოპოუტის გმირების დამოკიდებულება ცხოვრებასთან, მათ მიერ მოვლენების ანალიზი და შეფასება ინტელექტუალურია, მაგრამ ამ ინტელექტუალურობაში არ იგრძნობა ემოციების შეწელება, შინაგანი სიმშრალე. დაწყებული ტანსაცმლის ჩაცმიდან გათავებული სიყვარულზე, ქორწინებაზე, ოჯახზე მსჯელობით, კოპოუტის გმირები თავისთავადი არიან; ბრმად არ მიყვებიან მორალურს თუ ესთეტიკურ დოქტრინებს. აშნიარი დამოკიდებულება სინამდვილესთან და არა შემეგებლობა, შემწანური ერთგულება ეთიკური ნორმებისა ხდება მიზეზი დრამისა. ავტორი აშკარად უგულებელყოფს ადამიანთა ბედისადმი ადმინისტრატიულ-დოგმატიურ მიდგომას. იგი მოითხოვს ჰარმონიის დაყარებას ადამიანის ღრმად შინაგან იმპულსებსა და ახალი საზოგადოების მორალურ პრინციპებს შორის. თვითონ ცხოვრებას ჯერ კიდევ თან მოაქვს მრავალი ხიჯი, რაც ადამიანს ხელს უშლის ბედნიერების სრულყოფაში. ამიტომ საჭიროა ძალზე სათუთი, ფრთხილი მიდგომა რთული დამოკიდებულებების გადაკვეთის ხაზებში მოქცეულ ადამიანის სულთან. აქ უბრალო უხეში შეხება მინის ტურქულივით ამსხვრევს პიროვნებას, როგორც ეს მოუვიდა ლიდა მატისოვას.

ავტორი თვითონ არ აყალიბებს საკუთარ მორალურ პრინციპებს. იგი არ მორალისტობს, მხოლოდ ქორწინების, ოჯახის ძველ პრინციპებთან შედარებით გვიჩვენებს ახალი, თავისუფალი სიყვარულის უპირატესობას: თუმცა ეს სიყვარული მარცხს განიცდის, მაგრამ მას პერსპექტივა აქვს მომავალ, უფრო სრულყოფილ საზოგადოებაში. ახალი ცხოვრების წინააღმდეგობებში გამყვანებული მშენებელი ადამიანთა დრამატიზმი აშკარად აღიარებს შემორჩენილი მაშინათვის კრიზისს. მუშანაბა კოპოუტს გაიოლებულ, „უმნიშვნელო ბოროტებად“ არ აქვს წარმოდგენილი. იგი უფორმო, ძნელად დასაძლევია, საუკუნოობით ფსევდობადგმული უხილავი რამ არის და ადამიანების მაღალ გრძნობებში სასიკვდილო შხამის შეტანა შეუძლია. ადამიანის სულის ასეთი ღრმა ანალიზი განსაზღვრავს მთელი დრამის უაღრესად თანამედროვე, ინტელექტუალურ ხასიათს.

ზოგიერთ მომენტში კოპოუტთან, უფრო მეტად მილერთან, თავს იჩენს ნეორეალიზმის ფატალისტური ფილოსოფია. დრამაში „როცა ასეთი სიყვარული“ იგრძნობა სინამდვილის მკაცრი ლოგოკა, რომლის შეცვლა, გარეგნული ზემოქმედებით თითქმის შეუძლებელია. აქ ჩვენ ბევრი რამ სადავო გვაქვს ნაწილობრივ, კოპოუტთან, უფრო მეტად კი — მილერთან. ამ ფილოსოფიის მიხედვით ცხოვრება აღსავსეა ქვეყნობიერი, მიწისქვეშა მდინარეებსავე უხილავი ინსტიტუტებით, ბრმა იმპულსებით, რომელთა განწმენობა შეუძლებელია მეცნიერულად თუ მსატრულად. ბოროტების სათავე თვით ადამიანშია და არა საზოგადოების სოციალურ თავისებურებებში. მილერის „ხედი ხიდიდან“ აშნიარი კონცეპციაცაა აგებული. ადამიანთა ურთიერთობა მორალური ნორმებიდან ამოვარდა,

თითქმის პათოლოგიური დანაშაულებრივი სიყვარული თანდათანობით იზრდება ტრაგიკულ ფინალამდე. გონება აქ უძლურია. ისეთი ტყვეობა კაცის კი, როგორც ბერისტი ალფიერია ან მილერის ღრბაში, ვერაფერს გახვევს იურისტი ბობოქარი სულის დასამშვიდებლად, მოსალოდნელი დრამის თავიდან ასაცილებლად. ასეთ ვითარებაში ძლიერი პიროვნებები იჩენენ მიზნის თუ გრძნობის საოცარ მთლიანობას. ყველაფერს განაპირობებს უზიარებელი ბელისწრა, რომლის შექნაზე-დღთრუნველა ადამიანის უნარს აღემატება. ეს მეტად სადავო ფილოსოფია და ჩვენი საზოგადოების ადამიანისათვის მიუღებელია. მაგრამ აწინაირ მიდევნას აქვს მეორე მხარეც: სინამდვილის დანახვა არა წინასწარ აღებულ სქემის მიხედვით, არამედ მოვლენათა სიღრმეებში ფსიქოლოგიური გაანალიზება და ამ გზით ხასიათების სრულიად ახალ, თანამედროვე ასპექტში გახსნა-გამოხატვა. სწორედ ეს ქმნის ინტელექტუალების, რომელიც უნდა იქცეს ჩვენი დრამატურგიის და არა მარტო დრამატურგიის, ხელგეშენისა და ლიტერატურის სხვა დარგების განვითარების ახალ პირობად. თავის დროზე უაღრესად ინტელექტუალური იყო ჩეხოვის, გორკის დრამები. უფრო აქეთ ბევრი სამჭოთა დრამატურგი გაჰყვა ინტელექტუალური გახსნაგების გზას. ამ გზებით ინტელექტუალურია პ. კაკაბაძის დრამატურგიაც, თუნდაც „ყვარყვარე თუთაბერი“ გავისენით. ხალხური ნაცარქექიას სახის გამოყენებით ავტორი ქმნის უსაქმური, მედროვე, მოჩვენებითი გმირის პოზაში შემოხვევით განდიდებულ ადამიანის ტიპს. ყვარყვარემ იცის ხალხური სიბრძნე, მაგრამ ყოველთვის უკუღმა იყვება მას, ერთდღური ეგვიპტურულ მიზანსწრაფვას უმირჩილებს ყველაფერს: როდესაც ქვეყანაზე ვარდნაა, მაშინ ვირთხები მალად აღვივლებს ეძებნო თავის გადსარჩენად. ფუჟე გმირობა, მაღალფარდოვანი „რევოლუციონრობა“, დროის მოხმარება უკეთ ქვეყნისთვის თავდადების ნიღაბ ქვეშ ზუსტად გამოხატავს უნადრევი მენშევიკების საქართველოში შექმნილ ვითარებას, სწორად იძლევა მისიანეი წინააღმდეგობით დასასვე დროის ფსიქოლოგიურ ანალიზს. მთელი მასალა სიტუაციურ-მოქმედებითი თუ დიალოგ-ფრაგმენტული კომედის ფილოსოფიას ზუსტად შეეფარდება.

პ. კაკაბაძის, როგორც მხატვრის მიდრეკილება მონუმენტურობისკენ, ტიპიზირებისკენ უმთავრესად ეპოქის ღრმა ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური შეცნობის შედეგია. ნაწარმოების ფილოსოფია თავს იჩენს არა მარტო მთავარი გმირის მონოლოგებში, არამედ მთელი კომედიის აღნაგობაში, მოქმედების, სიტუაციების ხასიათში. დაწყებული წისკვილიდან — გათავებული შემინებული, დაბნეული მენშევიკური მთავრობის სასახლეშიც, ყველგან იგრძნობა ძირგამომავლი, დასაღუპად განწირული ძველი ცხოვრება. შემინებულ ლანდებად ქცეული, ქვეყნის ბატონ-პატრონად დროებით ამოტივტივებული მყვირალა, ძალაგამოცლილ მარიონეტების გარშემო იგრძნობა მძლავრი რევოლუციური ატმოსფერო. რკალი თანდათან ვიწროვდება და ყვარყვარეების, ცრუ რევოლუციონერების, მედროვე ხალხის აღსასრული დგება თანდათან. მართალია, ეს ძალა მართლად ჩანს კომედიაში, მაგრამ იგი იგრძნობა მოშლილ სახელმწიფო მექანიზმში, დარღვეულ სამხედრო წესრიგში, შეშინებულ და დამფრთხალი ადამიანების „უცარი გარდაქმნაში“, ახალი ძალის წინაშე სასაცილო კამიტულარებაში. აქ არის ყოველივე ძველის, დრომოქმულის, განწირულის კომიზმი. ეს მოტივები ნაწილობრივ საგრძნობია და ვით მერვეშიც“. კომედიორგანის მსხვილ თვალთახედვაში

სულ სხვა კუთხით ცოცხლდება წარსულის ამბები. მოვლენების ღრმა სოციალური ანალიზი გრძელდება „კოლმეურნის ქორწინებაშიც“. გამარჯვებულ საოლმეურნეო სოფელში სულ სხვა ხასიათი ეძლევა მანუარისსა და მისი ყოფილი მოჯანაგირის კონფლიქტს. ახალი დროით წველამართლი კაცული თავის ყოფილ ბატონს უარს ეუბნება დამოყვრებაზე; ცხოვრებამ დარინ-ლატაკი, იღესღაც დაამიერებულ-შეგინებულ ბერეკაის ქალიშვილი გვირისტივე საკვერხელ ცნობილ და-მიანად გახადა და მისი რძობაა „დაგვიანებულ შემოდგომის აზნაურს“ ნატურად უქცია. აქ არაფერს ვიტყვი კომედიური სიტუაციების შექმნის ოსტატობაზე. ეს ცალკე საკითხია. მხოლოდ საზგასამით მინდა ვთქვა, რომ ხასიათების ის ანალიზი, რომელსაც პ. კაკაბაძე თავის ყოფაცხოვრებით კომედიაში აკეთებს, განაგრძობს „ყვარყვარეში“ დაწყებულ ეპოქის ყოველმხრივი, ღრმა შემეცნების ხაზს. კოლმეურნის თამყმდომირის ხატირების, მანუარის თუ კაცულის სახეები თუშალოდ ახალი სინამდვილიდან არიან ამოზრდილი. აქაც მოძებნილია მანკიერი ადამიანის სულიერი ცხოვრების ისეთი საწყისები, რომლებიც მისი კომედიურობის, სასაცილო მდგომარეობაში ჩაგდების მიზეზი ხდება. ეს არის კარიერისტიკობის, იოლად სახელის მოთოების ეგოსტურ სურთვლები, რაც ხატირების ბუნებაში, ერთი შეხედვით, „კეთილთვისებიანი სიმზიენად“ ჩნდება, თითქმის დიდი ზიანის მოტანა არ შეუძლია, მაგრამ პოტენციაში შეიცავს საზოგადოების წინსვლის შემფერხებელ ძალას. ყველაფერი ეს აზრიანი სიცილისთვის თავს იყრის „ქორწინების“ გმირების ურთიერთობებში, და მაყურებელი წვდება ჩვენი ცხოვრების კანონზომიერებას, მიყვება ემოციურად დატრიალებულ ამბებს, დასლართულ ინტრიგას და პრერესული ძალის მხარეზე რჩება, დასცინის პატარა კაცობას, კარიერისმს, მუშინაურ სულმოვლებს. ყველაფერი ეს არ ჩანს ნაწარმოების მხატვრულ მასალაში. იგი უჩინარია, როგორც

სტენა სპექტაკლდან „ჩინარლ III“. ჩინარლ — ე. გოძაშვილი





სისხლი ადამიანის ძარღვეებში, მაგრამ ისაა ყველაფრის მამოძრავებელი, ხელოვნების უკუდავი ძალით მაცოცხლებელი. ამავე დროს კ. კაკაბაძის ტლანტის თვისებაა ნაწარმოების ფილოსოფიურ-კონცეპციურ მხარეს ხალხური სიძინის, ხალხური დაკვირვებისა და გამოცდილების სახე მისცეს. მისი გმირების სენტენციურ-იდიომატური სამეტყველო მასალა ამბობდა თვით ცხოვრების სიღრმეიდან და არა წიგნებიდან, ან თეორიებიდან.

„ყვარყვარესგან“ განსხვავებით, „კოლმურის ქორწინებაში“ უკვე საგრძნობლად შეცვლილია სოციალურ ძალითა თანაფარდობა. თუ პირველი რევოლუციური კომუნისტური მხოლვ დონი იყო დროშოჭმული ადამიანების ატიმედიური მდგომარეობისათვის, მეორეში დამკვიდრებული და განმტკიცებული ახალი ცხოვრება თავისი პოეზიით, მომხიბლობით უკვე მთავარ ადგილს იჭერს სცენაზე. კულსებიდან სცენაზე გამოსულან ახალი სოფლის ღონიერი ადამიანები და მათი საქმეები გამოვლენ კომიკურ მდგომარეობაში აყენებს მანუარებს და ხარტვანებს.

ინტელექტუალთა არ ნიშნავს მწიგნობრულთა, მშრალ მსჯელობებს, გაყინულ, ემოციისაგან დაცლილ აზროვნებას ხელოვნებაში. ამავე დროს ყოველგვარი აზრი, თუნდაც ორიგინალური პრეტენზიით მოტიანული დრამასა თუ კომედიისაში, თუ მას აბსტრაქტული ხასიათი აქვს, ვერ იქნებაღა ჩვენივის საინტერესო. ყველაფერი, რაც ჩვენი ხელოვნებაში მხატვრულ სახეს იღებს, თვით ცხოვრების კონკრეტული პროცესების შემეცნებიდან უნდა მოდიოდეს. ეს არ ნიშნავს სტლიოტური მრავალფეროვნების, კანრებისა და ფორმების შეზღუდვას, ხელოვნების რილისა და მნიშვნელობის უტილიტარისმამდე დაყვანას. დაწყებული „ოჯახური კონფლიქტებით“, ციური სხულებით გატკეპული კოსმონატების თანამედროვე რომანტიზმით გათავებული დრამატურგია ყველაგან პოულობს აზრებს, სახეებს, თეატრალურ ფორმებს. მე სურს აღვადგინო მიკროს, როდესაც უკრაინული დრამატურგია ალექსანდრე ლევიადი წერს ჰეროიკულ დრამას „ფაუსტი და სიკვდილი“, თამამად ენაშურება დიდი გერმანიელი ოლამპიელის უკუდავ ქმნილებას და თანამედროვე საბჭოთა კოსმონატების, მათი მუხედლეობებისა და გრძნობების რთული დრამატული წარმოსახვით ფილოსოფიურ განზოგადოებებს ესწრაფვის. ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო ჩვენი რაკეტები მიიდან შორს სამყაროს სივრცეში, ჩვენი აზრიც იჭრება ქვეყნიერების უსასრულო სიღრმეებში. ასე იქმნება მოეც საუკუნის ადამიანის მეტად თავისებური მსოფლმყვანების მხატვრული სურათები.

ინტელექტუალური სიღრმე თანამედროვე დრამის საერთო შთანთქმელი, მის სოციალურ-ფილოსოფიურ პრობლემატიკაში კი არ უნდა გამოქმედანდეს მხოლოდ; თვით ფორმაც ნაწარმოებისა, მისი სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურება მალე კულტურის ნიშნებს უნდა შეიცავდეს. უფრო მეტიც: ინტელექტუალური უნდა იყოს გმირის აზროვნება, მისი ფიქრები, მონოლოგები, ხასიათის, გემოვნების, მრწამსის გამოხატავალი აზრები.

აქ საგანგებოდ დავისმის დადებითი გმირის პრობლემა, როგორც ჩვენი დრამატურგის უპირველესი პრობლემა. თანამედროვეობაზე დაწერილ პიესებში უშთაფრვად სტემატურისტიკურულ ფორმებშია გახსნილი დადებითი გმირების ხასიათები. აგტორები ჩვენი ცხოვრების მოწინავე ადამიანებს ხან რეზონირებდა წარმოგვიდგენენ, ხან შეუმდარ, მუდამ სწორი, მაგრამ საკმაოდ ცნობილი ტქმარატივების მომაზერყეულ

მქადაგებლად. განგებ ამარტივებენ დადებითი ადამიანის გარეშეში შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციას, ცდილობენ „შმტკივ“ ხეულად, კეთილად დამათავირო ყველაფერი, თავს არიდებენ გართულებებს, ნებისმიერად „წარამიერად“ კონფლიქტს, სიტუაციებს. ჩვენი თანამედროვე უაღრესად რთული, მრავალმხრივი ადამიანია. პიესებში კი იგი ხშირად მოსაწყენი, ერთფეროვანი, შინაგანად მშრალ პიროვნებად გამოიყურება ხოლმე.

სამართლიანად საყვედურობენ დადებითი გმირის სქემატიკურად წარმოსახვისათვის ზოგიერთ ისეთ დრამატურგიულ ნაწარმოებსაც, რომლის ინტელექტური დონე შედარებით მაღალი იყო თანამედროვე პიესების ფონზე. ეს ნაწილობრივ იოქმის მ. მრევილიშვილის „ზვავზე“. ვფიქრობ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი არ გვეჩინია ინტელექტურად და ფსიქოლოგიურად „ზვავზე“ ღრმა პიესა. აქ იყო ძლიერად დახატული ხასიათებიც, მძაფრი კონფლიქტებიც, დაღვეწადლე ცხოვრებად დარჩენილი გლეხური ინდივიდუალისშის შეჯახება კოლექტიურ მორალთან. თთახების ჩარჩოვში პოეტული ვიწრო შემზარერი ატმოსფერის ნაცვლად, დრამაში კვლავ გამოჩნდა მთის პეიზაჟი, მთის ფონი, რომელიც ასე ორგანული აღმოჩნდა თავიდანვე ქართული სულის, ქართული ხასიათების გამოხატავატად. თითქმის, მთის რელიეფში თავიდანვე განსაზღვრებული იყო ქართველი კაცის ბუნება, მისი სულიერი თვისებები, კონტრასტები, ტემპერამენტი. ამიტომაც მთის ფონზე შეიქმნა ქართული ეპიური აზროვნების უკვდავი სახეები ა. ყახზების რომანებში და ვაჟა-ფშაველას გენიალურ პოემებში. მთა არა მარტო ფონად, არამედ ახალღების, სულიერი აღზევების სიმბოლოდ იქცა უკვდავ კლასიკურ ქმნილებებში. „ზვავის“ გმირებისათვის მთა არ არის ცენტრიკური ფონი. სილაღეს, არწივივით შეუზღუდავ ფრენას ჩვეულ გვეგასთვის მთები მგვირბრივით მასლობელია. თავდაღებულ, მკაცრ, იღუმაღ ბუნებაში იგი პოულობს შინაგან გაფასვლებას და მხოლოდ აქ, ადამიანის კანონებისაგან განკერძობებაში პოულობს არსებობის იდეალს. დრამაში ჩვენი კვლავ დავინახეთ „ლამარსა“, „ხევისტერ გოჩას“ შთამომავალინი. ფიცები, შეუპოვარი, ვაჟაკი ადამიანების გვერდით გაიყინით უაღრესად რთული, ძველად შესაცნობი ხასიათი თინიბეგისა. უწინდელი სოციალური ბრძოლა, კლასების შეჯახება ახლა შეცვლილია ინდივიდისა და საზოგადოების კონფლიქტით. აქ საღდავ არის თინიბეგის და პიროვნების ჭიდილის შორეული გამოძახილი, ყახზებისა და ვაჟას ქმნილებებთან შეხმსურება ახალ ვითარებაში. მ. მრევილიშვილმა სწორად გაიკო თანამედროვე სოფლის წინააღმდეგობები. იგი არ გაქავა წვრილღება ნაძირალღების ჩვენივის ზგას. შემწაა კრებადი სახე ინდივიდუალისტი გლეხისა, რომელსაც ცხოვრებაზე საკუთარი ფილოსოფია, მღღერი მორალი გაჩინია, რომელიც სიღრმედად თღლის ადამიანებს ცხვრებრივით უჭერის და ვისმეკისებურ მოხვეგის თავის ინსტიქტებს დაუქვემდებაროს ყველაფერი ცხოვრებაში. თინიბეგი ბრძადა არის აყოლილი ძლიერი პიროვნებისთვის ჩვეულ, თავიდანვე ამოჩემებულ პირველკაცობის მიზანს. იგი უყოყმანოდ გადააბიჯებს საკუთარი ცოლის, ერთადე ერთი ვაჟის გვაგზე, თუ ამას ნიზნის მიღწევა მოითხოვს. თინიბეგის სწრაფვა სოფლად პირველი კაცობისაკენ, უღლების შიშოვებისა დაუცემომოღი წყურველი ჩვეულებრივი კარიერისტობა როდია. ეს ბნელი შინაგანი ლტოლვა შეიძლება უდიდეს ბორტებად იქცეს, ადამიანებს დიდი ზიანი მოუტანოს. თინიბეგი შთამომავალია ბარნაბა საგანელიძის (პ.კოლხეთის ცის-

კარი“), გვაჩვენებს აფაქიძის („მოვარის მოტყვევა“) და სხვათა; ახალ სოციალურ გარემოში მას შენიღბვის, „გლეხური დიპლომატიის“ იშვიათი უნარი გააჩნია. ადვილად იმორჩილებს ნუსტი ბუნების ადამიანებს, მუდამ გამყოფიშავად მუშაობს მისი გონება თავიდანვე არჩეული მიზნისკენ. ამ გზაზე იგი შეუპოვარი, სასტიკია. მისი „დემონიურობა“ ყოველგვარ რომანტიზმს მოკლებულია. სამაგიეროდ თავისი ფსიქოლოგიის შემზარავი ლოგიკით, ნეგატიური სულიერი თვისებებით სიკვდილივით ზნელ და საშინელ ძალად იქცევა. მ. გორკი თავის პიესებსა და რომანებში ეპოქის რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის მეოხებით ასეთ დასკვნამდე მიდიოდა:

«В наши дни человек подвергается разнообразнейшим воздействиям буйной взвихренной действительности, он переживает в себе самую борьбу индивидуалиста с социалистом, борьбу противоречий непримиримых, столкновение качеств, унаследованных им под гнетом векового насилия мещанства, с решительным и суровым требованием истории, с требованиями партии рабочего класса, призванной историей быть родоначальником нового человечества.» (М. Горький, собр. соч., том 26, «О пьесах», стр. 419).

მწერალი, რომელიც ახდენდა რთულ სოციალურ ანალიზს ვასა ველუზნოვას, თომა გორდევის, არტამონოვის თუ კლიმ სამეინის ხასიათებისას, პერსპექტივაში ხედავდა ახალ საზოგადოებაში გამძლე ინდივიდუალიზტური ინსტიტუტების გამოვლინებებისა და მათი დაძლევის აუცილებლობას, მოითხოვდა მათს წინააღმდეგ მკაცრ, შეურთებელ ბრძოლას. ცხოვრებაში დღეს ინდივიდუალიზტური ინსტიტუტები, მიზნები, ინტერესები პიროვნების სიღრმეში ცხრაპირი ჯავშნით არის დაფარული და მხოლოდ გულუბრყვიეობის გონიარ, არის ახალი ცხოვრების დამკვიდრებისთანავე გაქრა ყოველივე ზნელი, მანკიერი, ადამიანის სულთან საუკუნებით შესაბამეული. ოშიმ წინააღმდეგობები ადამიანებს შორის, მათი ინტერესების, სულიერი თვისებების შეჯახება უფრო „გარეგნულად ხდება“, უფრო ხილულია. მშვიდობიან ცხოვრებაში ინდივიდუალიზმი ბევრად უკეთ ინიდება. ამიტომაც ფსიქოლოგიური ჩაღრმავება, და აქედან როგორც მანერა, ფსიქოლოგიაში—კანონზომიერია დარამებში, რომელიც ასახავს ძველისა და ახალი მორალის კონფლიქტებს. თინიძის ხასიათის დრამატურგიულ მოძრაობას ქმნის მისი ორპირობა, იანუსობა, როდესაც სულ სხვა სიტყვა და სხვა განზრახვა, ერთია საკმე და მეორე მასში ჩადებული არი. თინიძეც მთის კაცია თავისი გულჩახვეულით, სიკოუტით, სიტყვატუნწობით. მას ნადირის გემო აქვს და ფრთხილი, გაზომილი ნახეჯი. ადვილად ვერ გაუვებ, ვერ მუხუხვდები, რა იმალება მის გადაკრულ სიტყვაში, გამხრვებ გამიხრვავი, ირინიულ დიმილში. იგი მტრობაშიც თავშეკავებულია, გამიზნული და მსოლოდ საჭირო მიმენტში ტყვიასავით პირდაპირი. მის სულში დაღვრულია ყოველი ამქვეყნიური ბოროტება, რაც გულსარბ ადამიანში აღზარდა განდიდების სურვილმა, შურმა, ეჭვიანობამ, ნივარებმა. იგი იაკოსავით ან ფრანცივით არ არის რაციონალისტი, მაგრამ ქვეშევსეული ბოროტი „სიბრძნე“ საკმაოდ გააჩნია. სიბერეში შესულს შეუძლია მოტყუებლად ჯანში უზარმაზარი ენერჯია იოვოს და მიზნის მისაღწევად აამოქმედოს. თინიძევი მიზანტოპი და ცინიოსია, თუცა მან არაფერი იცის ადამიანის სიძულვილზე დამყარებული ფილოსოფიური დოქტრინებისა. მან გასწორა ერთადერთი შვილი გვეცა, სისხლის სა-



სერგო ზაქარაიძე მეფე ოილბოსის როლიში („ოილიბოს მეფე“)

მართლაც დაბნაწულთაგან შეგავიძობია იგი, ამირანის დასალუპავად გაგზავნა მოაში, ეჭვანობით გახელოვანი ვაკაცის ბრმა იარაღად ქცევა განიზრახა. თინიძეს არ უყვარს არც ცოლი, არც მეზობელი, არც ნათესავი. იგი ყველაში არამზადას ხედავს, ყველა ერთის წინააღმდეგ და ერთი ყველას წინააღმდეგ ამხედრებული ჰგონია. ამავე დროს მისი სულიერი სიღარიბე შენიღბულია საქმიანი ადამიანის სახელით, რომელიც ჯიუტობამ, ბოროტმა მუყაითობამ მოუპოვა სოფლად თინიძეს. მას ძულს ბუნება და ადამიანიც. მხოლოდ ერთ კერძს, თავისი პიროვნების ტრანული განდიდების კერძს ემსახურება და სწირავს ყველაფერს. ამ გუბნობორტ კაცს რომ ეცხოვრა დიდი ფეოდალების ან მეფეების კარზე, საშინელი ინტრიგების ქსელს დასწარავს, დაბოლმადეც ერთმანეთს, გადააკიდებდა, მეფეს წაჰკიდებდა ქვეშევრდომებს, ომების, მეტოქეობის, კარიერისთვის დაუწოდებელი ბრძოლის ატმოსფეროს შექმნიდა. მერე სისხლან ხელში თვითონვე აიღებდა თვითმკაცობლის სიკატრას, ხელისაერთოობლად ხანჯალს ჩასცემდა ძმას და თავისავე რძალთან იქორწინებდა კლავიულისა და რჩარადის მსგავსად. ლეთისმოსავი, მოყვარული გულის ადამიანად გამოაჩენდა თავს, მერე უღრტყინველად უღლატებდა ღმერთსაც და კაცსაც; დამარცხების ჟამს კი ყველაფერს დათმობდა უცებ, ლაჩარი გაიღვიძებდა მოჩვენებით რაინდში და წამოიკვირებდა: „ჰე, ცხენი მეთქი, მთელ სამყფოს ერთ ცხენში ვაძლევ“. მაგრამ თინიძეს არ აქვს ასეთი ასპარეზი. იგი ერთ პატარა მთის სოფელშია გამოკეტული, სადაც უბრალო უპრეტენზიო ადამიანები ახალ ცხოვრებას ამწებენ, შრომობენ, უყვარო, ავჯავება, არც ოჯახშია ხელგაშლილი, მუდამ გულწაბრობილია და ფაქრიანი. მისი ყოველი სიტყვა გამიზნულია ვილაცის წინააღმდეგ: იგი მეგლავაცია, რომელმაც იცის როდის გაეხვიოს ცხერის ტყავში. თინიძის ეპოქენტრიზმი ნასაზრდოვია ოცდაათიანი წლების კულაკობის შესაუთუთული ინსტიტუტებით; სიბერეში კერპად ქცეული ეს კაცი უპირისპირდება ყველაფერს, რაც ახალმა ცხოვრებამ მოიტანა. თინიძის ხასიათის სირთულე მის ორმხრივობაშია



გამოფენაზე წარმოდგენილი 170-ზე მეტი საინტერესო, კოლორიტული ფოტონამუშევარი ასახავს ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვან და ხისხლავსვე ცხოვრებას, მის მძლავრ მრეწველობას და მაღალტექნიკურ სოფლის მეურნეობას, მიწინავე კულტურასა და სოციალისტურ ყოფას. ამ პირველ დიდ დათვლიერებაში მონაწილეობენ თბილისის, ბათუმის, სოსუმის, ქუთაისის, სტალინისა და საქართველოს სხვა ქალაქების ფოტოგრაფსპონდენტები და ფოტომოყვარულები. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ საბჭოთა საქართველოს იუბილეს ჩვენი რესპუბლიკის ფოტოსტატები შეხვდნენ გაერთიანებულნი აქრონალისტა კავშირში შემოქმედებით კოლექტივად, რომლის შემადგენლობა ამჟამად ორმოცდაათ კაცს აღემატება.

მეარამ როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენს შემოქმედებით მიღწევებზე, აქვე უნდა გაიხსენოთ ის ძველი ოსტატები, რომელთა მოღვაწეობამაც ჩვენში საფუძველი ჩაუყარა ფოტოკულტურას, შეუქმნა მას ტრადიცია. ეს იყო შესანიშნავი ფოტოგრაფი, მხატვარ-არქეოლოგი როინივილი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ამ უნაგრო პროზაიკანდისტის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენში პირველი მოძრავი ფოტომუხეუმის ჩამოყალიბება. შემდეგ როინივილის მიერ დანერგილ ტრადიციას აგრძელებდნენ და ქართული ფოტოკულტურის განვითარებაში თავიანთი წვლილი შექმნიდათ მხატვარ გოგიშვილს, ფოტოგრაფებს ერმაკოს, ზანისს, ჟვანას, ჩოფიაკაშვილს, ჭელიძეს, შიშანს, ფურცხვაიძეს და სხვ., რომლებმაც შემოვიწინავეს ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეთა პორტრეტები, ჩვენი ხალხის ისტორიის, კულტურის, ყოფის ამსახველი მრავალი ძვირფასი ფოტოლოკუმენტები.

რესპუბლიკის პირველ ფოტოგრაფსპონდენტებს, ჩვენს უხუცეს ფოტოსტატებს ძნელ პირობებში, ტექნიკურად ცუდად აღჭურვილთა მოუხდათ სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა. ესენი არიან რ. აკოფოვი, ვ. პოლიაკოვი, დ. დავიდივი, ვ. ჯიორანივი, მ. კვირიკაშვილი, ვ. სტალიაროვი, ვ. ტარხოვი, თ. ბუღეშვილი და სხვები. მათ წალად ხვდათ ფოტოგრაფსპონდენტთა მთელი პლუადის აღზრდა.


მრავალი წლის მანძილზე ფოტოგრაფობათვის პიონერებმა რ. აკოფოვმა, ვ. პოლიაკოვმა, ვ. ტარხოვმა, რომლებიც რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში მუშაობდნენ, შექმნეს ჩვენი რესპუბლიკის ისტორიის, კულტურისა და ყოფის ამსახველი უმდიდრესი ფოტომატიანე. რ. აკოფოვმა, რომელიც ადრე რესპუბლიკის პროფსაბჭოსთან არსებულ საქართველოს ფოტოსექციას ხელმძღვანელობდა, დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა თბილისის წარმოებებთან ორგანიზებულ ფო-

ტოურებში. ამჟამად კი, პენსიაში გასული, იგი აქტიურად მონაწილეობს სასოფლოვერებზე ცხოვრებაში.

საინტერესო და გამოცდილებით მდიდარია რესპუბლიკის წამყვანი ფოტოგრაფობათვის მ. კვირიკაშვილის შემოქმედებითი ვაჟი. ჯერ კიდევ პიონერის ყელსახვევს ატარებდა, როცა 1929 წელს გაზეთ „პიონერსკაია პრავდაში“ პირველად დაიბეჭდა მისი ფოტოსურათები. მას შემდეგ იგი ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული, ოპერატიული, დღეს კი რესპუბლიკის გამოცდილი რეპორტიორია.

შრომითი საქმიანობის ვრცელი გზა განვლო ვ. სტალიაროვმა. თავისი საქმის ეს დიდი ოსტატმა ამჟამად მდიდარ გამოცდილებას უზიარებს საქმედის ფოტოგრაფობის ახალგაზრდა ფოტოგრაფობათვის.

ჩაის ფაბრიკაში. ფოტო მ. კვირიკაშვილისა





და დავიდოს, რომელიც მრავალი წელია თანამშრომლობს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, მუდამ დაუცხრომელი, მიუხედავად ბუბი ახასიათებდა. მისი საყვარელი ჟანრია პორტრეტები და თეატრალური გადაღებები, რომლებშიც იგი ჭეშმარიტ მსახურად გვევლინება, ავლენს ფაქტს გემოვნებას, კომპოზიციისა და სინათლის გრძნობას.

ერთ-ერთი წამყვანი ფოტოსტატი ვ. ჯეირანოვი დიდხანს თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ამჟამად კი მოძვე რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანს წარმოადგენს ჟურნალ „ოგონიოკში“. იგი მეტყველად და მაღალმსატრეულად აღბეჭდავს თავის ნამუშევრებში ჩვენი ხალხის მიღწევებს და ყოველდღიურ ცხოვრებას.

დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის მდიდარი ბუნება, ახალი სოციალისტური გარდაქმნები, ახალი ადამიანი-შემოქმედი — ეს თემები განუყრელადაა დაკავშირებული ფოტოსტატების პ. ლუცენოსა და ს. კორტკოვის სახელებთან.

პირდაპირ სკოლის მეჩხიდან მოვიდა ჩვენს პრესაში ვლ. ვინზურგი, რომელიც ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდად გამოცდილი და დასრულებული ოსტატია. იგი თავის ფოტორეპორტაჟებში, რომლებსაც ხშირად ახლავს ავტორისავე ლიტერატურული ნარკვევები და რეპორტაჟები, მაღალი ოსტატობით და გემოვნებით ასახავს ჩვენს მრავალფეროვან ყოველდღიურობას.

სამამულო ომის დღეებში ფრონტულ მებრძოლთა შორის, როგორც სამხედრო კორესპონდენტმა, სახელი გაითქვა პრესის ერთ-ერთმა მოწინავე მუშაკმა კ. კრიშკიმ. რეპორტაჟის ეს ოსტატი ამჟამად თავის შესანიშნავ ფოტოებში აღბეჭდავს საბჭოთა ადამიანების შთაფრთხილ შრომას თუ დასვენებას.

ვ. ჩეკრასოვა იმთავითვე შეიყვარა რეპორტაჟის ერთ-ერთი რთული სახეობა — სოფლის მშრომელთა ყოფასა და შრომასთან დაკავშირებული გადაღებები. დარში თუ ავღარში მას ხშირად ნახავთ გზაში, გაზეთისათვის მორიგი მასალის მოსამზადებლად გამგზავრებულს.

ფერადი ფოტო ფოტოხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ახალი სახეობაა. მის დამწვევად საქართველოში და ქართულ პრესაში ითვლება გ. რაზმაძე. მაღალი გემოვნების ეს ფოტოსტატი გამომსახველ სიუჟეტებს ნახულობს თავისი ნამუშევრებისათვის.

კარგა ხანია პრესაში მუშაობს და გამოცდილი ოსტატად გვევლინება ვ. რუსეცი, რომელიც შესანიშნავად ათანხმებს თავის ნამუშევრებში სახეით ხელოვნების კანონებს ფოტოგრაფიის ტექნიკასთან. რუსეცის საყვარელი თემებია კომკავშირული და ახალგაზრდული ცხოვრება, რომლის ასახვის საქმესაც იგი უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია ერთგულად ემსახურება.

თბილისელები კარგად იცნობენ სპორტულ რეპორტიორს მ. ზარგარიანს, რომელსაც მრავალგზის გაუზარებია მკითხველები კადრებში სპორტის ოსტატთა ილეთების მეტყველი ფიქსირებით.

ბევრ ორიგინალურ, ახლებურ გადაწყვეტილებას შეხედვით ჟურნალ „დროშის“ რეპორტიორის ო. თურქაის ნამუშევრებში. პროფესიით იგი ინჟინერ-გეოლოგია და თავის ძი-

რიოდა სპეციალობაში მუშაობასთან ერთად უკვე დიდხანია ნაყოფიერად მუშაობს ფოტოხელოვნებაში.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში, აჭარის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, მუშაობენ ნიჭიერი და გამოცდილი რეპორტიორები გ. კვიციანი, ბ. მალაფერიძე, ნ. ანასტასი-ვეი, ა. ბაბაიანი, გ. ტარასოვი, გ. ალბერტი, შ. კუკულავა, ა. ტლომაჩოვი, ვ. უბოჟენკო, ბ. გავრილენკო, ნ. ჯომიდავა და სხვები, ყველა ისინი საკუთარ ჟანრს და სტილში მუშაობენ, დიდ სიყვარულს აქვთვენ საქმეში.

ფოტოკორესპონდენტთა ახალი კადრების აღზრდის საქმეში თავის დროზე დიდი როლი ითამაშა „საქფოტოს“ ორგანიზაცია, შემდეგ კი საქართველოს დემკრატული ფოტო-ქრონიკამ, რომელმაც ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ფართო მუშაობა გაშალა. ამჟამად კი მის კარგად აღჭურვილ ლაბორატორიებში მსოფლიო ოსტატების გვერდით და მათი ხელმძღვანელობით მუშაობს ახალგაზრდობა.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ ჩვენი რეპორტაჟის თანამგზავრები — თბილისის დოკუმენტურ-ქრონიკალური და სამეცნიერო-პოპულარული კინოსტუდიის ოპერატორები: გ. ასათიანი, ლ. არზუმანოვი, ნ. ნაგორნი, ს. დეკანოსიძე, შ. შიოშვილი, ბ. კრეპსი, ა. სემინოვი და სხვები, რომლებიც ასრულებდნენ რა მორიდ კინორეპორტაჟს, საინტერესო ფოტოსურათებს აწვდიდნენ ჩვენს პრესას.


რა დიდიც არ უნდა იყოს უფროსი თაობის გამოცდილება და მათი წვლილი საერთო საქმეში, ახალგაზრდა მზარდი კადრები ყოველდღიურად სულ უფრო გაბედულად „უკაკუნებენ“ ჩვენი პრესის კარზე, ბევრი მათგანი კი უკვე კარგა ხანია აქვეყნებს თავის ფოტოებს ჟურნალ-გაზეთებში და ფოტოკორესპონდენტის სტენდებზე. ესენი არიან გ. ვანტანავაძე, გ. თიკაძე, თ. არჩვაძე, ს. ონაშვილი, მ. ჩხეტიანი, ე. პესივი, დ. იაკობაშვილი, გ. შუსტერი, ფ. კრიშკია, ვ. მღვიმინიძე, ი. ზვიერი, პ. შვერენკო, მ. საამოვი, ს. კილაძე, ი. ედიგარაშვილი, ი. დავითაშვილი, ი. დვალი, გ. კაცავაძე და სხვები. ისინი სხვადასხვა ჟანრში მუშაობენ, სხვადასხვაგვარად ეძებენ, მაგრამ ერთიანებთ ერთნაირი მიზანსწრაფვა ახლებური, გაბეჯული, უჩვეულო გადაწყვეტისადმი, იდეის სიხადისა და მკაფიოებისაკენ ლტოლვა.

ამის მაგალითები მრავალ შეგვიძლია დავასახელოთ. ასეთია ახალგაზრდა ფოტოკორესპონდენტის, ალბისის-სპორტ-სმენის გ. თიკაძის გადაწყვეტის მხრივ მოულოდნელი, ექსპრესიული კადრები, ან თუნდაც მ. ჩხეტიანის — „საყოლმეურნეო ნახირი“, დ. იაკობაშვილის მავგის პორტრეტი, ს. ონაშვილი — ახალგაზრდა მეცნიერი, ე. პესივის — წარმოების მოწინავეთა პორტრეტები, ე. შუსტერის — ქალაქის ქუჩები, ან საბალეტო სცენები და მრავალი სხვა.

ჩვენს წინაშეა თ. არჩვაძის ფოტო — ლენინის მონუმენტი თბილისში. ეს არა მარტო დოკუმენტური ფოტოა, არამედ მხატვრულად კარგად გადაწყვეტილი ნაწარმოებიც, სწორად შერჩეული სხედვითი წერტილისა და კარგად დაჭერილი განათებით.

საინტერესოა გ. ვანტანავაძის რეპორტაჟული ფოტო. მასზე აღბეჭდილია ნიკიტა ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვი, რომელსაც ვულთბილად მიესალმებიან ჩარველილი პიონერები.

კომპოზიციურად გამომსახველია გ. გინზბურგის ფოტო — „მწვანე საძირებზე“ — კავკასიონის ლურჯ მთებს შორის



ფიქრი. ფოტო რ. დავილოვისა

ცხენზე მჯდარი მწყემსი მიერეგება ცხვრის ფარას.

გადაღების წერტილი და განათება მოხერხებულად არის შერჩეული გ. ჯიბარაშვილის ნამუშევარში „ბაიდარკები“, სურათი ღინამიკური და მხატვრულად დასრულებულია.

მეტყველია ახალგაზრდა რეპორტორის ბ. დაღვადის ფოტო „ექსკავატორი“. ღინამიკური კომპოზიცია შესანიშნავად გამოვლენს ტექნიკის ძალას. მიძრაობის სისწრაფის მასხვილად აღებუდაც ფ. კრიშკია, რომელსაც ეკუთვნის მრავალი საინტერესო ნამუშევარი სპორტის დარგში.

საქართველოს ფოტოკორესპონდენტებმა შექმნეს მთელი რიგი საყურადღებო ნამუშევრებისა — ამის უტყუარი მოწმეა საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ეს საუბიბლო ფოტოგამოფენა.

მეუბედავად აღინიშნული წარმატებებისა, უნდა ითქვას, რომ სპეციალური განათლების უქონლობა ხელს უშლის ფოტოკორესპონდენტთა კადრების კვალიფიციურობას, აფერხებს მათ ზრდას. ეს კი გავლენას ახდენს მათი ნამუშევრების იდეურ სიმახვილეზე, ტექნიკურ დონეზე. ჩვენი ხალხის მზარდი კულტურული დონე და ესთეტიკური გემოვნება მალა ამოცანებს აყენებს ჩვენი ფოტოკორესპონდენტების წინაშე, მოითხოვს მათგან ტექნიკის სრულყოფას, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. ამიტომ მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ფოტოკორესპონდენტი ეურნალისტურ განათლებას იღებს მოსკოვის ჟურნალისტთა სახლთან არსებულ დაუსწრებელ ლექტორიუმში, რაც იმის უტყუარი თავდებია, რომ საქართველოს ფოტომემატიანეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდებ.

კიდევ ერთხელ „საუკუნოებრივი ღაღის“ შესახებ

რეგავ ნათაძე

1

მ ერთ-ორი წლის წინ, როგორც ცნობილია, ჟურნალ „თეატრის“ ფურცლებზე კვლავ გაიხსნა დისკუსია მსახიობის სასცენო შემოქმედების ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ. ამ საკითხის ისტორია მსახიობის ხელოვნებაზე პირველივე გენერაციული რევოლუციის დროიდან მოყოლებული, ჩვენ დრომდის მოდის; ტყუილად კი არ უწოდებენ ხოლმე ამ პრობლემას საუკუნოებრივ პრობლემას!

განსაცვიფრებელი ის არის, რომ, თუმცა ამ უკანასკნელად გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ საბჭოთა მოწინავე თეატრების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორიც არიან ზახავა, ეფროსი, ბებუთოვი, რ. სიმონოვი და სხვ. კამათი ძირითადად ისევ ამ საუკუნოებრივი დილემის ფარგლებში მოექცა, ისევ ამ დილემის ფორმა მიიღო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შეორეხარისხოვანი მნიშვნელობის დებულებას, უმთავრესად ზახავას წერილიდან: — „განცდა თუ წარმოდგენა“, ანუ „ნამდვილი გრძნობები თუ იმიტაცია“. „განცდა თუ ვირტუოზობა“. თითქმის პრობლემა არ დაძრულა მოჯადოებულ ადგილიდან, თითქმის საკითხის გადაწყვეტის რაიმე სხვა — შესაძლო შესაძლებლობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს!

ეს გაეროება მით უფრო ვასაკვირია, რომ უკანასკნელი დისკუსია მიმდინარეობდა მის შემდეგ, რაც თეატრმცოდნეობას მიეფინა, მსახიობთან პრაქტიკულ მუშაობაში განმტკიცებული, სტანისლავსკის სისტემა, რომელმაც ახალი ასპექტი შეხვდა პრობლემას და იმდენად ახლებურად გააშუქა მსახიობის სასცენო მოქმედების ბუნება, რომ ფაქტობრივად გადალახა ეს ძველისძველი დილემა, გამოიყვანა იგი ერთ-ერთი საუკუნოებრივი ტკეპნის მდგომარეობიდან, დასაძა საკითხის გადაწყვეტის შესახებ, ახალი შესაძლებლობა. როგორც ჩანს სტანისლავსკის სისტემაში ნაგულისხმევი სრულიად ახლებური გაგება მსახიობის სასცენო მოქმედების ბუნებისა დისკუსიის მონაწილეთათვის შეუძნეველი დარჩა და ამიტომ იგი მოაქცეის ამ ძველისძველი დილემის ერთ-ერთი ცალმხრივი გადაწყვეტის „ბანაკში“; სახელდობრ იგი „განცნის თორიად“ ჩათვალეს.

ჩვენ გვეჩვენება, რომ ამ შედგომის ძირითადი მიზეზი იმაშია, რომ მსახიობის მოქმედების ბუნების, ე. ი. მისი ფსიქოლოგიური „მექანიზმის“ საკითხის თეატრის სპეციალისტები იხილავენ თანამედროვე ფსიქოლოგიური მცნებების ცნებათა გარეშე და ამიტომ ფაქტობრივად ფსიქოლოგიური ბუნების საკითხს იხილავენ ან ტრადიციული, მოძველებული ფსიქოლოგიის ცნებებზე ან, უფრო ხშირად, უბრალოდ „ველგარული“, არამეცნიერული ფსიქოლოგიის ცნებებზე დაყრდნობით. კერძოდ, სტანისლავსკის სისტემის უმართებელი გაგება, როგორც განცნის თეორიისა, ე. ი. მისი უმართებელი მოკუთვნება იმ თეორიათა გვერდისადაც, რომელიც მსახიობის სასცენო მოქმედების ფსიქოლოგიურ ბუნებას „ნამდვილი გრძნობაში“, თუ ნამდვილ განცდაში ხელადგენენ, როგორც ჩანს, იმით აისხნება, რომ

2

სტანისლავსკის სისტემაში ყოველდღიური (არამეცნიერული) ფსიქოლოგიური ცნებებით აღწერილი ფსიქოლოგიური მოვლენები და კანონზომიერებანი არ იყო გაგებელი თანამედროვე მეცნიერულ-ფსიქოლოგიური ცნებების შესატყვისად. მაგრამ ამ საკითხს წერილის ბოლის დაგებურუნდებით.

ჩვენი ამოცანა შევხედოთ საკითხს თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების ცნებების თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენი საუბრის საგანს შეადგენს მსახიობის არა საზოგადო სასცენო შემოქმედება, რაც მეტად თუ ნაკლებად განსხვავებულია იმის მიხედვითაც, თუ რა სტილია, რა მიმართულების თეატრში მოქმედებს ის, რა ხვედრითი წილი აქვს ამ თეატრალურ მიმართულებაში თეატრალურ „პირობითობას“, ე. წ. „თეატრალიზმს“; თეატრალურ „ამაღლებულობას“, თუ ნატურალიზმის ელემენტებს და ა. შ., არა! ჩვენი საუბარი ეხება მხოლოდ ერთს კონკრეტულ საკითხს, რომელიც არსებითად ზემოთ აღნიშნული „საუკუნოებრივი“ პრობლემის ძირითად ღერძს შეადგენდა თეატრის მთელი ისტორიის გასწვრივ, მიუხედავად იმისა, რომ თეატრმა თავის განვითარებაში მრავალი არსებითად განსხვავებული ეტაპი გაწვლია, უკიდურესი ნატურალიზმისა და კლასიციკლური თეატრის ანტიპოდური ეტაპების ჩათვლით. ეს არის საკითხი სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ; რა ფსიქოლოგიური მექანიზმი აამოძრავებს მსახიობს, როდესაც ის სცენაზე პიესით ნაკარნახევ, არა რეალურ სიტუაციაში, მაყურებლისათვის დამარწმუნებელი ბუნებრივობით სხვის განცდებს, სხვა პიროვნებას და მის განცდებსა და ქცევას, მის „ვნებათა ღღვას“ განასახიერებს?

სწორედ ეს საკითხი შეადგენს გადაუწყვეტელი ღაღის არსს. სწორედ ამ საკითხმა თავიდანვე მთლიან დილემის ხასიათი — განცდა, ნამდვილი გრძნობა თუ პირიქით, ცივი ვირტუოზობა, გრძნობის იმიტაცია. ნამდვილად უნდა განიცდიდეს მსახიობი-ადამიანი სცენაზე იმ გრძნობებს, რომელთაც ანასახიერებს, რომლებიც როლითაა ნაკარნახევი, თუ პირიქით „ცივი“ უნდა რჩებოდეს და ინტელექტით ნაკარნახევი მოქმედებით უნდა წარმოვიდგინოს ეს გრძნობები მათი გამოსახულების ხელოვნური იმიტაციის გზით?

დილემის ორივე ეს საპირისპირო გადაწყვეტა, მეტნაკლები სიმკვეთრით, თეატრის ისტორიის ყველა პერიოდში იჩენდა თავს, ხოლო ზოგჯერ უკიდურესობამდე ცალმხრივი გადაწყვეტის სახეს ეღებუებოდა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, დიდერის კლასიკურ „პარადოქსში“¹ განვითარებულ თეორიაში, რომლის თანახმაა „მგრძნობელობა“ მსახიობის სისუსტის, მისი ასე ვთქვით, უნებობის მარჯვენაგანია: ნამდვილი მსახიობობა „ერთხელ დასწავლილი მოძრაობებია“, „წინასწარ დასწავლილი გაკვეთილია“, „წინდა წამაძქობაა“, „პათეტიკური სახის მანჭვაა (გრძნობა)“, „საუცხოო მიმონობა“.

¹ დენი დიდერი — პარადოქსი აქტორზე, 1939.



მსახიობის ნიჭი, გრძობის განცდაში კი არ მდგომარეობს, არამედ მსახიობის გარეგანი ნიშნების გადმოცემაში, „მოტყუებულაში“. მსახიობის ცრემლები მისი „ტყინიდან მიმდინარეობენ“ — „იგი ტირის, როგორც ურწმუნო მღვდელი ქადაგებს“.

მეორე უკიდურესი თეორიის აპოლოგეტები ამტკიცებენ, რომ „ნამდვილი შესრულების წმინდა ოქრო“ „ნამდვილ განცდას“ ყურდნობა, და ვერ შედგენენ სხვათა მსახიობის სასცენო გრძობებსა და რეალურ ნამდვილ გრძობათა შორის. „იქითიანეთ თითონ თქვენ, რომ ქვითინი გამოიწვიოთ“ (ბულო).

ესადა, რომ ამ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა ეპოქა, კერძოდ, თეატრალური ხელოვნების სტილი, მისი მიმართულება, მაგალითად, გორდონ კრეგი, რომელიც თეატრის იდეალურ ფორმად მართინეტების თეატრს თვლიდა, ვერ აღიარებდა მსახიობის მოქმედების ძრავად ნამდვილ გრძობას!

კერძოდ, დიდროს პარადოქსალური შეხედულება კლასიციტური თეატრის აშკარა და ძლიერი გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა, იმ თეატრისა, რომელიც როგორც ცნობილია, მსახიობის მოქმედების ამოცანას ბუნებრივობაში და განცდათარაღისტურ გამოსატყავში კი არ ხედავდა, არამედ ლამაზ პათეტიკურ მოძრაობებში და დეკორაციებში, ხოლო ნამდვილი განცდის თეორია კულმინაციას აღწევდა თეატრალურ ხელოვნებაში რეალისტურად და ისიც ნატურალისტურ ტენდენციების გაბატონებისას (ამ თეორიის აპოლოგეტად აღიარებულია კომედი და ლარტეს თეატრის წარმომადგენელი — ლუიჯი რიკოშინი). მაგრამ საკითხის გადაწყვეტის ორივე ეს საპირისპირო ტენდენცია, ზოგადად მაინც ყველა ეპოქაში და თეატრის განვითარების ყველა ეტაპზე ირწმუნა თავს. როგორც აღვნიშნეთ, ფაქტურად პრობლემის მთელი ხანგრძლივი ისტორიის განსწავრივ საკითხის გადაწყვეტა სულ ამ ორ უკიდურეს შეხედულებას შორის ირხევა.

მართალია, ხანდახან გაისმობა ხოლმე და ახლაც გაისმის შემარიგებელი ხმებიც — უწინაც, და განსაკუთრებით ჩვენს საუკუნეში, ზოგი ავტორი „შემარიგებელ“ პოზიციას იჭერს — აღნიშნული ორი უკიდურესი გადაწყვეტის „სინთეზირებას“ ცდილობს. ასეთ პოზიციასზე დედა, მაგალითად, ლუსინგი თავის „ჰამლეტის დრამატურგიაში“, სამბოთა პერიოდში — თეატრისკოდნე გურევიჩი, ზახავა... ზოგი გრძობას თუ იმიტაციას მსახიობის ნიჭის ტიპს, მის ინდივიდუალურ თავისებურებებს უკავშირებდა. მაგრამ ეს შემარიგებელი შეხედულებაც, ესაბო, არსებითად ისევ აღნიშნული დილემის ფარგლებში რჩება, რადგანაც მსახიობის მოქმედების „მექანიზმაში“, მის მამორავებელ ძალად ისევ იმ ორ ძალას აღიარებს, რასაც ორივე უკიდურესი თეორია ერთად აღიქვამს: ეს არის ერთის მხრივ ინტელექტი, მეორეს მხრივ „ნამდვილი გრძობა“. მართლაც მაგალითად, გურევიჩი, რომელსაც აქვს პრეტენზია საუკუნოებრივი, გადაუწყვეტელი პრობლემის ახლებური გადაწყვეტისა, ფიქრობს, რომ რადგანაც ის გრძობობი, რომელიც აღმოცენდება მსახიობში, არ არიან მის პირად ინტერესებთან დაკავშირებული, ისინი „თავისუფალ ნაკადს“ ქმნიან მის ცნობიერებაში, „ცნობიერების ნაწილს“ მოიცავენ, ხოლო ნაწილს კი თავისუფალს სტრუქტურულ და ამიტომ შესაძლებელს ხდიან ამ გრძობათა კონტროლში. ამიტომ მსახიობი განიცდის კიდევაც გრძობებს, მაგრამ თანაც თავის ქცევის რეგულაციას

(იკულისხმება ინტელექტუალური რეგულაცია) ახდენს. რაგად, არსებითად მსახიობის მოქმედებას ორი „ძრავი“ აქვს, ორი ფსიქოლოგიური მექანიზმი გააჩნია: ეს არის, ერთის მხრივ, გრძობები, ხოლო მეორეს მხრივ, ინტელექტი. ესაბო, გარდასახვის ფსიქოლოგიური მექანიზმის თვალსაზრისით საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ზემოთ აღნიშნულ ორ გადაწყვეტასთან შედარებით, არსებითად ახლს არაფერს წარმოადგენს.

3

სანამ შევეცდებოდეთ საკითხის განხილვას თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების ასპექტით, შევხვდეთ ერთ კერძო საკითხს: რატომ დგება ეს პრობლემა მაინც და მაინც მსახიობის შემოქმედების განხილვისას? მსახიობის შემოქმედების ასეთი რა სპეციფიკურობა გააჩნია, რომელიც ამ პრობლემის დასმის ისეთ გარდაუვალ აუცილებლობას ქმნის, რომ ეს პრობლემა, როგორც ვთქვით, თეატრალური შემოქმედების შესახებ რეფლექსიის მთელ ისტორიაში მის ძირითად პრობლემას წარმოადგენს?

ეს არის მსახიობის ხელოვნების ის ძირითადი სპეციფიკურობა, რომელიც ვერ კიდევ კოკლენის (უფროსის) ცნობილ სიტყვებში იყო გამოხატული. მსახიობის იარაღი თვითონვე მსახიობია“ — „ხელოვნების ნაწარმოების შესაქმნელად მხატვარი იყენებს საღებავებსა, ტილოსა და ფუნჯს, მოქანდაკე იყენებს თიხასა და საჭრისს, პოეტი — სიტყვებსა და ლირას, ე. ი. ლექსთაწყობას, საზოხმ, ტერფებსა და რთიმებს. ხელოვნება იცვლება იარაღის მიხედვით; მსახიობის იარაღი კი თვითონვეა“ (ხაზასამა ჩვენია, რ. ნ.). ...მასალა მისი ხელოვნებასთვის, ის ნივთიერება, რომელიც იგი ამუშავებს და სცვლის, რომ რაიმე შექმნას, თვითონ მისი საკუთარი პირისაზე, მისი ტანი და მისი სიცოცხლეა“³.

დღეს უკვე ტრიალურ დებულებად იქცა, რომ მსახიობის შემოქმედების ძირითადი სპეციფიკურობას ის გარემოება ქმნის, რომ მასალას, რომლიდანაც მან უნდა შექმნას მხატვრული ხატი⁴, თვით მისი ფსიქოფიზიკური არსება, — თვითონ ის, შეადგენს — თვით შემოქმედელი სუბიექტი, რომელმაც მაყურებელს თავის ქცევით უნდა იმოქმედოს: შემოქმედების პროდუქტს მსახიობი თავისი თავიდან, თავისი პიროვნებისა და ან, თავისი პიროვნების ქცევით ქმნის.

აქედან გამომდინარეობს მსახიობის შემოქმედების მთავარი ამოცანა:—იგი თვითონ უნდა გარდაიხსოს როლის მიხედვით, თავის არსებით მან არა თავისი, არამედ სულ სხვა ადამიანის, სხვა პიროვნების, განცდები უნდა წარმოადგინოს. მაგრამ წარმოდგენილ პიროვნების სახიათასა და მის განცდათა გამოსახვის ერთადერთ საშუალებას მსახიობის სათანადო ქცევა წარმოადგენს; მაყურებელი სცენაზე წარმოდგენილ პიროვნებას და მათ განცდებს მხოლოდ მსახიობის ქცევის სახით აღიქვამს. მაშ, მსახიობმა თავის „ნაწარმოების“, ე. ი. სცენური ხატის შესაქმნელად მის გარეთ მოცემული, ობიექტური მასალა კი არ უნდა გარდაქმნას, არამედ თავისი თავი, თავისი ქცევა უნდა გარდაქმნას.

სასცენო შემოქმედების ამ სპეციფიკურობას თან ახლავს ეროვარი „ტრაგიკულობა“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნების სხვა დარგში შემოქმედების საპირისპიროდ,

³ Коклян (старший). Искусство актера, 1909.
⁴ ქართულ მეცნიერულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში რუსულ „Образ“ (გერმანული Bild, ფრანგული Image) შესატყვისად შემოღებულია ტერმა „ხატი“ და არა ხატი.

² Гуревич. Творчество актера, 1927.

მსახიობის შემოქმედების პროდუქტი — მის მიერ შექმნილი ხატი, მის გარეთ, ობიექტურ სინამდვილეში არ არსებობს, იგი ფარდის დახურვის მიმდებარე უმჯობეს ქრება; იგი არსებობს მანადის, სანამ მსახიობი მოქმედებს, სანამ მიმდინარეობს მისი ქვეყა სცენაზე. სხვა დარგის შემოქმედებაში კი შემოქმედების პროდუქტი შემოქმედის გარეშეც არსებობს, იგი ობიექტური სინამდვილის საგანად გადაიქცევა, რომელიც იკვირ ავტორის გარეშეც და მის შემდეგაც არსებობს უკვე როგორც სხვა ადამიანთა ობიექტური გარემოს საგანი, რომელიც გარკვეულ შეფასებას ახდენს სხვა ადამიანებზე.

მსახიობის შემოქმედების პროდუქტი კი თვით მისი ცოცხალი ქვეყის პროცესია, და ამიტომ ობიექტური სინამდვილის საგანად იგი ვერ გადაიქცევა; იგი „ავტორის“ ქვეყის შეწყვეტისთანავე ქრება.

ეს გარემოა, ე. ი. თავისი ქვეყის გარდაქმნის აუცილებლობა — გარდასახვა, როგორც მხატვრული ხატის შექმნის „მეთოდი“, აყენებს საკითხს მისი ფსიქოლოგიური მექანიზმის შესახებ.

საქმე ის არის, რომ ადამიანის ქვეყა ცალკე მოძრაობების ჯამს ანუ ჯაჭვის კი არ წარმოადგენს, ე. ი. ნებისმიერად შესასრულებელი ცალკე მოძრაობებისა, ვესტებისა, მიმოკური მოძრაობებისა, ხსის მოდულაციებისა და ინტონაციებისაგან კი არ შედგება, როგორც, მაგალითად, რაიმე სატანჯარჯიშო მოძრაობები შედგება ცალკე მოძრაობებიდან, არამედ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს, რომელიც მთლიანი ინდივიდის — კონკრეტული ცოცხალი ადამიანის, გარკვეული კონკრეტული პიროვნების მთლიან გამოვლინებას წარმოადგენს. ამიტომაც, რომ მსახიობის შემოქმედება, პირველ რიგში, სცენაზე სუბიექტის გარდასახვას, მის რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოქმედება სცენაზე მაყურებლისათვის დამაწმენებელი ბუნებრივობით ვერ გაიშლება, რლით ნაულისხმევ განცდებს ვერ გამოხატავს.

სწორედ ეს გარემოა ქმნის იმ საკვანძო პრობლემას, რომელსაც სასცენო შემოქმედების გადაწყვეტელ, დაუბოლოებელ და საუკუნობრივ პრობლემას უწოდებენ ხოლმე. როგორია ამგვარი გარდასახვის, ამ სასცენო ქვეყის ე. წ. ფსიქოლოგიური მექანიზმი, მისი ფსიქოლოგიური საფუძველი?

2. პრობლემის გადაწყვეტის ორი, პერმანენტულად გამოიკრებული, ანტიპოდური ცდა — ერთის მხრივ განცდისა, ხოლო მეორის მხრივ „იმიტაციის“ აღიარება მსახიობის შემოქმედების საფუძველად, არსებითადაა დაკავშირებული ორ ფსიქოლოგიურ საპირისპირო კონცეფციასთან. საქმის ფაქტორი, ისტორიული ვითარების ერთგვარი სქემატიზაცია რომ მოვადინოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ საკითხი წყდება და წყდება ერთი თუ მეორე თეორიის სასარგებლოდ იმის მიხედვით თუ რა ფსიქოლოგიურ კონცეფციას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეარდნობა ავტორები — ინტელექტუალურს თუ ემოციონალისტურ კონცეფციას.

თუ ადამიანის ქვეყის ფსიქოლოგიური საფუძველი გაგებლია ინტელექტუალისტებისთვის, ე. ი. თუ აღიარებულია ქვეყის ბუნებრივი ფორმის წარმართვის შესაძლებლობა „გაგებისა“, აზრისა, შეგნებული წაბაძისა, „მოფიქრებელი“ მოქმედებისა და მასში გაგარჯიშების გზით, თანა ავტორები „წარმოდგენის“ ანუ „იმიტაციის“ თეორიის თვალსაზრისზე დგებიან, თუ პირიქით ქვეყის „ძრავად“, მის საფუძველად ემოციას, გრძნობას აღიარებენ, მაშინ სასცენო გარდასახვის საფუძველსაც

სათანადო ემოციების აღმოცენებაში შედგენს, ე. ი. განცდისა ანუ „გეგულტაციის“ თეორიას იზიარებენ. ამ გარემოებას ცხადია, არ ეწინააღმდეგება, რომ თვითველად ამ ორი უკიდურესი მიმართულების თეორია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეპოქისა და კერძოდ თვით თეატრალური ხელოვნების ისტორიული განვითარების ეპოქალურ თავისებურებათა გაგენასაც განიცდის, მაგრამ ეს ფაქტორი (თეატრალური ხელოვნების მიმართულება) მინც მთლიანად ორი განსაზღვრავდა ერთერთს ამ საპირისპირო თეორიებიდან. კლასიციტური თეატრის პერიოდშიც არსებობდა დიდრის შესხვედლების საწინააღმდეგო შეხედულება, რომელსაც დიდრო თავის პარადოქსში ასეთი მღვირე პოლემიკური ცეცხლით ეგამათებოდა. ამიტომაც პრობლემის ორივე ანტიპოდური გადაწყვეტა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თეატრის მთელ ისტორიას წითელ ხაზვით გასდევს და, როგორც ეს უნდა, „თეატრალურ ფურცლებზე“ გაშლილმა დისკუსიამ გვაჩვენა, დღევანდელ საბჭოთა თეატრმცოდნეობაშიც აქტუალურ სადავო პრობლემას წარმოადგენს.

4

1. როგორ უნდა შეფასდეს თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების თვალსაზრისით ორივე ეს თეორია — ნამდვილი გრძნობისა და „წარმოდგენის“ თეორია? რამდენად შეიძლება ადამიანის ქვეყის ძრავად, მის მექანიზმად ინტელექტისა და გრძნობის აღიარება?

ორსავე ამ უკიდურეს თეორიას ვადალაზახავი სიძნელეები ელოება; სწორედ ამაშია საუკუნობრივი დავის დაუსრულებლობის მიზეზი.

რაც შეეხება წარმოდგენის ანუ იმიტაციის ინტელექტუალისტური ხასიათის თეორიას, იგი სასცენო ეწინააღმდეგება ადამიანის ქვეყის მართრავებელი ძალების მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ გაგებას. ადამიანის განცდისა მხოლოდ გაგების საფუძველზე შეუძლებელია მათი გამოსახულებითი მოძრაობების ისეთი ნებისმიერი რეგულაცია, რომ განცდათა ყოველი ნიუანსი ბუნებრივად გამოისახოს. განცდათა ყოველი ნიუანსის ნებისმიერ მოძრაობათა საშუალებით გამოხატავს, ქვეყის ყოველი მონაკვეთის, ყოველი ელფერის ნებისმიერი „წაბაძვა“ შეუძლებელია! ასე შეგნებულად, ნებისმიერად იმიტირებულ განცდათა გამოხატვა — სიყალბის, ხელოვნურობის, „თამაშის“ შთაბეჭდილობას სტოვებს; ასე შესრულებულ როლს მაყურებელი არ განიცდის!

საინტერესოა, რომ ლეობრატორიულ სამოზებში ბევრჯერ იყო ნაცადი გრძნობის გამოსახულებათა შესწავლა სხვადასხვა ასპექტით და სხვადასხვა მიზნებისათვის. მრავალ ვარიაციამ ჩატარებული ასეთი ცდების შედეგად, სწვათაშორის, გამოირკვა, რომ ერთსა და იმავე შემოცის გამოსახატავად არ არსებობს სახის ერთი და იგივე მალდონური მოძრაობები. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ სახის სხვადასხვა ნაკეთის, სახის კუნთების სხვადასხვა ჯგუფთა სხვადასხვა მოძრაობათა ზუსტი გრაფიკული რეგისტრაციის მეშვეობით ნაცადი იყო (უმთავრესად ამერიკელი მეცლევარების მიერ) თვითველად ამ მოძრაობის მნიშვნელობის დადგენა სახის საერთო გამომეცხველებისათვის და გრძნობათა გამოსახულებისათვის. გამოირკვა, რომ ეს პრინციპულად შეუძლებელია, რადგანაც ცალკეული მოძრაობები არ არიან ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებული ცალკეულ გრძნობებთან; მთლიან სახის გამომეცხველების დინამიკური ცვლილებების პროცესში, რომელიც სუბიექტის ემოციურ განცდას გამოხატავს, სახის ცალკე

ნაკეთების, მისი ნაწილებისა და სახის კუნთების ჯგუფთა მობრუნება გარკვეული და ისეთ ყოველთვის ერთნაირი შაბლონური მნიშვნელობა რისი აქვს. ეს ცალკე მობრუნებები იცვლებიან ერთსა და იმავე ინდივიდშიც, ერთსა და იმავე გრძნობათა განცდისას, მით უმეტეს, ამ გრძნობათა ფაქიზი ნიუანსების ცვლილებისა და კიდევ უფრო განსხვავებული აზრან სხვადასხვა ადამიანებთან, ხლო გრძნობათა ფაქიზ ნიუანსებს სულ ვერ გამოხატავენ.

რიგ სპეციალურ გამოკვლევებში ნაცადი იყო იმის გამორკვევა, თუ როგორ გაიგებს მსაყრდელი სუბიექტის განცდის მისი მიმოცის მიხედვით. ასე მეთოდთა შორის გამოყენებული იყო ასეთი მეთოდი: ცნობილი მსახიობი მიიღებდა გარკვეული ემოციის გამოხატვლად სახის გამომეტყველებას, ხოლო ცდის პირებს უნდა ეთქვათ, რა განცდის გამოხატავს ეს სახე. ცდის ერთ ვარიანტი მათ ეძლეოდათ ასეთი მიმოცის ფიქსურათები. შემდეგი საოცარი აღმოჩნდა. მსაყრდებლებს ერთმანეთგულენადად ემართათ მხოლოდ რამდენიმე ისეთი ძირითადი ტრანქად გამოხატული განცდის გამომეტყველება, როგორცაა სიცოცხლი, ღმილი, სიძულვილი — ზოლი (презрение), ხოლო ისეთი გამოკვლევადაც თავისებურ, ტრანქად განსხვავებულ ემოციებსაც კი, როგორც გაკვირება, გუშანი (подозрение), დატყუება, ზოგ შემთხვევაში შიშო და რისხვააც კი, ადეკვატურად ვერ გებულობდნენ რაც შეეხებოდა ემოციათა ისეთ ნიუანსებს, ისეთ უფაქიზეს გადასვლებს, რასაც ყოველდღიური ცხოვრებაში სახის გამომეტყველების და ხმის ინტონაციის უფაქიზეში ცვლილებებით უ შ უ ა ლ დ განვიციდით ხოლმე, ამაზე ხომ ლაპარაკი შეუძლებელი იყო.

საგულსხმობა, რომ თვით სცენის პრაქტიკულ მოდელაა და, კერძოდ, მსახიობებს შორის ვარგისეულია სხვადასხვა გამოქმემა, რომლითაც ისინი აღნიშნავენ ხოლმე როლის „ცოცხ“, ყოველგვარ განცდას მოკლებულ, ასე ვთქვათ, ფორმალურ შესრულებას, როდესაც მსახიობი ვერ მოახერხებს „როლი შესვლას“, როდესაც მას „ცარიელი გუგა“ აქვს და ა. შ. მაშასადამე, როლის კარგი შესრულებისას მსახიობში ამჩნევენ რადაცა, რაც მეტია, ვიდრე მხოლოდ იმიტაცია, მხოლოდ ინტელექტუალური მოქმედება.

სცენის კორიფეების მიერ დატოვებული უმიდრესი მეზურული ლიტერატურა ხომ სასევა ვადმოქმედებით როლის შესატყვის განცდაზე, თვით სუბიექტის (მსახიობ-ადამიანის) შეცვლაზე როლის შესატყვისა და ა. შ.

2. ვადულახავი სიმწლეები ეღობება განცდის თეორიასაც. ჯერ ერთი, ნამდვილ ემოციურ განცდას, რომელსაც ახასიათებს ე. წ. დინამიკობა, ე. ი. მოქმედებში გადასვლის ტენდენცია — ადამიანის ამოქმედების ძალა, იწვევს რეალური სინამდვილის მოვლენები, ნამდვილი ამბები ან, ყოველ შემთხვევაში, ს ი ა მ დ ვ ი ლ ე დ ნ ა ვ ლ ი ს მ ე ვ ე ი ამბები. ამრიგად, როლით ნაგულსხმევი ნამდვილ მოქმედების მამორახებული ემოციების გამოწვევა ადამიანში სცენაზე წარმოსახვლის რეალურ სინამდვილად აღიარებას გულსხმობას და, მაშასადამე, რეალობის გრძნობის დაკარგვას ნიშნავს, რაც ადამიანის მხოლოდ პათოლოგიურ მდგომარეობაში, ასეთი უნდა დაევალებდის დროს არის შესაძლებელი⁵. მხოლოდ მდგომარეობას ბოდა ან ჰალუციანცია წარმოად-

გენს. ოტელოს როლის შემსრულებელმა ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მართლ დაიჯეროს, რომ მისი პარტნიორი დღუნდმონაა და ის თითონ ოტელოა, თუ იგი სულიერად ავად გადღება ასეთი რამ ფაქტიურად გამოჩენს. ასეთი რამ არ ხდება! ხოლო რაც შეეხება სასცენო სინამდვილის პალუცი-ნატორული განცდის თითო ოროლა შემხვევას, რომელსაც იცინებს თეატრის ისტორია და რომლის ამბავი თანედრან თაობაში გადადის (სცენაზე მკვლელობისა და სხვა თავდაჯი-წყების შემთხვევები). ეს, მართლაც პათოლოგიური შემთხვე-ვები ხომ სწორედ იმ გამოჩაქლის წარმოადგენენ, რომელსაც თვით კონტრასტობით მსახიობის ჩვეულებრივ შემოქმედებასთან, განსაკუთრებით თვალაჩინოდ ავლენს სასცენო შემოქმედების სულ სხვაგვარა — არბოდვის სახითა.

მსახიობის შემოქმედების ფსიქოლოგიურ საფუძვლად ბოდვითი მექანიზმის გამოცხადება მით უფრო ნაკლებ არის დამა-ჯერებელი, რომ იგი ეწინააღმდეგება მსახიობის სასცენო ქმევის ყოველგვარ დაკვირებასა და თვითონ მსახიობის თვით დაკვირებას, კერძოდ, სცენის კორიფეების უთვალვი მემუარების მონაცემებს და თანამდროვე მსახიობების მიერ შესხვევლად სათანადო „ანექციებს“ მასლას.

გარდა ამისა, კიდევ რომ დაუფიქრებელი აგტორ-თან ერთად, რომ მსახიობის შემოქმედება ასეთ პათოლოგიურ მდგომარეობაში ყოფნას გულისხმობს (ასე ზოგიერთი ქარ-ველი აგტორიც ფიქრობს), მაშინ მისი მოქმედება ხელოვნად ვეღარ ჩაითვლება; შემოქმედების საფუძვლად სულით დაავადების აღიარება შეუძლებელია! რა წამს დაიჯერებს მსახიობი სცენაზე წარმოდგენილის რეალობას და მისი შესატყვისი ნამ-დვილი გრძნობებით აინთება, ხელოვნება იწმამსე მოკვდება!

გარდა ამისა, არც ერთი ბოლა არ გულისხმობს სცენაზე სულ განუწყვეტლივ „ვნებათა ღელვას“, სულ ემოციური სახითის ქმევას, სულ ისეთ ინტენსიურ ემიციებს, რომელსაც ადამიანის ქმევას წარმართავენ. როლის მიხედვით მსახიობი სცენაზე ყოველდღიური, ასე ვთქვათ, საყოფაცხოვრებო ქმევა-ვსდება, რომელიც აგრეთვე დამარწმუნებელი ბუნებრიობით უნდა მიმდინარეობდეს, მიუხედავად მისი შესატყვისობისა სცენაზე აღქმულ სიტუაციათთან. ასეთი ქმევის საფუძვლად, ცხადია, გრძნობა ვერ ჩაითვლება.

ამრიგად, როლის მიხედვით ნაგულსხმევი გრძნობების ნამდვილ განცდა, ისევე, როგორც ქმევის მხოლოდ გაგება, არ შეიძლება წარმოადგენდეს მსახიობის გარდასახვის ფსიქო-ლოგიურ საფუძვლად. ს ა ნ ა მ ს ა კ ი თ ხ ი ა მ დ ი ლ ე მ ი ს ს ი ბ რ ტ ე ყ ე მ დ ა ს — განცდა თუ წარ-მოდგენა, — იგი ერთი გადაადწევდება! შემარბოვ-ბული გადაწყვეტის ცდებიც საქმეს ვერ შევლის, რადგანაც, როგორც უნებო აღვინშნეთ, ამ ორგვარი გადაწყვეტის ყოველ-გვარი შეურთება მსახიობის ქმევის მამორახებულად ისევ ამ ორ „ძალას“ — ნამდვილ გრძნობასა და ინტელექტს გულის-ხმობს.

მაშ არც ნამდვილი გრძნობა, არც უგრძნობობა! ხომ არ არსებობს მისაშე შესაძლებლობა?

5

1. რაც შეეხება მსახიობის სასცენო განცდას დასახია-თებას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ თანამდროვე ფსიქოლოგიური მეცნიერება გრძნობათა შორის გამოყოფს გრძნობათა განსაკუთრებულ სახეს, რომელიც თუმცა გრძნო-ბას, ემოციას წარმოადგენს, მაგრამ რიგი სპეციფიკური თავი-სებურებით ხასიათდება; უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ არ

⁵ საგულსხმობა, რომ სულით დაავადების ყველაზე მოკლე, ლა-კონჩრე დ უდავოდ სწორი განმარტება, რომელიც ღოდ ფსიქიატრის და ფსიქოლოგის — ჰ. ეანეს ეკუთვნის, სულით დაავადებას განსაზღ-ვრავს როგორც რეალობის გრძნობის დაკარგვას.



იწვევს სერიოზულს, რეალური ცხოვრებისათვის დაბასია-თებულ მოქმედებას, არ გადადის ამ გრძნობის შესატყვის მოქმედებაში. ეს არის „მფრინავი“ (პფენდერი) ⁶, ან „არასერიოზული“ (ვ. შტერნი) ⁷ გრძნობები. ამ გრძნობების სპეციფიკურობას, პირველ რიგში, ის განსაზღვრავს, რომ ისინი აღმოცენდებიან არანამდვილი, არარეალურად ნაგულისხმევი სიტუაციის გავლენით, როდესაც სუბიექტმა იცის, რომ ის რაც მას აღელვებს, ნამდვილად არ არსებობს, შეთხუვლია. ეს ის დღევანდელი, ეს გრძნობაა, რომელიც აღელვებს, სიბრაულესა და რისხვასაც იწვევს, ატირებს და აციუნებს მაყურებელს თეატრში, თუ კინოში, მიუხედავად იმისა, რომ მან ყოველ წუთში იცის, რომ მოგონილს და მსახიობების მიერ „გათამაშებულს“, არანამდვილი ამბავს უყურებს. ასეთია ის გრძნობა, რომელიც აღელვებს და ატირებს რომანის მკითხველს, რომელმაც კარგად იცის, რომ თვითონ გმირიც და მისი ამადლელებელი თევგადასახლიც არაა ნამდვილი და მწერლის მიერაა გამოგონილი. ეს გრძნობაა, რომ აღელვებს ბავშვს, ე. წ. სიმბოლიური გრძნობით აღსავსე ნანას უმღერის ჭილღობში გახვეულ შემის ნაჭერს, ან გულადობით აღტყინებული ბიჭუნა-რანდი გადააღაჯებს ჯოხს და ამ ბუდაურით მიჭრის ბროლიაში, ან წყალს ასმევს და თივას ატყეფს თავის ჯოხს.

ასეთი „არასერიოზული“ გრძნობა არ უბიძგებს ადამიანს მისი შესატყვისი სერიოზული მოქმედებისაკენ: კინოგრაწიხუ წყალში დახრჩობის ამადლელებით სურათის აღქმისას მაყურებელი არ დაძივრის ადგილიდან მისაშველებლად და მას არც უნდებდა ამ მოქმედების იმპულსი. არასერიოზული გრძნობა არ სტოვებს პიროვნებაში ისეთ კვალს, როგორც სერიოზული გრძნობები. ამადლელებელი ტრაგედიის წაკითხვით ატრემლებული მკითხველი, ნახვარის საათის შემდეგ, მაღიანად შექმეცვა ვახშამს, გულიანად იცინის და ა. შ.

ერთი სიტყვით, ის უდავო ფაქტი, რაც ბუშენინმა უპედავი სიტყვებით აღნიშნა „над вымыслом слезами обильно“, სპეციფიკური სახის გრძნობებს — „არასერიოზულ“, „მფრინავ“ გრძნობებს გულისხმობს. ასეთი გრძნობის აღმოცენება სცენაზე სრულიადაც არ ნიშნავს რეალობის გრძნობის დაკარგვას, ბოღის პათოლოგიურ მდგომარეობას და ა. შ. პირიქით, ამ სახის გრძნობებს სწორედ „არანამდვილი“, წარმოდგენილი „სინამდვილე“ იწვევს.

ფსიქოლოგი იაკობსონი (მოსკოვი) თავის გამოკვლევაში მსახიობის გრძნობათა შესახებ ⁸ „საკუწნობრივი დავის“ ახლებური გადაწყვეტის ცდას იძლევა პფენდერის მიერ დამუშა-

ვებული „მფრინავი გრძნობების“ ცნების გამოყენებით. მსახიობი არ რჩება ცივი, იგი აღივსება როლის შესატყვისად გრძნობებით, მაგრამ ეს „მფრინავი გრძნობებია“, რომლებიც არ იპყრობს პიროვნებას მთლიანად და ამიტომ მათი განცხდელის მოქმედება საღი გონების კონტროლსაც ემორჩილება.

მსახიობის მიერ როლში განცდილი ემოციები რომ ამ „არასერიოზულ“ გრძნობათა კატეგორიას ეკუთვნის, უდავოა. სცენაზე განცდილი უთავალივი ტრაგედიები არ გააჭარაჯებენ მსახიობს, არ გაუფუჭებენ მას გუნებას სპექტაკლის შემდეგ გამართულ სუბიექტზე, და სცენაზე განცდილი სასოწრკარეს თეატრში, რომელსაც განსახიერებელი პერსონაჟი თვითმკვლევობაზე მიყვას, არ გადაინებებს ამას ნამდვილად მსახიობადამიანს სცენაზე. როგორც ვთქვით, ეს გარემოება გამორიცხავს როლის შესატყვისი სერიოზული გრძნობის განცდას, მაგრამ სულ არ გამორიცხავს შესატყვისი არასერიოზული გრძნობის ნამდვილ, გულწრფელ განცდას. ვის არ უნახავს ნამდვილი ცრულები, მარგარიტა გარტი-ვერიკოს თვალეზე, როცა გოტიე არმანს წერილს სწერს.

მსახიობის მიერ ამ სახის გრძნობების განცდა სცენაზე ფაქტია. გარდასახული მსახიობი ვერ დარჩება სცენაზე სრულად „ცივი“, ემოციისაგან თავისუფალი. ამას ადასტურებს მთელი მემუარული ლიტერატურა, ამას აღნიშნავს ყოველი მსახიობი. ოღონდ საქმე ისაა, რომ ეს ემოციები „არასერიოზულ“, მფრინავ გრძნობათა კატეგორიას ეკუთვნის. ამ სახის გრძნობათა არსებობის ფაქტი არ ეწინააღმდეგება არც მსახიობთა თვითდაკვირვებას, არც მათი ქვეყის დაკვირვება სცენაზე და არც ფაქტი მსახიობის „თვით კონტროლისა“ სცენაზე. ერთი სიტყვით, მსახიობის სასენო ემოციები ამ არასერიოზულ გრძნობათა კატეგორიის განცდას რომ წარმოადგენენ, ჩვენ უდავო ფაქტად მიგვაჩნია.

მაგრამ იძლევა კი ამ არასერიოზულ გრძნობათა ფაქტის აღიარება პრობლემის გადაწყვეტას? შეიძლება ვიკულისხმოთ, რომ არასერიოზულ გრძნობათა აღიარებით, საკითხი გარდასახვის ბუნების შესახებ გადაწყვეტილია? შეიძლება ვიღაა-როთ, რომ გარდასახვის „ფსიქოლოგიური მექანიზმი“ როლის შესატყვის არასერიოზულ გრძნობათა განცდა წარმოადგენს? ნუთუ სათანადო არასერიოზულ გრძნობათა აღმოცენება სცენაზე საკმარისია მისისათვის, რომ მსახიობის თამაში როლის შესატყვისი და მაყურებლისათვის დამარწმუნებელი ბუნებრივობით წარმართოს?

რასაკვირველია, არა! ამ გრძნობათა განცდის ფაქტი ჯერ არ ნიშნავს, რომ ეს გრძნობები სათანადო ქვეყის მამოძრავებელი არიან, რომ ისინი ქვეყის ფსიქოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენენ!

(ვაკარქელვა შედეგ ნომერში).

⁶ Pfander, Psychologie der Gesinnungen 1921.
⁷ W. Stern. Allgemeine Psychologie, K. XIX 1950.
⁸ Якобсон. Психология сценических чувств актёра, 1936, М.



ჩვენი თანამედროვის იერსახე ქართულ სკულპტურულ პორტრეტში

ლევან მხეიძე

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ქანდაკებაში სულ უფრო მხირად ვგვხვდება ნაწარმოებები, რომლებიც თანამედროვე ადამიანის განზოგადოებულ სახეს იძლევიან. თუ ვილაპარაკებთ, კერძოდ, ქართულ ქანდაკებაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხანის ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა (მისი დამახასიათებელი სახელწოდებებია — „მუშა“, „სტუდენტი“, „ახალგაზრდა მშენებელი“ და ა. შ.).

ეს ხანის სკულპტურულ პორტრეტშიც ვითარდება. ასეთი ნაწარმოებების მიზანია — ჩვენი თანამედროვის, ახალი ტიპის ადამიანის, მებრძოლისა და შემოქმედის, ნათელი მომავლის მშენებლის განზოგადოებული სახის შექმნა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ სწორედ განსაკუთრებულ ხანზე უნდა ვილაპარაკოთ, ვინაიდან ასეთი ნაწარმოებები არსებითად განსხვავდებიან უბრალო პორტრეტისაგან. ისინი თავის თავში შეიცავენ პორტრეტული და სიუვეტური ქანდაკების ნიშნებს, და ეს ნიშნები რამდენადმე სახეშეცვლილ სახისათვის ატარებენ.

მართლაც, ერთის მხრით, ამ შემთხვევაში მხატვარი არ არის შეზღუდული ნატურით, როგორც ეს ხდება გარკვეული პიროვნების პორტრეტის შექმნისას; ის თავისუფალია თანამედროვე ადამიანზე თავისი აზრის, თავისი იდეალის გამოხატვისას, ქმნის განზოგადოებულ სახეს იმ ნიშნებით, რომლებიც, მისი დაკვირვებით, ახასიათებს გარკვეული წრისა და პროფესიის ადამიანს.

მეორეს მხრით, შემოქმედი ვერ მიადწევს მიზანს, თუ ქანდაკება „შიშველი სიმბოლო“ გამოვიდა, თუ ჩვენი ადამიანებისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშნები აბსტრაქტულ გამოხატულებას მიიღებენ, ან თუ მხატვარი მეშახტის გამოხატვისას მას ჩაქუჩს მისცემს ხელში და ამოცანას მიღწეულად ჩათვლის. განზოგადოებული სახე იმდენად ცოცხალი, ინდივიდუალიზებული, მართალი უნდა იყოს, რომ მან კონკრეტული ადამიანი უნდა წარმოვიდგინოს, სხვა შემთხვევაში სახე არ იქნება საინტერესო, იგი ვერ ააღლევებს მაყურებელს.

საერთოს გამოხატვის დროს, მხოლოდ ინდივიდუალურიდან გამოსვლით შეიძლება წარმატების მოპოვება ამ რთულ ჟანრში. უკვე ეს მიუთითებს იმაზე, თუ რა სიმძლეების წინაშე დგას მოქანდაკე თანამედროვის პორტრეტში განზოგადებული სახის შექმნისას. მთავარი სიმძლეე კი ჩანაფიქრის პლასტიკურ ხორცშესხმაში მდგომარეობს.

ჩვენი აზრით, ამოცანის გადაწყვეტისაკენ ერთ-ერთი უპირველესი სწორი გზაა სახის ჩამოყალიბება სულიერ საწყისზე, ღრმა ფსიქოლოგიური განზოგადოებების საფუძველზე, რამდენადაც შესაძლებელია, — ფართო ტიპიზაცია შინაგანი დახასიათების დამაჯერებლობისათვის.

მეორე მხრით, საჭიროა მოდელის ცოცხალი ინდივიდუალური ნიშნების შენარჩუნება და ყოველივე ზედმეტის, მეორეხარისხოვანის უკუგდება, სახის დაქუჩმაცემისთვის თავის არიდება და გარეგნული დახასიათების ტიპიზირება.

რასაკვირველია, ეს ადვილი ამოცანა როდია, მაგრამ სწორედ ეს სირთული იზიდავს შემოქმედს ამ ხანისკენ, რამდენადაც ის იძლევა შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლენის ფართო საშუალებას, მხატვარს შესაძლებლობას აძლევს თავისუფლად და თავისებურად გამოხატოს თავისი აზრები, ესთეტიკური იდეალები.

მოდელი, რომლითაც ასე თუ ისე სარგებლობს მოქანდაკე, ამ შემთხვევაში კარგასია, რომელზეც ის აგებს ჩაფიქრებულ სახეს.

გასაგებია, თუ თვით მოდელის შერჩევა ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნის, და, ბუნებრივია, თუ მხატვარი ყველაზე უფრო დამახასიათებელ, შესაფერ ნატურას ექებს თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის.

ბ. ჩიბაძე „ქალიშვილის პორტრეტი“





ა. გორგაძე

რეზო

ამ ეპოქაში ქართულ ქანდაკებაში არის საინტერესო ნაწარმოებები, რომელთაც აღიარება მოიპოვეს არა მარტო რესპუბლიკურ და საკავშირო სამხატვრო გამოფენებზე, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მოწოდებულ ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენებზეც.

გვიანდა შევიწერდეთ ზოგიერთ ამ ნაშრომებს, რომლებშიც, ჩვენის აზრით, გამოვლინდა ზემოაღნიშნული თვისებები.

ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ახალგაზრდა მოქანდაკის ბ. ციბაძის „ქალიშვილის პორტრეტი“ (1957 წ. თბილისი).

პორტრეტი — თავი ყელით დადგმულია გრანიტის პატარა პიედესტალზე. ენერგიულად წინ წამოიწყო თავს, სახის მსხვილ ნაკვეთებს კომპოზიციურად აწონასწორებს უკან მოხვეული სქელი თმები.

მოქანდაკე მოდელისათვის არჩევს ულამაზეს ჩვეულებრივ, არაფრთი ღირსშესანიშნავ, თითქმის სულამაზო სახის ქალიშვილს, მაგრამ პორტრეტი მაშინვე გვიპყრობს სახის ღრმა შინაგანი მნიშვნელოვნებით. მიიმე სახის ნაკვეთები, მრგვალი შუბლი, ოდნავ წინ წამოწეული მსხვილი ნიკაპი, სახის ფართო ფალს პორტრეტს აძლევს ზოგად სკულპტურულ მოცულობას და მოქანდაკის მაღალ პროფესიულ დახელოვნებაზე მეტყველებს.

პორტრეტის შინაარსის მთლიანობას ესაზღვრება პლასტიკური

ფორმების მიზანდასახულება და ორგანიზებულია. ახსოვდება რა ფორმას უკიდურეს შესაძლებლობამდე, მოქანდაკე გრძობს თვითეულ მოცულობას. სახის მკრივი ფორმების განსხვავება პორტრეტს აძლევს გამომსახველ პლასტიკურ წონაობას.

მაგრამ ამ განზოგადებათა მიუხედავად, პორტრეტი ოდნავადაც არ არის პირობითი. მკაფიოდ გამოძერწილი მსხვილი მკრივი მასებით მოქანდაკე ისწრაფვის ჩანაფიქრის ნათელი, მკაფიო გამოხატვისაკენ: ჩვენს წინაშე ენერგიული და გაბედული ადამიანი, რომელსაც აქვს ფიქრისა და მოქმედების უნარი

წარბებისა და ტუჩების პირდაპირი პირობითობები ყურადღებას ამახვილებენ თვალების გამომეტყველებაზე. ეს დიდრონი ჭკვიანი თვალები და პირის ოდნავ ჩამოწეული კუთხეები აზრის დაძაბულობაზე მეტყველებენ.

ეს გოგონა თანამედროვე ადამიანის ნამდვილი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობს. ახალგაზრდული ოცნებები მასში შერწყმულია სინამდვილის და ცხოვრებაში თავისი ადგილის რეალურ შეცნობასთან. პორტრეტში გვაოცებს მიზანსწრაფვისა და თავშეგაგების შეერთება! თითქმის ის მდგომარეობა, როცა ადამიანი რაიმე სერიოზული ამოცანების წინაშე დგას. სახის ასეთი დახასიათება გვაჯერებს მის ცხოვრებისეულობაში, თანამედროვეობასა და რეალობაში. შემთხვევით როდი დამისახურა ციბაძის ამ პორტრეტმა ვერცხლის მედალი ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში 1957 წელს: ეს ქანდაკება ჩვენი ჭაბუკობის მართალი სახეა.

საინტერესოა ა. გორგაძის ნაწარმოები „რეზო“ (1957 წ. ბრინჯაო), რომელმაც წარმატება მოიპოვა 1958 წელს მოსკოვში მოწოდებულ სადგვაოდ გამოფენაზე. ჭაბუკის თავი, მძლავრი კისრით, გრანიტის პიედესტალზე დგას. პორტრეტის სილუეტური კონტურები მომრგვალებულია პლასტიკური ფორმების განზოგადების ხარჯზე. მაღალ აწეული თავი ხაზს უსვამს ვაჟის სიამაყესა და თავის თავის რწმუნას. ჩვენს წინაშე ძლიერი და ენერგიული ახალგაზრდაა. ჭაბუკური ცეცხლით მოკაფიო თვალები, მძლავრი ნიკაპი, მოკუმული ტუჩები და კუნთებიანი კისერი ფიზიკური სიჯანსაღისა და ძალის გამოხატულებაა. სახის გამომეტყველება ჭკვიანური და პირდაპირი, რასაც ხელს უწყობს თვალების დახასიათება (წარბებიდან ჩამოშორებული ჩრდილი) და წარბებს ზედა რკალები. მეტყველი ტურბი, თხელი ცხვირი წარმოადგენს ნესტოებით და ამოწეული ნიკაპი სახეს შინაგან სიცოცხლეს და დინამიკურბას ანიჭებს. ამ მეტყველი სიციხის ადამიანის სულთიერი ძალა სასებით შევერება მის გაბრუნებულ იერს და მოქმედებისათვის მზადყოფნას გამოხატავს.

პლასტიკური ფორმების მოცულობითი ტრაქტოვკა ციბაძის „ქალიშვილის პორტრეტს“ მოვგავიწყებს. გორგაძე გარბის მკვეთრ ჩრდილებს, ცდილობს მიაღწიოს ქანდაკების გამომსახველობის მთლიანობას, რათა მხსაველს შესაძლებლობა მისეს უცხად აღიქვას პორტრეტი. მრგვალი თავი, ხაზგასმული მოკლე შეჭრილი თმით, სახის მკაფიოდ მონახული ფაღი, მასიური კისერი სადა უდაბლი, ქმნის ნათელ განზოგადებულ მოცულობებს. ყურადღება როდი იფანტება დაწერამდებულ პლასტიკურ ფორმებზე, მაყურებელი ერთბაშად აღიქვამს პორტრეტს და უკვე რბილად სწვდება სახის შინაგან სამყაროს. ჩრდილის ლაქები შიდად გადადის ერთმანეთში და აცოცხლებს პორტრეტის ზედაპირს, (მაგალითად, ტურბის, ნესტოების, თვალების და წინ შექ-

რილი თმის ტრაქტოვკა). ფორმების მოლიანობასა და სიმკვრივესთან ერთად მოქანდაკე გემოვნებით გადმოსცემს სახის ნაკეთების სირბილს. კარგადაა მოფიქრებული კისრის გადასვლა პიედესტალში. ეს პირობითი ფორმა პორტრეტს მეტ მონოლითურობას ანიჭებს.

„რეზოს“ სახე უმკველად მართალი და თანამედროვეა. როცა მას ვუყურებთ, შეიძლება შევიცნოთ მუშა-ნოვატორი, სპორტსმენი ან სტუდენტი. ერთი სიტყვით, მასში განსახიერებულია ჩვენი ახალგაზრდობის დამახასიათებელი ნიშნები, ამავე დროს სახეს აქვს ინდივიდუალური ხასიათი, თავისი განსაკუთრებული ბიოგრაფია.

სხვაგვარად და თავისებურად ხსნის სახეს იგივე მოქანდაკე „მამაკაცის პორტრეტში“ (1957 წ. თაბაშირი). ამ პორტრეტში, რომელიც ექსპონირებული იყო ლენინური კომკავშირისადმი მიძღვნილ საიუბილეო და აგრეთვე ქართული სახვითი ხელოვნების სადეკადო გამოფენაზე მოსკოვში 1958 წელს, გრძნობათა სიცხეოვლე გადმოცემულია თავშეკავებულ, მკაცრ, მაგრამ გამომსახველ პლასტიკაში.

პორტრეტის კომპოზიცია ძალზე უბრალოა: ფრონტალურად დაყენებული თავი მტკიცედ დგას კისერზე, რომლის ფორმა დაგვირგვინებულია აფრიალებული ყელსახვევით. ოდნავ მოხუჭული თვალების განმჭვრეტი მზერა, შეჭმუხნული წარბები, თხელი, ნერვულად მოკუმული ტუჩები, მკაფიოდ გამოვლენილი ყვირძალები, წინ წამოწეული ნიკაპი და ერთ მხარეს მიმართული ყელსახვევის ბოლო — ყველაფერი ეს მღელვარე განცდათა შეგრძნებას ბადებს. სახის შინაგანი დინამიკა, ღრმა ფიქრთა სრბოლა იხატება ამ ჭკვიანი და მტკიცე ნებისყოფის მამაკაცის სახეზე. პორტრეტის შთაბეჭდილებელი რევოლუციური პათოსი სახეს ღრმადმინანარსიანს ხდის. იგრძნობა, რომ მისი „დუღილი“ არა ყოველდღიური ყოფითი შემთხვევითობით არის გამოწვეული, არამედ ღრმა და სერიოზული საზოგადოებრივი პრობლემებით. ამ ადამიანის სახეობრივი დახასიათება ფართოა; ის თანამედროვეცაა და ამასთან საბჭოთა ხალხის პროგრესული რევოლუციური ტრადიციების განსახიერებაც. შემთხვევითი როდია, როცა ამ პორტრეტს ზოგჯერ „დეკაბრისტის პორტრეტს“ უწოდებენ. რაღაც საერთო აქვს მას XIX საუკუნის რუსეთის მოწინავე რევოლუციურ ინტელიგენციასთან. კონკრეტული სახის გამოხატვისას მოქანდაკე ამოცანად ისახავს შექმნას განზოგადებული სახე, გახსნას მისი ფსიქოლოგიური არსი. ავტორის პლასტიკური ენა ამ ნამუშევარში სულ სხვაა, ვიდრე ეს „რეზოს“ პორტრეტშია. „რეზო“ ფართოდ და მთლიან განზოგადებულ ფორმებშია გადაწყვეტილი და ამითაა მიღწეული მოცულობითი სკულპტურული გამოხატულება, აქ კი პლასტიკური ფორმის ძირწვა ექსპრესიული და მკვეთრია. იმისათვის, რომ გადმოსცეს შინაგანი სულიერი მოძრაობა, მოქანდაკე მიმართავს ზედაპირის სწრაფ და აქტიურ ძერწვას. თუ „რეზოს“ პორტრეტში შექმნილი კონტრასტები შერბილებულია, აქ მოქანდაკე ფართოდ სარგებლობს მით, პლასტიკური ფორმების გადასვლათა სიმკვეთრითა და კონტრასტულობით ქმნის მოძრავე, ასიმეტრიული ნაკეთების მოძრაობას, რაც სახის შინაგან მდგომარეობას შეესატყვისება.

ჩვენს მიერ განხილული ორი პორტრეტის პლასტიკური დახასიათების მანერის სხვადასხვაგვარობა მოქანდაკე გორგაძის ძიებებას და შემოქმედებითს ტექნიკურ-მენტზე მიუთითებს.



ა. გორგაძე მამაკაცის პორტრეტი

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე მოქანდაკეების ე. კაკაბაძის და ფ. მზარეულიშვილის მუშაობა ახალგაზრდა ქალიშვილის პორტრეტზე. თუმცა არა ერთდროულად, მაგრამ ორივე მოქანდაკემ ერთი და იგივე მიოდელი გამოქანდაკა და უწოდა მას „ნანა“. სანტერესოა, რომ ავტორებმა ამ პორტრეტებში სახეობრივი შინაარსი თავისებურად და ინდივიდუალურად გამოხატეს.

ე. კაკაბაძის „ნანა“ კრისტალური სულის ქალიშვილია, ახალგაზრდული სითბოთი და მომხიბვლელობით აღსავსე, მომავლის რწმენის მქონე. მას არავითარი სევდა არ განუღია ცხოვრებაში. როგორც ყველა ახალგაზრდა, რომელმაც ცხოვრებაში შეაიბო, იგი თითქოს რაღაცს ელის. მზარული თვალების საოცრად უდარდლი მზერა ოდნავ შესამჩნევ დიმილი პატარა ამობურცულ ტუჩებზე და სახის მოხდენილი თვალი სიჭაბუკის სიცოცხლეზე მეტყველებს. ეს კონკრეტული სახე თავის თავში შეიცავს მრავალი თანამედროვე გოგონას სახასიათო ნიშნებს: იგი მოლიანად გამსჭვალულია ცხოვრების რწმენით, სისარულითა და ბედნიერების მოლოდინით.

მოქანდაკე მზარეულიშვილის „ნანა“ რამდენადმე სხვაგვარ სასიათს ატარებს, რასაკვირველია, ორივე პორტრეტის გარეგნული მსგავსება საერთო შინაგან ნიშნებსაც შეიცავს, მაგრამ ეს მეორე „ნანა“ ახალი სულიერი თავისებურებებით გამოირჩევა. იგი უფრო ღიწვია, შეკავიერი გრძნობებით, მისი ოქნებით უფრო გარკვეულია. სახისაგან ახალგაზრდა ქალიშვილისათვის ჩვეული ლირიკულობა გამოსჭვივის. თავის პირდაპირი დაყენება, დახრილი თვალები, მგრძნობიერად



ე. კაკაბაძე

ნანა

ოდნავ ღია ტუჩები და სახის ნაკეთების საერთო რბილი და-სასიათება უფაქიზეს სულიერ მოძრაობას ედმოგვცემს. პორტრეტი ცხოვრებისეულად მართალი და ემოციურია.

ერთმანეთისაგან განსხვავდება ამ პორტრეტების პლასტიკური ტრაქტოვაც. თუ ე. კაკაბაძის პორტრეტი საერთო, სადა ფორმებშია დამუშავებული და მთლიანობით აღიქმება, შუქ-ჩრდილის კონტრასტების გარეშე, მზარეულიშვილის „ნანა“ უფრო რელიეფურია. დეტალები დამუშავებულია მეტი გულმოდგინებით, დიდი ყურადღება ეთმობა შუქ-ჩრდილის თამაშს. ღრმა ჩრდილები თვალებთან, სახის ფორმების რბილი მოხაზულობა ქალიშვილის რთულ შინაგან ცხოვრებას და მის ღირიკულ განწყობილებას გამოხატავს.

ე. კაკაბაძეს ეკუთვნის როგორც ჩანაფიქრის, ისე შესრულების მხრივ კიდევ ერთი საინტერესო პორტრეტი — „ბიჭუნა“ (1955 წ. მარმარილო). ამ ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ბავშვის სულიერი სამყაროს ნამდვილი გაგება. ბიჭუნას მალა აწეული თავი, კომპოზიციამი მარმარილოს ზოდიდან ამოდის. ჯერ კიდევ არ არის გარკვეული სახის ბავშვური ნაკეთები. ნაზი, მომრგვალებული ლოყები, მოძრავი ფაფუკი ტუჩები, ცნობისმოყვარეობით გასხვივისწეული თვალები — ყველაფერი ეს მოქანდაკეს სიმართლით და დამაჯერებლად აქვს გადმოცემული, და ეს ბავშვური უშუალობა მყურებელს მისადმი სიმპათიით განაწყობს.

